



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა

გამოკვლევის ჩატარების ინსტრუქცია

თ ბ ი ლ ი ს ი 2010

ზოგადი მითითებანი

§0.1. გამოკვლევის ზოგადი დახასიათება

0.1.1. გამოკვლევის მიზანი. გამოკვლევის მიზანია მიღებულ იქნეს სარწმუნო შეფასებები ქვეყნის დონეზე (ძირითადი მაჩვენებლებისათვის მხარეების დონეზეც) წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალფეროვანი მაჩვენებლებისათვის. კერძოდ, გამოკვლევით მოცულია შემდეგი საკითხები: ერთწლიანი კულტურების ნათესი და აღებული ფართობები და მოსავალი, მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი, ძირთა რაოდენობა და მოსავალი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა, პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, სასუქებისა და პესტიციდების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწყობილობების გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო ნაგებობები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოყენება, შემოსავლები სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან და ამ წარმოებაზე გაწეული დანახარჯები, სასოფლო-სამეურნეო კრედიტები.

0.1.2. გამოკვლევის ობიექტი. სასოფლო მეურნეობა და მისი მეურნე. გამოკვლევის ობიექტია **სასოფლო მეურნეობა** (მოკლედ **მეურნეობა**) – დამოუკიდებელი ეკონომიკური ერთეული, მიუხედავად მისი ზომისა, საკუთრების ფორმისა თუ იურიდიული სტატუსისა, რომელშიც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოება ერთიანი ხელმძღვანელობით. ამ ერთიან ხელმძღვანელობას ახორციელებს **მეურნე** – სუბიექტი, რომელიც პასუხისმგებელია უმთავრეს სამეურნეო გადაწყვეტილებებზე და თავის თავზე იღებს მეურნეობის გაძღვლასთან დაკავშირებულ ყველა ეკონომიკურ რისკს და დანახარჯს, აგრეთვე სარგებლობს სამეურნეო საქმიანობის შედეგებით.

სასოფლო მეურნეობის დამახასიათებელი ატრიბუტებია:

ა) მიწა (საკუთარი ან იჯარით აღებული), რომელზეც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოება ან ამ წარმოებისათვის ხელშემწყობი საქმიანობა (ფართობი მეურნის სახლისა ან ოფისისათვის, საიდანაც მიმდინარეობს მეურნეობის მართვა, ფართობი პირუტყვის შესანახად, ფართობი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესანახად, ფართობი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახად, ქარსაცავი ზონები და ა. შ.);

ბ) პირუტყვი და ფრინველი (საკუთარი ან იჯარით აღებული), რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად.

ყოველ მეურნეობაში ამ ატრიბუტებიდან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს სახეზე. ამდენად სასოფლო მეურნეობად არ ჩაითვლება ის ეკონომიკური ერთეული, რომელიც ეწევა მხოლოდ: ა) სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას; ბ) მეტყვევებას; გ) აკაკულტურას (თევზებისა და წყლის სხვა ცხოველების ხელოვნურ მოშენებას).

მეურნეობათა განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენს ე.წ. **უმიწო მეურნეობები**, ანუ მეურნეობები, რომელთათვისაც მიწა არ წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორს. ასეთი მეურნეობების მაგალითებია:

- ა) საინკუბატორო მეურნეობა;
- ბ) მეურნეობა, რომელიც ეწევა მხოლოდ მეცხოველეობას (მაგალითად მეფუტკრეობას) საზოგადო სარგებლობის მიწებზე,
- გ) მრავალსართულიან სახლში მცხოვრები შინამეურნეობა, რომელსაც ბოსელი აქვს საერთო ეზოში;
- დ) მეურნეობა, რომელიც არ ფლობს საკუთრების ან საიჯარო უფლებას მიწაზე, მაგრამ ფლობს საკუთრების ან საიჯარო უფლებას ამ მიწაზე მდგარ ხეებზე და მათ ნაყოფზე, და ა.შ.

მეურნეობათა კლასიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი მეურნე. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად საქართველოში დაფიქსირდა მეურნის შემდეგი ტიპები:

- **შინამეურნეობა** – გადაწყვეტილებებს მეურნეობის წარმართვის შესახებ იღებს შინამეურნეობის ერთი ან რამდენიმე წევრი, ხოლო მეურნეობის პროდუქციით და მისგან მიღებული შემოსავლებით შინამეურნეობის წევრები ერთობლივად სარგებლობენ. ამ შემთხვევაში მეურნეობას **ოჯახური მეურნეობა** ეწოდება. ოჯახური მეურნეობის შემთხვევაში **მეურნის** სახელით ჩვენ მოვიხსენიებთ როგორც შინამეურნეობას, ისე შინამეურნეობის იმ წევრს, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია მეურნეობის გაძლოლაზე (როგორც წესი, ეს შინამეურნეობის უფროსია, თუმცა არ არის სავალდებულო, რომ ეს ასე იყოს).
 - **რამდენიმე შინამეურნეობა** – გადაწყვეტილებებს მეურნეობის წარმართვის შესახებ იღებს (ყოველგვარი ფორმალურ-იურიდიული რეგისტრაციის გარეშე) ფიზიკურ პირთა ჯგუფი **ორი ან მეტი შინამეურნეობიდან**, ხოლო მეურნეობის პროდუქციით და მისგან მიღებული შემოსავლებით შინამეურნეობები ერთობლივად სარგებლობენ. თითოეულ შინამეურნეობას (აგრეთვე შინამეურნეობის იმ წევრს, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია მეურნეობის გაძლოლაზე) **თანამეურნე** ეწოდება, ხოლო ასეთი ტიპის მეურნეობას – **თანამეურნეობა**.
 - **ინდივიდუალური მეწარმე** – “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად მეწარმედ დარეგისტრირებული ფიზიკური პირი. ამ შემთხვევაში მეურნეობას **ინდივიდუალური სასოფლო-სამეურნეო საწარმო** ეწოდება.
 - “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად შექმნილი იურიდიული პირი (**სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი**). ამ შემთხვევაში მეურნეობას **სასოფლო-სამეურნეო საწარმო** ეწოდება.
1. **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება** – ორი ან მეტი ფიზიკური პირის მიერ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად წილობრივ საწყისებზე შექმნილი საზოგადოება, რომლის ვალდებულებების გამო მეწილეები პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები **თანამეურნეებისაგან** მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ოფიციალურად არიან იურიდიულ პირად დარეგისტრირებული.
 2. **კომანდიტური საზოგადოება** – რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად წილობრივ საწყისებზე შექმნილი საზოგადოება, რომლის პარტნიორთა ნაწილი (კომპლემენტარები) მთელი თავისი ქონებითაა საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელი, ხოლო მეორე ნაწილი (კომანდიტები) – მხოლოდ თავისი წილით.
 3. **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)** – ერთი ან რამდენიმე პირის (ფიზიკური ან იურიდიული) მიერ “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად წილობრივ საწყისებზე შექმნილი საზოგადოება, რომლის ვალდებულებების გამო მეწილეები პასუხს აგებენ მხოლოდ საზოგადოების ქონებით.
 4. **სააქციო საზოგადოება** – “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად შექმნილი საზოგადოება, რომელშიც პარტნიორთა (ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა) წილი მათ მიერ აქციების ფლობით გამოიხატება და რომლის ვალდებულებების გამო მეწილეები პასუხს აგებენ მხოლოდ საზოგადოების ქონებით.

5. **კოოპერატივი** – “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად შექმნილი საზოგადოება, რომლის წევრები (ფიზიკური ან იურიდიული პირები) ერთიანდებიან გარკვეული საქმიანობის ერთობლივად წარმართვის მიზნით.
 - **სხვა სუბიექტი** (ასოციაცია, კავშირი, სახელმწიფო დაწესებულება, ეკლესია, მონასტერი და ა.შ.). ამ შემთხვევაში მეურნეობას **სხვა ტიპის სასოფლო მეურნეობა** ეწოდება.

0.1.3. გამოკვლევის ჩატარების პროცედურა. გამოკვლევა შერჩევითია. მთელს ქვეყანაში დაფიქსირებული დაახლოებით 800 000 მეურნეობიდან ორსაფეხურიანი კლასტერული სტრატეგიციზირებული შერჩევის საფიქსირებულზე შეირჩევა დაახლოებით 5000 მეურნეობა. ეს მეურნეობები გამოკითხებიან გამოკვლევის ერთი რაუნდის განმავლობაში, რომელიც ერთ კალენდარულ (საანგარიშო) წელს მოიცავს. სულ ტარდება 5 გამოკითხვა:

1. **საწყისი გამოკითხვა**, ტარდება **საწყისი გამოკითხვის კითხვარით** საანგარიშო წლის იანვრის III დეკადაში; ამ გამოკითხვისას ხდება შერჩეული მეურნეობების იდენტიფიკაცია და ფიქსირდება შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის არსებული მდგომარეობა.

2. **I კვარტალის გამოკითხვა**, ტარდება **კვარტალური კითხვარით** საანგარიშო წლის აპრილის I დეკადაში; ამ გამოკითხვისას გროვდება ინფორმაცია შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო წლის I კვარტალის განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

3. **II კვარტალის გამოკითხვა**, ტარდება **კვარტალური კითხვარით** საანგარიშო წლის ივლისის I დეკადაში; ამ გამოკითხვისას გროვდება ინფორმაცია შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო წლის II კვარტალის განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

4. **III კვარტალის გამოკითხვა**, ტარდება **კვარტალური კითხვარით** საანგარიშო წლის ოქტომბრის I დეკადაში; ამ გამოკითხვისას გროვდება ინფორმაცია შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო წლის III კვარტალის განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

5. **დასკვნითი (IV კვარტალის) გამოკითხვა**, ტარდება **დასკვნითი გამოკითხვის კითხვარით** საანგარიშო წლის მომდევნო წლის იანვრის II დეკადაში; ამ გამოკითხვისას გროვდება როგორც ინფორმაცია შერჩეულ მეურნეობებში საანგარიშო წლის IV კვარტალის განმავლობაში განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ისე შემაჯამებელი ინფორმაცია მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

§0.2. გამოკვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პერსონალი და მათი მოვალეობები

გამოკვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პერსონალი იყოფა ოთხ ჯგუფად:

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცენტრალური ოფისის თანამშრომლები;
2. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რეგიონალური ქვედანაყოფების უფროსები;
3. საველე სამუშაოების ზედამხედველები;
4. ინტერვიუერები.

ქვემოთ მოყვანილია თითოეული ამ ჯგუფის წარმომდგენლების სამუშაოს აღწერა გამოკვლევის მიმდინარეობისას.

0.2.1. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცენტრალური ოფისის თანამშრომელი.

გამოკვლევით მოცული ტერიტორია გაყოფილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლებს შორის. თითოეულ თანამშრომელს აქვს თავისი საკურატორო არეალი. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომელს ევალება:

1. კვლევის ყოველი ახალი რაუნდის დაწყების წინ თავის საკურატორო არეალში შესაბამისი რეგიონის საველე სამუშაოების ზედამხედველების და ინტერვიუების ტრენინგის ჩატარება;

2. თავის საკურატორო არეალში გამოკვლევის მიმდინარეობის ზედამხედველობა და კონტროლი (გამოკვლევის ინსტრუმენტარის გაგზავნა და მიღება, კომპიუტერში ჩაწერილი მასალების კომპიუტერული ლოგიკური კონტროლი, ინტერვიუების და ზედამხედველების მუშაობის მონიტორინგი და ა.შ.).

3. საჭიროებისამებრ საველე სამუშაოების შემდგომი კონტროლის ჩატარება თავისი საკურატორო არეალის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს სხვა თანამშრომელთან ერთად.

0.2.2. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რეგიონალური ქვედანაყოფის უფროსი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რეგიონალური ქვედანაყოფის უფროსს ევალება:

1. უზრუნველყოს რეგიონის ტერიტორიაზე ტრენინგების ორგანიზაცია;

2. უზრუნველყოს რეგიონის ტერიტორიაზე საველე სამუშაოების ჩატარება, მონიტორინგი და ვადების დაცვა;

3. უზრუნველყოს შევსებული კითხვარების რეგიონალურ ცენტრში მოზიდვა და მათი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცენტრალურ ოფისში დროულად გაგზავნა.

0.2.3. საველე სამუშაოების ზედამხედველი (მოკლედ – ზედამხედველი).

ზედამხედველის **სამუშაო არეალი** (მუნიციპალიტეტ(ებ)ი ან თემებისა და სოფლების ჩამონათვალი) განისაზღვრება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სოფლის მეურნეობის და გარემოს სტატისტიკის სამმართველოს მიერ. ზედამხედველი პასუხისმგებელია მისი სამუშაო არეალის ფარგლებში ჩატარებულ ყოველ გამოკითხვაზე და შევსებული კითხვარის სისწორეზე. საველე სამუშაოების დაწყების წინ ზედამხედველი სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაბამისი რეგიონალური ქვედანაყოფის უფროსისაგან იღებს შემდეგ მასალას:

1. გამოსაკითხი მეურნეობების სიას სპეციალური ფორმით, რომელიც შეიცავს შემდეგ მონაცემებს: მეურნეობის თორმეტნიშნა კოდი, მეურნის გვარი და სახელი (თუ მეურნე ფიზიკური პირია) ან დასახელება (სხვა შემთხვევებში) და მეურნის მისამართი. მეურნეობის იდენტიფიკაციის გაადვილების მიზნით (იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სოფელში მოცემული გვარისა და სახელის რამდენიმე პირი ცხოვრობს ან იურიდიული პირის დასახელება შეცდომითაა მითითებული) ფორმაში აგრეთვე მითითებულია: მეურნის ასაკი და მის შინამეურნეობაში ქალების და კაცების რაოდენობა (იმ შემთხვევაში, თუ მეურნე ფიზიკური პირია და ასეთი მონაცემები არსებობს), აგრეთვე მეურნეობის მიწის სრული ფართობი.

2. იმდენ კითხვარს, რამდენი მეურნეობაცაა გამოსაკითხი მის სამუშაო არეალში, პლიუს გარკვეული რეზერვი, აგრეთვე დამატებით ფურცლებს იმ შემთხვევისათვის, თუ კითხვარში არსებული ფურცლების რაოდენობა არ აღმოჩნდება საკმარისი ყველა ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად.

ზედამხედველი ატარებს თავისი სამუშაო არეალის ფარგლებში მომუშავე ინტერვიუების კანდიდატების მიმდინარე ტრენინგებს.

საველე სამუშაოების დაწყებამდე ზედამხედველი:

1. თითოეულ ინტერვიუერს განუსაზღვრავს **სამუშაო არეალს** (თემების და სოფლების ჩამონათვალს) ისე, რომ თითოეულს შეხვედეს ჩასატარებელი ინტერვიუების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა, და გადასცემს მას მის მიერ გამოსაკითხ მეთუნეობათა ჩამონათვალს მისამართებით ამ არეალიდან.
2. ინტერვიუერთან ერთად გეგმავს საველე სამუშაოებს. კითხვარების კონტროლის პროცესის დასაჩქარებლად მუნიციპალიტეტის ცენტრთან ადვილად დაკავშირებადი ინტერვიუერებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს კითხვარების რამდენჯერმე მოწოდება.

ზედამხედველს ევალება:

1. საველე სამუშაოების პერიოდში გააკონტროლოს მისდამი დაქვემდებარებული ინტერვიუერების მუშაობა;
2. როგორც საველე სამუშაოების პერიოდში, ისე მათი დასრულების შემდეგ კითხვარის შევსების ინსტრუქციის ყოველი ნაწილის ბოლოში მოყვანილი კონტროლების ჩამონათვალის მიხედვით გააკონტროლოს მის სამუშაო არეალში შევსებული ყველა კითხვარი, რომელიც მას მიეწოდება საველე სამუშაოების პერიოდში. საჭიროების შემთხვევაში დააბრუნოს კითხვარი გამოკითხვის ხელახლა ჩასატარებლად. მას შემდეგ, რაც იგი დარწმუნდება კითხვარის შევსების სისწორეში, დააწეროს პირველ გვერდზე თავისი გვარი და სახელი და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მისდამი მინიჭებული კოდი, აგრეთვე მოაწეროს ხელი, რითაც დაადასტურებს თავის პასუხისმგებლობას კითხვარის შევსების სისწორეზე;
3. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ დროულად მიაწოდოს რეგიონალურ ოფისს მის მიერ გაკონტროლებული და ხელმოწერილი კითხვარები. თან დაურთოს სპეციალური ფორმით შედგენილი ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება, თუ რომელმა ინტერვიუერმა რამდენი კითხვარი შეავსო სრულად და რამდენი არასრულად (მხოლოდ მეთუნეობის იდენტიფიკაცია).

0.2.4. ინტერვიუერი.

საველე სამუშაოების დაწყების წინ ინტერვიუერი ზედამხედველისაგან იღებს შემდეგ მასალას:

1. გამოსაკითხი მეთუნეობების სიას სპეციალური ფორმით, რომელიც შეიცავს შემდეგ მონაცემებს: მეთუნეობის თორმეტნიშნა კოდი, მეთუნის გვარი და სახელი (თუ მეთუნე ფიზიკური პირია) ან დასახელება (სხვა შემთხვევებში) და მეთუნის მისამართი. მეთუნეობის იდენტიფიკაციის გაადვილების მიზნით (იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სოფელში მოცემული გვარისა და სახელის რამდენიმე პირი ცხოვრობს ან იურიდიული პირის დასახელება შეცდომითაა მითითებული) ფორმაში აგრეთვე მითითებულია: მეთუნის ასაკი და მის შინამეთუნეობაში ქალების და კაცების რაოდენობა (იმ შემთხვევაში, თუ მეთუნე ფიზიკური პირია და ასეთი მონაცემები არსებობს), აგრეთვე მეთუნეობის მიწის სრული ფართობი;
2. ინფორმაციას მისი სამუშაო არეალის შესახებ;
3. იმდენ კითხვარს, რამდენი მეთუნეობაცაა ინტერვიუერის მიერ გამოსაკითხი, პლიუს გარკვეულ რეზერვს, აგრეთვე დამატებით ფურცლებს იმ შემთხვევისათვის, თუ კითხვარში არსებული ფურცლების რაოდენობა არ აღმოჩნდება საკმარისი ყველა ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად;

საველე სამუშაოების დაწყების წინ ინტერვიუერი ამზადებს კითხვარებს მუშაობისათვის. კერძოდ, სიაში მყოფი თითოეული მეთუნეობისათვის კითხვარის პირველ

გვერდზე ავსებს მეურნეობის თორმეტნიშნა კოდს. **მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს კოდი უშეცდომოდ იყოს ჩაწერილი!** მეურნეობაში ინტერვიუს ჩატარებისას ინტერვიუერი იყენებს შესაბამისი კოდის მქონე კითხვარს.

საველე სამუშაოების პერიოდში ინტერვიუერს ევალება:

1. ჩაატაროს ინტერვიუები (პირველი მისვლა მეურნეობაში) წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით, მეურნეობაში პირადად მისვლით;

2. რესპონდენტის კერპონის შემთხვევაში დატოვოს ზეპირი ან წერილობითი შეტყობინება, რომელშიც გადმოცემული იქნება თავისი შემდეგი ვიზიტის დრო, აგრეთვე თავისი კოორდინატები თხოვნით, რომ, თუ ეს დრო რესპონდენტისათვის მოსახერხებელი არ არის, თავად დაუკავშირდეს მოსახერხებელი დროის შესათანხმებლად. ინტერვიუერმა უნდა ჩაატაროს **სამი** ცდა რესპონდენტის მოსაძებნად;

3. ყოველი სამუშაო დღის ბოლოს დაწვრილებით შეამოწმოს დღის განმავლობაში შევსებული კითხვარების შევსების სისწორე კითხვარის შევსების ინსტრუქციის ყოველი ნაწილის ბოლოში მოყვანილი კონტროლების ჩამონათვალის მიხედვით. დარწმუნდება რა კითხვარის შევსების სისწორეში, ბურთულიანი ავტოკალმით პირველ გვერდზე დააწეროს თავის სახელი და გვარი და კოდი, და მოაწეროს ხელი, რითაც დაადასტურებს თავის პასუხისმგებლობას კითხვარის შევსების სისწორეზე;

4. დროულად მიაწოდოს ზედამხედველს შევსებული კითხვარები გასაკონტროლებლად;

5. საჭიროების შემთხვევაში ზედამხედველის მითითებით ხელმეორედ ჩაატაროს ინტერვიუ.

0.2.5. ზოგადი მითითებები ინტერვიუერებისადმი.

- გამოკითხვისას კითხვარის შესავსებად გამოყენებულ უნდა იქნეს გრაფიკის ფანქარი;
- კითხვებზე პასუხი გაცემულ უნდა იქნეს ან შესაბამის კვადრატში გრაფიკული აღნიშვნის – ჯვრის (X) დასმით, ან შესაბამის ადგილას ციფრების ან სიტყვების ჩაწერით;
- მუქად შეფერილი უჯრები არ უნდა იქნეს შევსებული;
- თითოეული კითხვა დასმულ უნდა იქნეს მხოლოდ ისე, როგორც კითხვარშია მოცემული;
- თუ პასუხი არასწორად იქნა ჩაწერილი, იგი უნდა ამოიშალოს საშლელით და შეიცვალოს სწორი პასუხით;
- კითხვარის შევსებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული მითითებული მათემატიკური თანაფარდობები.

ა. საწყისი გამოკითხვა

1.1. საწყისი გამოკითხვის კითხვარის შევსების ინსტრუქცია

კონტროლები პირველი გვერდისათვის

- გამოკითხული პირის სახელი და გვარი – შევსებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც 0.4 კითხვაზე პასუხია 3.
- გამოკითხული პირის დამოკიდებულება მეურნეობასთან – თუ გამოკითხული პირის სახელი და გვარი მითითებულია, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოკითხული პირის (რესპონდენტის) დამოკიდებულება მეურნეობასთან.
- ინტერვიუერი – აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ინტერვიუერის სახელი და გვარი და კოდი, აგრეთვე აუცილებლად უნდა იყოს მისი ხელმოწერა.
- ზედამხედველი – აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ზედამხედველის სახელი და გვარი და კოდი, აგრეთვე აუცილებლად უნდა იყოს მისი ხელმოწერა.
- მეურნეობის კოდი (თორმეტნიშნა რიცხვი) – აუცილებლად უნდა იყოს მითითებული. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს კოდი უშეცდომოდ იყოს ჩაწერილი!

თავსართი: მეურნეობის იდენტიფიკაცია

საწყისი გამოკითხვისას ინტერვიუერის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მეურნეობის იდენტიფიკაცია, ანუ იმის გარკვევა, არსებობს თუ არა ის ეკონომიკური ერთეული, რომელიც სიაშია მოყვანილი, მიუხედავად იმისა, გამოიცვალა თუ არა მისი მეურნე ან იმავე მისამართზე არსებობს თუ არა იგი (ვინაიდან მეურნე შეიძლება იყოს იურიდიული პირიც, მის შესახებ ვერ ვიტყვით, რომ იგი ცხოვრობს ამა თუ იმ მისამართზე, ამიტომ ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს “მეურნე არსებობს ამა თუ იმ მისამართზე”. ფიზიკური პირის შემთხვევაში ამის ქვეშ იგულისხმება, რომ იგი ცხოვრობს ამ მისამართზე, იურიდიული პირის (ზოგ შემთხვევაში ინდივიდუალური მეწარმის) შემთხვევაში კი – რომ მისი ოფისი განლაგებულია ამ მისამართზე). ამასთან შეიძლება გარკვეული ცვლილებები იყოს მომხდარი მოხდეს მიწის ფართობში სიის მონაცემებთან შედარებით (შეიძლება შეძენილ ან გაყიდულ იყოს მიწა, ან მიწა იჯარით იყოს აღებული, ან შეწუვეტილი იყოს მიწის იჯარის ადრე არსებული ხელშეკრულება, აგრეთვე შეიძლება შეიცვლილი იყოს საქმიანობის სახე – ახლად შეძენილ ან სრულიად გაყიდულ იყოს პირუტყვი და ა.შ.). **მეურნეობის იდენტიფიკაციის შედეგები ფიქსირდება 0.1-0.2 კითხვებში.** მეურნეობის იდენტიფიკაცია მეტად საპასუხისმგებლო პროცედურაა და აქ მრავალი სხვადასხვა შემთხვევა შეიძლება შეგვხვდეს, რომლებიც ქვემოთაა აღწერილი.

1. სიაში მითითებულ მისამართზე არსებობს სიაში მითითებული მეურნე და უძღვება სიაში მითითებულ მეურნეობას. ამ შემთხვევაში 0.1-ში აღინიშნება კვადრატით 1 (მეურნეობა არსებობს) და 0.2-შიც კვადრატით 1 (არავითარი ცვლილება).

2. სიაში მითითებულ მისამართზე არსებობს სხვა მეურნე და უძღვება სიაში მითითებულ მეურნეობას. ტიპური მაგალითებია:

ა) შეიცვალა შინამეურნეობის მეთაური (ან მისი ის წევრი, რომელიც უშუალოდ უძღვება მეურნეობას);

ბ) ფირმამ გამოიცვალა დასახელება, მაგრამ მეურნეობა, როგორც ეკონომიკური ერთეული, დარჩა;

გ) ფირმამ მეურნეობა სხვა ფირმას მიჰყიდა ისე, რომ მეურნეობის მმართველი ოფისი იმავე მისამართზე დარჩა;

დ) შინამეურნეობა სხვა ადგილას გადავიდა საცხოვრებლად, მიჰყიდა რა ყველაფერი (სახლი, მიწა, პირუტყვი და ა.შ.) სხვა შინამეურნეობას, რომელიც მოცემულ მისამართზე გადმოვიდა საცხოვრებლად.

ამ შემთხვევაში 0.1-ში აღინიშნება კვადრატი 1 (მეურნეობა არსებობს), ხოლო 0.2-ში – კვადრატი 2 (შეიცვალა მხოლოდ მეურნე). გარდა ამისა, ინტერვიუერი შენიშვნებში მიუთითებს ახალი მეურნის გვარსა და სახელს ან დასახელებას.

3. მეურნე არ შეცვლილა, მაგრამ გადავიდა სხვა მისამართზე და უძღვება სიაში მითითებულ მეურნეობას. ტიპური მაგალითებია:

ა) ოჯახი (ან მეურნეობის გამძლეობი პირი) გადავიდა საცხოვრებლად ქალაქიდან სოფელში ან პირიქით, და უძღვება იმავე სასოფლო მეურნეობას;

ბ) ფირმამ გამოიცვალა ოფისის მისამართი.

ამ შემთხვევაში 0.1-ში აღინიშნება კვადრატი 1 (მეურნეობა არსებობს), ხოლო 0.2-ში – კვადრატი 3 (შეიცვალა მხოლოდ მეურნის მისამართი). გარდა ამისა, ინტერვიუერი შენიშვნებში მიუთითებს მეურნის ახალ მისამართს.

თუ ახალი მისამართი ინტერვიუერის სამუშაო არეალის ფარგლებშია, იგი მიდის ამ მისამართზე და ატარებს გამოკითხვას იმავე კითხვარით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი 0.4 კითხვაზე აღნიშნავს პასუხს 1 (რესპონდენტი ვერ მოიძებნა) და აბარებს კითხვარს ზედამხედველს ისე, რომ პირველ გვერდზე აწერს თავის სახელსა და გვარს და აფიქსირებს ხელმოწერას. ზედამხედველი იბარებს კითხვარს, და თუ მისამართი მის სამუშაო არეალშია, შესაბამის ინტერვიუერს გაუშვებს ამ მისამართზე სარეზერვო კითხვარით გამოკითხვის ჩასატარებლად, ამასთან ახალ კითხვარს დაეწერება მეურნის იგივე კოდი, ხოლო ძველს შენიშვნებში მიეწერება, რომ ახალ მისამართზე გაიგზავნა სხვა ინტერვიუერი გამოსაკითხად. წინააღმდეგ შემთხვევაში ზედამხედველი უკავშირდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცენტრალურ ოფისში კურატორს და გააცნობს არსებულ სიტუაციას. ცენტრალურ ოფისში მიიღება გადაწყვეტილება, თუ რომელ ინტერვიუერს დაევალოს მოცემული მეურნეობის გამოკითხვა.

4. ადგილი აქვს მე-2 და მე-3 შემთხვევებს ერთად, ანუ გამოიცვალა როგორც მეურნე, ისე მისი მისამართი, მაგრამ მეურნეობა, როგორც ეკონომიკური ერთეული, დარჩა.

ამ შემთხვევაში 0.1-ში აღინიშნება კვადრატი 1, ხოლო 0.2-ში – კვადრატი 4 (შეიცვალა მეურნეც და მისი მისამართიც). გარდა ამისა, ინტერვიუერი შენიშვნებში მიუთითებს ახალი მეურნის სახელსა და გვარს ან დასახელებას და მისამართს. შემდგომი მოქმედება მიმდინარეობს მე-3 შემთხვევის ანალოგიურად.

5. გაურკვეველია, რომელ მეურნეობაზეა საუბარი. კერძოდ:

ა) სიაში მითითებული მისამართი არ არსებობს (ქალაქდასახლების შემთხვევაში); ან

ბ) სიაში მითითებულ მისამართზე (ქალაქად) ან სოფელში სიაში მითითებული ფიზიკური პირი (შინამეურნეობა) ან იურიდიული პირი ვერ მოიძებნა; ან

გ) სიაში მითითებულ მისამართზე (ქალაქად) ან სოფელში ასეთი პირი არსებობს, მაგრამ მას არავითარი კავშირი არა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ან სიაში აღწერილ მეურნეობასთან, ამასთან შეუძლებელია ამ მეურნეობის გამძლეოლი მეურნის და მისი მისამართის დადგენა.

ამ შემთხვევაში 0.1-ში აღინიშნება კვადრატი 2 (გაურკვეველია), ხოლო 0.2 კითხვა საერთოდ არ ივსება. შენიშვნებში მიეთითება გაურკვევლობის მიზეზი. კითხვარი ბარდება ზედამხედველს, რომელიც ღებულობს ყველა ზომას მეურნეობის იდენტიფიკაციისათვის და კითხვარის შესავსებად. თუ ეს ვერ მოხერხდა, ზედამხედველი აწერს პირველ გვერდზე თავის სახელს გვარს, მოაწერს ხელს, და კითხვარი იგზავნება ჯერ რეგიონალურ, შემდეგ კი ცენტრალურ ოფისში.

6. დანარჩენ შემთხვევებში 0.1-ში აღინიშნება კვადრატი 3 (მეურნეობა არ არსებობს), ხოლო 0.2 არ ივსება. მეურნეობა შეიძლება არ არსებობდეს 0.3 კითხვის შევსების ქვემოთყვანილ ინსტრუქციაში მითითებული ერთ-ერთი მიზეზის გამო. ინტერვიუერი 0.3 კითხვაში მიუთითებს ამ მიზეზს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქცევა ისე, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი.

0.3. მეურნეობის არარსებობის მიზეზი. ამ კითხვაზე პასუხი გაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 0.1 კითხვაზე პასუხია 3 (მეურნეობა არ არსებობს).

კვადრატი 1 (მეურნე ადარ ეწევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას) აღინიშნება შემდეგ შემთხვევებში:

ა) სიაში მითითებული ან ახალი მეურნე არსებობს სიაში მითითებულ ან ახალ მისამართზე, მაგრამ მეურნეობაში აღარ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოება იმის გამო, რომ აღარ არის პირუტყვი და მთელი მიწა მიტოვებულია, იჯარითაა გაცემული ან გამოიყენება არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, თან ამას მყარი და ხანგრძლივი ხასიათი აქვს; ან

ბ) მეურნეობის მიწა მთლიანად იჯარით იყო აღებული, ამჟამად მეურნეს მიწა იჯარით არა აქვს აღებული და მომავალშიც ხანგრძლივად აღარ აპირებს მიწის იჯარით აღებას.

თუ მეურნე მხოლოდ საანგარიშო პერიოდში არ ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ან ხელისშემშლელი პირობების გამო (ვერ დაამუშავა მიწა და ა.შ.) ან იმის გამო, რომ დროებით შეწყვიტა მიწის იჯარა, და უახლოეს მომავალში აპირებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განახლებას, მაშინ იგულისხმება რომ მეურნეობა არსებობს და 0.1-ში უნდა აღინიშნოს კვადრატი 1. ამავე დროს შენიშვნებში უნდა დაიწეროს, რომ მეურნეობა დროებით არ ფუნქციონირებს მიზეზების მოკლე ახსნით, ხოლო კითხვარი შეივსოს ჩვეულებრივ (მთელი სახნავი აღინიშნება, როგორც დროებით დაუშუშავებული, თუ ტექნიკა არის, მიეთითება და ა.შ.).

კვადრატი 2 (მეურნე აღარ არსებობს) აღინიშნება შემდეგ შემთხვევაში: მოცემული მეურნე (ამ შემთხვევაში შინამეურნეობა) ფიზიკურად აღარ არსებობს (მთელი ოჯახი წავიდა ემიგრაციაში, ფირმა დაიშალა, თანამეურნეობამ შეწყვიტა არსებობა) ისე, რომ მიწა მიტოვებული დარჩა. თუ მიწას პატრონი გამოუჩნდა, მაგრამ იგი გამოიყენება არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, თანაც ხანგრძლივ პერსპექტივაში, მაშინ 0.3-ში აღინიშნება კვადრატი 1 (მეურნე, ამ შემთხვევაში ახალი, აღარ ეწევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას). თუ მთელი მეურნეობა (მიწა და ა.შ.) გადავიდა ისეთი პირის მფლობელობაში, რომელიც მასში ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას (ან დროებით აქვს იგი შეწყვეტილი), მაშინ:

ა) თუ ეს პირი მანამდე უძღვებოდა რაიმე მეურნეობას და მოცემული მეურნეობა მიიერთა, მაშინ 0.3-ში აღინიშნება კვადრატის 3 (მთლიანად შთანთქა სხვა მეურნეობამ) ქვემოაღწერილ მოქმედებებთან ერთად;

ბ) თუ იგი მანამდე არ უძღვებოდა რაიმე მეურნეობას, მაშინ ამ სიტუაციაში საქმე გვაქვს მეურნის შეცვლასთან. შესაბამისად, 0.1-ში უნდა აღინიშნოს 1 (მეურნეობა არსებობს), ხოლო 0.2-ში – 2 (თუ ახალი მეურნე იმავე მისამართზეა) ან 4 (თუ ახალი მეურნე სხვა მისამართზეა) ზემოაღწერილ სხვა მოქმედებებთან ერთად.

მხოლოდ მეურნის (ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის) გარდაცვალება არ წამოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ ჩავთვალოთ, რომ მეურნე აღარ არსებობს, თუ შინამეურნეობის დარჩებილი წევრებიდან რომელიმემ აიღო თავის თავზე მეურნეობის გაძღოლა (ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ მეურნის შეცვლასთან).

კვადრატი 3 (მთლიანად შთანთქა სხვა მეურნეობამ) აღინიშნება შემდეგ შემთხვევაში: მეურნეობა (მიწა და ა.შ.) მთლიანად გადავიდა სხვა მეურნის (მეურნეების) მფლობელობაში (მიყიდვის ან სხვა, მაგალითად სხვა შინამეურნეობასთან გაერთიანების, გზით), რომელსაც (რომელთაც) მანამდე ჰქონდა(თ) თავისი მეურნეობა. ინტერვიუერი შენიშვნებში წერს ახალი მეურნის (მეურნეების) სახელსა და გვარს (დასახელებას) და მისამართს (თუ რომელიმე რეკვიზიტი უცნობია, იწერება “უცნობია”). შთანთქმელი მეურნეობა (მეურნეობები) არ გამოიკითხება.

კვადრატი 4 (გაერთიანება) აღინიშნება შემდეგ შემთხვევებში.

ა) რამდენიმე ოჯახურმა მეურნეობამ შეწყვიტა არსებობა და მათ მაგივრად შეიქმნა თანამეურნეობა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან შპს, რომელშიც ამ ოჯახებს თავისი წილი აქვთ.

ბ) მეურნე იურიდიული პირია და იგი გაერთიანდა სხვა იურიდიულ პირ(ებ)თან ისე, რომ თითოეულმა შეწყვიტა არსებობა და შეიქმნა ახალი იურიდიული პირი.

შენიშვნებში ჯერ სათაურით “ბეული მეურნეები” იწერება იმ მეურნეობების მეურნეების გვარი და სახელი (დასახელება) და მისამართი, რომლებიც გაერთიანდნენ, შემდეგ კი სათაურით “ახალი მეურნე” იწერება გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი მეურნეობის მეურნის გვარი და სახელი (დასახელება) და მისამართი (თუ რომელიმე რეკვიზიტი უცნობია, იწერება “უცნობია”). თუ ახალი მისამართი ინტერვიუერის საშუალო არეალის ფარგლებშია, იგი ატარებს გამოკითხვას ამ მეურნეობაში იგივე კითხვარით, თუ არა და მოქმედება მიმდინარეობს ისევე, როგორც ზემოთ არის აღწერილი მისამართის გამოცვლის შემთხვევაში.

განსხვავება მე-3 და მე-4 პასუხებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ მე-3 პასუხის შემთხვევაში ახალი მეურნეობა არ იქმნება, ხოლო მე-4 პასუხის შემთხვევაში – იქმნება.

კვადრატი 5 (დაშლა) აღინიშნება შემდეგ შემთხვევაში. მეურნეობა გადანაწილდა რამდენიმე მეურნეს შორის (შინამეურნეობა გაიყო, ფირმა დაიშალა), ისე, რომ მის მაგივრად წარმოიქმნა რამდენიმე ახალი მეურნეობა. **შენიშვნებში** ჩაიწერება ახალი მეურნეების რეკვიზიტები და ზემოაღწერილი პროცედურით გამოიკითხება “მემკვიდრე” (ახალ) მეურნეებს შორის უმნიშვნელოვანესი (შესაბამისად შენიშვნებში აღინიშნება თუ რომელი გამოიკითხა). თუ მეურნეობა გადანაწილდა უკვე არსებულ მეურნეობებს შორის, მაშინ აღინიშნება კვადრატი 3 (შთანთქმა).

განვიხილოთ რამდენიმე ტიპური მაგალითი.

1. მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობის მეურნე შინამეურნეობაა, რომელშიც შესაძლოა გარკვეული ცვლილებები იყოს მომხდარი. განვიხილოთ დაწვრილებით შესაძლო შემთხვევები.

ა) სიაში მითითებული პირი აღარ უძღვება მეურნეობას და მისი ადგილი ოჯახის სხვა წევრმა დაიკავა (მაგ. მამა გარდაიცვალა და მისი ადგილი შვილმა დაიკავა, ან შვილი ან ძმა ემიგრაციაში წავიდა და მისი ადგილი მამამ ან ძმამ დაიკავა და ა.შ.), მაგრამ შინამეურნეობა არ დაშლილა და არც სხვა შინამეურნეობას მიერთებია. ამ შემთხვევაში 0.1-ზე პასუხია 1 (მეურნეობა არსებობს), 0.2-ზე – 2 (შეიცვალა მხოლოდ მეურნე), ხოლო 0.3 არ ივსება.

ბ) სიაში მითითებულმა პირმა მთელი მეურნეობა დაუტოვა შინამეურნეობის სხვა წევრს (მაგ. მამამ შვილს) და თვითონ შექმნა ახალი მეურნეობა. ამ შემთხვევაში 0.1-ზე პასუხია 1 (მეურნეობა არსებობს), 0.2-ზე – 2 (შეიცვალა მხოლოდ მეურნე), ხოლო 0.3 არ ივსება. ამასთან შენიშვნებში მიეთითება, რომ შეიქმნა ახალი მეურნეობა მეურნის რეკვიზიტების მითითებით.

გ) სიაში მითითებული პირი აღარ უძღვება მეურნეობას და მეურნეობა გაიყო შინამეურნეობის იმ წევრებს შორის, რომლებიც ადრე არ უძღვებოდნენ არავითარ მეურნეობას. მაგალითად, მამა გარდაიცვალა, შვილებმა მიწა გაიყვეს და ცალ-ცალკე მეურნეობას ეწვეიან. ამ შემთხვევაში 0.1-ზე პასუხია 3 (მეურნეობა აღარ არსებობს), 0.2 არ ივსება, ხოლო 0.3-ზე პასუხია 5 (მეურნეობა დაიშალა) ზემოთ მითითებული მოქმედებებით.

დ) სიაში მითითებული შინამეურნეობის წევრთა ნაწილი გამოეყო შინამეურნეობას და ცალკე მეურნეობას (ან მეურნეობებს) უძღვება (უძღვებიან), რაც სიაში მითითებული ფართობის შემცირებაში გამოისახა, მაგრამ სიაში მითითებული პირიც უძღვება მეურნეობას დარჩენილ ფართობზე. ამ შემთხვევაში 0.1-ზე პასუხია 1 (მეურნეობა არსებობს), 0.2-ზე 1 (არაფერი შეცვლილა), ხოლო 0.3 არ ივსება. შენიშვნებში ჩაიწერება, რომ გამოეყო შინამეურნეობის წევრ(ებ)ი (სახელი და გვარი და მისამართი) გამოყოფილი ფართობ(ებ)ის მითითებით, ხოლო კითხვარი ივსება დარჩენილ ფართობზე წარმოებული მეურნეობისათვის.

ე) სიაში მითითებული შინამეურნეობა გაერთიანდა სხვა შინამეურნეობასთან, (მაგ. მამა-შვილი, რომლებიც ადრე ცალკე ცხოვრობდნენ, გაერთიანდნენ), **ამასთან გაერთიანებულ მეურნეობას სიაში მითითებული პირი ან სიაში მითითებული შინამეურნეობის სხვა წევრი უძღვება.** ამ შემთხვევაში 0.1-ზე პასუხია 1 (მეურნეობა არსებობს), 0.2-ზე – შესაბამისად 1 (არაფერი შეცვლილა) ან 2 (შეიცვალა მხოლოდ მეურნე), ხოლო 0.3 არ ივსება. თუ შინამეურნეობა, რომელთანაც გაერთიანება მოხდა, მანამდე რაიმე სასოფლო მეურნეობას უძღვებოდა, შენიშვნებში ჩაიწერება მისი რეკვიზიტები.

ვ) სიაში მითითებული შინამეურნეობა გაერთიანდა სხვა შინამეურნეობასთან (მაგ. მამა-შვილი, რომლებიც ადრე ცალკე ცხოვრობდნენ, გაერთიანდნენ), **რომელიც ადრე რაიმე სასოფლო მეურნეობას უძღვებოდა, ამასთან გაერთიანებულ მეურნეობას იმ სხვა შინამეურნეობის წევრი უძღვება.** ამ შემთხვევაში 0.1-ზე პასუხია 3 (მეურნეობა არ არსებობს), 0.2 არ ივსება, ხოლო 0.3-ზე – 4 (მთლიანად შთანთქა სხვა მეურნეობამ). გაერთიანებული მეურნეობა არ გამოიკითხება.

ზ) სიაში მითითებული შინამეურნეობა გაერთიანდა სხვა შინამეურნეობასთან (მაგ. მამა-შვილი, რომლებიც ადრე ცალკე ცხოვრობდნენ, გაერთიანდნენ), **რომელიც ადრე სასოფლო მეურნეობას არ უძღვებოდა, ამასთან გაერთიანებულ მეურნეობას იმ სხვა შინამეურნეობის წევრი უძღვება.** ამ შემთხვევაში 0.1-ზე პასუხია 1 (მეურნეობა არსებობს), 0.2-ზე – 2 ან 4 (იმისდა მიხედვით, მხოლოდ მეურნე შეიცვალა თუ მისამართიც), ხოლო 0.3 არ ივსება. გაერთიანებული მეურნეობა გამოიკითხება.

2. მსხვილი ფირმა იჯარით აღებული მიწით დაიშალა და მისი მიწა სხვა მოიჯარეებმა აიღეს, ან თვით ფირმამ მთელი თავისი მიწა ქვეიჯარით გასცა.

ამ შემთხვევაში 0.1 კითხვას გაეცემა პასუხი 3 (მეურნეობა აღარ არსებობს), ხოლო 0.3 კითხვაზე:

ა) თუ მოიჯარეთა რაოდენობა დიდია და ისინი ძალიან წვრილები არიან, ან მათი რაოდენობა მცირეა, მაგრამ ყველა მათგანი უკვე **არსებული მეურნეები (ანუ ისეთები, რომლებიც მანამდე უკვე უძღვებოდნენ რაიმე მეურნეობას)** არიან, აღინიშნება პასუხი 1 (მეურნე აღარ ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას) ქვეიჯარით გაცემის შემთხვევაში და პასუხი 2 (მეურნე აღარ არსებობს) დაშლის შემთხვევაში. შენიშვნაში ჩაიწერება, რომ რომ ფირმა დაიშალა (ან მიწა ქვეიჯარით გასცა) და მიწა იჯარით გადაეცა წვრილ მოიჯარეებს.

ბ) თუ მოიჯარეთა რაოდენობა მცირეა და მათ შორის არიან **ახალი მეურნეები (ანუ ისეთები, რომლებიც მანამდე რაიმე მეურნეობას არ უძღვებოდნენ)**, აღინიშნება პასუხი 5 (მეურნეობა დაიშალა), შენიშვნებში ჩაიწერება ამ ახალი მეურნეობების რეკვიზიტები და გამოიკითხება მათ შორის უმნიშვნელოვანესი, როგორც ზემოთაა აღწერილი.

0.4. გამოკითხვის შედეგი. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ მოხდება მეურნეობის (სიაში მითითებულის თუ მისი “მემკვიდრის”), მეურნის (ახლის თუ ძველის) და მისი მისამართის (ახლის თუ ძველის) დადგენა, იწყება რესპონდენტის ძებნა. ინტერვიუერი პირველ რიგში უნდა შეეცადოს, რომ გამოიკითხოს მეურნე (იურიდიული პირის შემთხვევაში – მენეჯერი). თუ ეს ვერ მოხერხდა, შეიძლება მისი ოჯახის ან ოფისის ინფორმირებული წევრის გამოკითხვა. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მეურნეობაში მომუშავე სხვა პირის გამოკითხვაც, ოღონდ ინტერვიუერი წინასწარ უნდა დარწმუნდეს, რომ მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სარწმუნო იქნება.

1. თუ მეურნეობაში **სამჯერ** მისვლის შემდეგ ვერ მოხერხდა ინფორმირებული პირის მოძებნა (მეურნე დროებით არ არის ადგილზე, მისი მეუღლე ან ოჯახის წევრებიც არ არიან ადგილზე ან არ არიან საკმარისად ინფორმირებული პასუხის გასაცემად, და სხვა ინფორმირებული პირიც ვერ მოიძებნა), აღინიშნება **კვადრატი 1** (რესპონდენტი ვერ მოიძებნა) და ამის შესახებ ეცნობება ზედამხედველს. შენიშვნებში ჩაიწერება, თუ რომელ რიცხვებში მივიდა ინტერვიუერი მეურნეობაში, აგრეთვე რესპონდენტის ვერპოვნის მიზეზი. ინტერვიუერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკითხი მეურნეობა თანამეურნეობაა, ინფორმაციის მომწოდებლად სიაში მითითებულის მაგივრად ნებისმიერი სხვა თანამეურნე გამოდგება.

2. ინფორმირებული პირ(ებ)ი, მოიძებნა მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ყოველი მათგანი უარს აცხადებს გამოკითხვაზე. ინტერვიუერი უნდა შეეცადოს დაარწმუნოს ისინი ინფორმაციის კონფიდენციალურობაში და გამოკვლევის მნიშვნელობაში. თუ ეს ვერ მოხერხდა, აღინიშნება **კვადრატი 2** და ამის შესახებ ეცნობება ზედამხედველს. შენიშვნებში აღიწერება უარის თქმის მოტივი.

3. რესპონდენტი მოიძებნა და თანახმაა ითანამშრომლოს. აღინიშნება **კვადრატი 3**, კითხვარის პირველ გვერდზე ივსება გამოკითხული პირის სახელი და გვარი, აგრეთვე მისი დამოკიდებულება მეურნეობასთან, და გამოკითხვა იწყება თარიღისა და დაწყების დროის მითითებით.

კონტროლები თავსართისათვის

- **კითხვა 0.1.** – აუცილებლად უნდა იყოს გაცემული ერთი და მხოლოდ ერთი პასუხი.
- **კითხვა 0.2.** – შევსებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც 0.1 კითხვაზე პასუხია 1, და ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გაცემული ერთი და მხოლოდ ერთი პასუხი.
- **კითხვა 0.3.** – შევსებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც 0.1 კითხვაზე პასუხია 3, და ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გაცემული ერთი და მხოლოდ ერთი პასუხი.
- **კითხვა 0.4.** – აუცილებლად უნდა იყოს შევსებული, როდესაც 0.1 კითხვაზე პასუხია 1; შეიძლება იყოს შევსებული, როდესაც 0.1 კითხვაზე პასუხია 3 და 0.3 კითხვაზე პასუხია 4 ან 5. ამ შემთხვევებში აუცილებლად უნდა იყოს გაცემული ერთი და მხოლოდ ერთი პასუხი. სხვა შემთხვევებში კითხვა არ უნდა იყოს შევსებული.

შენიშვნები: აქ აუცილებლად უნდა ეწეროს რაღაც შემდეგ შემთხვევებში: ა) 0.1-ზე პასუხია 1 და 0.2-ზე – 2, 3 ან 4; ბ) 0.1-ზე პასუხია 2; გ) 0.1-ზე პასუხია 3. სხვა შემთხვევებში შესაძლოა, რომ შენიშვნებში არაფერი არ ეწეროს, თუმცა შენიშვნის გაკეთება ნებისმიერ საკითხზე შეიძლება.

გამოკითხვის ჩატარების თარიღი და დაწყების დრო. – ეს პუნქტი, ისევე როგორც გამოკითხვის ხანგრძლივობა კითხვარის ბოლოში, უნდა იყოს შევსებული მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც 0.4 კითხვაზე პასუხია 3.

ნაწილი 1.

1.1. ვინ არის მეურნე. იმის მიხედვით, თუ ზემოთ 0.1.2 პუნქტში განხილული ტიპებიდან რომელს მიეკუთვნება მეურნეობა, ინტერვიუერი გვერდის ბოლოში მითითებული კოდების ჩამონათვალის მიხედვით ჩაწერს შესაბამის კოდს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სააქციო საზოგადოება) ითვლება სახელმწიფოდ, თუ მასში წილის (აქციების) 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ეკუთვნის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ითვლება კერძოდ. სხვა ტიპის სახელმწიფო მეურნეობებს განეკუთვნება მეურნეობები, რომლებსაც უძღვება სახელმწიფო სკოლა, სამინისტრო ან მისი რომელიმე დაწესებულება და ა.შ. ასოციაცია, კავშირი, ფონდი, ეკლესია, მონასტერი კერძო მეურნეობაა.

1.2. სახელი და გვარი ან დასახელება. იმ შემთხვევაში, თუ 1.1 კითხვაზე პასუხია 1 ან 2, სტრიქონებში “სახელი” და “გვარი” ჩაიწერება მეურნის (შინამეურნეობის მეთაურის ან მისი იმ წევრის, რომელიც ფაქტიურად უძღვება მეურნეობას) სახელი და გვარი, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში – მეურნის დასახელება (მაგ. შპს “სალხინო”, ინდივიდუალური მეწარმე “ვახტანგ მალრაძე”, სს “მადლი”, სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლა, საფარის მონასტერი, და ა.შ.).

1.3. მისამართი. აქ ჩაიწერება მეურნის სრული მისამართი. თუ მისამართი სოფლადაა, ჩაიწერება მუნიციპალიტეტი, აგრეთვე თემის და სოფლის დასახელება, ხოლო თუ მისამართი ქალაქადაა – ქალაქდასახლება, ქუჩა და სახლის ნომერი. სასოფლო-სამეურნეო საწარმოსათვის უნდა მიეთითოს საწარმოს ფაქტიური მისამართი.

1.4. ტელეფონი. აქ ჩაიწერება მეურნის ბინის ან ოფისის სტაციონარული ტელეფონის ნომერი, თუ ასეთი არსებობს, ადმინისტრაციული ერთეულის კოდის მითითების გარეშე.

1.5. მობილური ტელეფონი. აქ ჩაიწერება მეურნის (იურიდიული პირის შემთხვევაში მენეჯერის) მობილური ტელეფონის 9-ნიშნა ნომერი, თუ ასეთი არსებობს.

1.6. სქესი; 1.7 ასაკი; იმ შემთხვევაში, თუ მე-2 კითხვაზე გაცემულია პასუხი 1 ან 2, აქ ჩაიწერება მეურნის (შინამეურნეობის მეთაურის ან მისი იმ წევრის, რომელიც

ფაქტიურად უძღვება მეურნეობას) მონაცემები, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში – მეურნეობის ფაქტიური წარმართველი პიროვნების (მენეჯერის) მონაცემები.

1.8. ნაკვეთების რაოდენობა. სასოფლო მეურნეობის მიწის ნაკვეთი განისაზღვრება, როგორც სასოფლო მეურნეობის მიწის იზოლირებული ნაწილი, მთლიანად გარშემორტყმული ისეთი ტერიტორიით, რომელიც მოცემული სასოფლო მეურნეობის მიწის ნაწილს არ წარმოადგენს. ამ წესიდან მხოლოდ ერთი გამონაკლისია – ნაკვეთი მიწათმფლობელობის ერთი ფორმის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს: ან მთლიანად საკუთარი უნდა იყოს, ან მთლიანად იჯარით აღებული სახელმწიფოსაგან, ან მთლიანად იჯარით აღებული ფიზიკური პირისაგან. მაგალითად თუ ფიზიკურად ერთიანი 2 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთის ნახევარი მეურნის საკუთრებაშია, ხოლო მეორე ნახევარი იჯარითაა აღებული კერძო პირისაგან, ჩაითვლება, რომ აქ არის ორი ნაკვეთი თითოეული 1 ჰა ფართობით.

უმიწო მეურნეობის შემთხვევაში აქ ჩაიწერება 0. დაუშვებელია ამ კვადრატის შეუვსებლად დატოვება!

1.9. მეურნეობის მიწის ფართობი. სასოფლო მეურნეობის მიწა შედგება მეურნის საკუთრებაში არსებული მიწისა და მეურნის მიერ იჯარით აღებული მიწისაგან, გარდა მათი იმ ნაწილისა (თუ ასეთი არსებობს), რომელიც სხვა პირზეა იჯარით გაცემული. არ არის გამორიცხული, რომ სასოფლო მეურნეობის მიწა მხოლოდ იჯარით აღებული მიწისაგან შედგებოდეს. მეურნის სახლითა და კარმიდამოთი დაკავებული ტერიტორია შედის მეურნეობის მიწის შემადგენლობაში, თუ იგი მდებარეობს ისეთ ნაკვეთზე, რომელზეც გარკვეული სასოფლო-სამეურნეო წარმოება ან მისი ხელშემწყობი საქმიანობა მიმდინარეობს. თუ მეურნის სახლი მდებარეობს მრავალსართულიან შენობაში ან გარშემორტყმულია მხოლოდ, მაგალითად, ასფალტით დაფარული ეზოთი, ასეთი სახლი და კარმიდამო მეურნეობის მიწის ნაკვეთის ნაწილს არ წარმოადგენს. უმიწო მეურნეობის შემთხვევაში ა)-დან ე)-მდე წერტილის წინ ყველგან ჩაიწერება 0.

ა)-ში ჩაიწერება მეურნის საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი, რომლის ქვეშაც იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობით მეურნეზე დარეგისტრირებული მიწა, არამედ მიწაც საკუთრებაზე ფორმალური უფლების გარეშე, თუ ამ მიწით მეურნე ფაქტიურად სარგებლობს, როგორც საკუთარით. თუ მეურნეს საკუთარი მიწის ნაწილი იჯარით აქვს გაცემული, ეს ნაწილი ა)-ში არ შედის. თუ მეურნეს საკუთარი მიწა არა აქვს, ან მთელი საკუთარი მიწა იჯარით აქვს გაცემული, წერტილის წინ აქ ჩაიწერება 0.

ბ)-ში ჩაიწერება იჯარით აღებული მიწის სრული ფართობი. თუ მეურნეს იჯარით აღებული მიწის გარკვეული ნაწილი ქვეიჯარითა აქვს გაცემული, მიწის ეს ფართობი აქ არ ჩაითვლება. თუ მეურნეს იჯარით აღებული მიწა არა აქვს, ან მთელი იჯარით აღებული მიწა ქვეიჯარით აქვს გაცემული, წერტილის წინ აქ ჩაიწერება 0.

გ)-ში ჩაიწერება ბ)-ს ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოსაგანაა იჯარით აღებული, ხოლო დ)-ში – კერძო (ფიზიკური ან იურიდიული) პირისაგან. შესაბამისი ნაწილის არარსებობის შემთხვევაში წერტილის წინ ჩაიწერება 0. გ)-ს და დ)-ს ჯამმა უნდა შეადგინოს ბ).

განვიხილოთ მაგალითი: მეურნე ამუშავებს მეზობლის მიწას მოსავლის გარკვეული (შესაძლოა ნულოვანი) ნაწილის სანაცვლოდ. ასეთი მიწა ითვლება იჯარით აღებულად კერძო პირისაგან (მეზობლისაგან), თუ მეურნე თავად იღებს გადაწყვეტილებას მიწის გამოყენების შესახებ ან/და ეწევა ხარჯებს (ყიდულობს სასუქებს და ა.შ.). თუ გადაწყვეტილებას მიწის გამოყენების შესახებ იღებს მეზობელი ან/და ის იღებს ხარჯებს თავის თავზე, ასეთი მიწა არ ითვლება მოცემული მეურნეობის ნაწილად, ხოლო მეურნე ითვლება მეზობლის (სხვა მეურნის) მიერ დაქირავებულად.

ე)-ში იწერება მეურნეობის მიწის სრული ფართობი, რომელიც შეადგენს ა)-ს და ბ)-ს ჯამს. ინტერვიუერმა კიდევ ერთხელ უნდა გადაამოწმოს, არის თუ არა ეს მართლაც მეურნეობის სრული ფართობი. შემდგომი გადამოწმება მოხდება ნაკვეთების მიხედვით მიწის გამოყენების შევსებისას.

კონტროლები ნაწილი 1-ისათვის

- **კითხვა 1.1.** – ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გაცემული მხოლოდ დასაშვები კოდის (1-დან 12-მდე) მითითებით.
- **კითხვა 1.2.** – ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გაცემული. თუ 1.1 კითხვაზე პასუხია 1 ან 2, აქ უნდა მითითებული იყოს მეურნის სახელი და გვარი, ხოლო თუ პასუხია 3 ან მეტი – მეურნის დასახელება (ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ი. მ. “სახელი გვარი”).
- **კითხვა 1.3** – ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გაცემული.
- **კითხვა 1.4.** – თუ ეს კითხვა შევსებულია, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი დასახლებული პუნქტის ტელეფონის ფორმატი.
- **კითხვა 1.5.** – თუ ეს კითხვა შევსებულია, მას უნდა ჰქონდეს საქართველოში არსებული მობილური ტელეფონების ფორმატი.
- **კითხვა 1.6.** – ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გაცემული. იმ შემთხვევაში, თუ 1.2.-ში სახელი და გვარია მითითებული, სქესი უნდა შეესაბამებოდეს სახელს.
- **კითხვა 1.7.** – ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გაცემული. ასაკი უნდა იყოს 15 წელი ან მეტი.
- **კითხვა 1.8.** – ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გაცემული. თუ მეურნეობას მიწა არა აქვს, უნდა ეწეროს 0.
- **კითხვა 1.9.** – ამ კითხვის ყოველ პუნქტზე პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გაცემული. თუ რომელიმე კატეგორიის მიწა მეურნეობაში არ არის, შესაბამის პუნქტში წერტილის წინ უნდა ეწეროს 0. გ) და დ) პუნქტებში მითითებული ფართობების ჯამი უნდა უდრიდეს ბ) პუნქტში მითითებულ ფართობს; ა) და ბ) პუნქტებში მითითებული ფართობების ჯამი უნდა უდრიდეს ე) პუნქტში მითითებულ ფართობს.

ნაწილი 2.

ნაწილი 2 ივსება სათითაოდ თითოეული ნაკვეთისათვის. კითხვარში გათვალისწინებულია 6 ნაკვეთისათვის საკმარისი ბლოკების რაოდენობა. თუ ბლოკების რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა, ინტერვიუერი იყენებს იმდენ დამატებით ბლოკს, რამდენიც საჭიროა, ავსებს მას და დებს კითხვარში. ბლოკები უნდა შევსებულ იქნეს იმდენი ნაკვეთისათვის, რამდენიც არის მითითებული 1.8 კითხვაში. ამ ნაწილში აღწერილი პროცედურა გამოყენებულ უნდა იქნეს თითოეული ნაკვეთისათვის.

პირველად ივსება მეურნეობის 12-ნიშნა კოდი (უშეცდომოდ!) და ნაკვეთის ნომერი, აგრეთვე

2.1. ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემები. აქ ჩაიწერება ნაკვეთის არაოფიციალური სახელი, რათა გამოკითხვის პროცესში შესაძლებელი იყოს მისი მოხსენიება (ნაკვეთის ნომერი მეურნისათვის არაფრისმთქმელია). ივსება ნაკვეთის მფლობელობის ფორმა შესაბამისი კოდების მიხედვით (1 – საკუთარი, 2 – იჯარით

აღებული სახელმწიფოსაგან, 3 – იჯარით აღებული კერძო პირისაგან). ეს შესაძლებელია, ვინაიდან ნაკვეთის განმარტების მიხედვით ნაკვეთი მხოლოდ ერთი განსაზღვრული მფლობელობის ფორმის ქვეშ შეიძლება იყოს. იწერება ნაკვეთის სრული ფართობი ჰექტარებში 0.01 ჰა-მდე სიზუსტით, აგრეთვე არის თუ არა ნაკვეთზე სარწყავი საშუალებები. სარწყავი საშუალებების ქვეშ იგულისხმება ნაკვეთამდე წყლის მისაყვანი არხის, მილის ან ტუმბოს არსებობა იმისდა მიუხედავად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეს საშუალება სარწყავად გამოყენებულ იქნა თუ არა. იწერება ნაკვეთის ადგილმდებარეობა სოფლამდე სიზუსტით, აგრეთვე თუ დაახლოებით რა მანძილია (კილომეტრებში, ერთ კილომეტრამდე სიზუსტით) მეურნის სახლიდან (ოფისიდან) ნაკვეთამდე.

2.2. მიწათსარგებლობა. ინტერვიუერი ავსებს ცხრილს ქვემოთყვანილი კატეგორიების მიხედვით მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით (საანგარიშო მომენტი). თუ რომელიმე კატეგორიის მიწა ნაკვეთზე არ არის, შესაბამისი სტრიქონი არ ივსება. ერთი კატეგორია მაინც უნდა იქნეს შევსებული.

სახნავი – ღია გრუნტის მიწა, რომელიც განკუთვნილია ერთწლიანი კულტურების (მრავალწლოვანი ბალახების ჩათვლით) მოსაყვანად, აგრეთვე ჩითილების ან მრავალწლოვანი კულტურების ნერგების გამოსაყვანად, იმისდა მიუხედავად, მიმდინარე წლის განმავლობაში იგი გამოყენებულ იქნა ამ მიზნით, სპეციალურად იქნა დასვენებული პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით, თუ ვერ იქნა დაუმუშავებული ხელისშემშლელი პირობების გამო. სახნავი მიწა შეიძლება იყოს ღროებით დაუმუშავებელი (5 წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში) ან დიდი ხნით დაუმუშავებელი (5 წლის ან მეტი პერიოდის განმავლობაში). დიდი ხნით დაუმუშავებული მიწა არ უნდა საჭიროებდეს ნორმალურზე მეტ ძალისხმევას ხელახლა დასამუშავებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გადავა დანარჩენი მიწის კატეგორიაში. **ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახნავ მიწაში შედის მიწაც, რომელიც გამოიყენება მრავალწლოვანი ნარგავების ნერგების გამოსაყვანად (მოსავალი ნერგების სახით აიღება ერთ ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ).**

მრავალწლოვანი ნარგავები – მიწა, რომელიც დაკავებულია მრავალწლოვანი კულტურების კომპაქტური ნარგავებით (ხეხილის ბალებით, ვენახებით, კენკროვნებით, ჩაის ან ციტრუსის პლანტაციებით ან სხვა მრავალწლოვანი ნარგავებით). მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწა რიგთაშორის ერთწლიანი კულტურების მოსაყვანადაც შეიძლება გამოიყენებოდეს. თუ გარკვეულ ფართობზე გვაქვს მრავალწლოვანი ნარგავები და ამავე დროს მიწა გამოიყენება ერთწლიანი კულტურების მოსაყვანადაც, უნდა გადაწყდეს, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნოს მიწა. თუ მრავალწლოვანი ნარგავები რეგულარულად და/ან საკმაოდ ხშირად არის განლაგებული, მაშინ ეს მიწა უნდა მიეკუთვნოს მრავალწლოვან ნარგავებს, ხოლო ერთწლიანი კულტურები – რიგთაშორის დათესილს. თუ მრავალწლოვანი ნარგავები საკმაოდ იშვიათად და/ან არარეგულარულად არის დარგული, მიწა უნდა მიეკუთვნოს სახნავს, ხოლო ნარგავები – ცალკე მდგომ ძირებს. საეჭვო შემთხვევებში გადამწყვეტი სიტყვა მეურნეს ეკუთვნის, მაგრამ მიწის ნებისმიერი საეჭვო ნაწილი უნდა მიეკუთვნოს ერთ და მხოლოდ ერთ კატეგორიას. ანალოგიურად, მეურნის კარმიდამოს ნაწილი შეიძლება დაკავებული იყოს მრავალწლოვანი ნარგავებით. მეურნემ უნდა გადაწყვიტოს, ეს ნაწილი ჩაითვალოს ბადად (ან ვენახად, პლანტაციად), თუ ეზოდ. პირველ შემთხვევაში მიწა მიეკუთვნება კატეგორიას “მრავალწლოვანი ნარგავები”, ხოლო მეორე შემთხვევაში – კატეგორიას “ეზოები, შენობები, სათბურები” და იქ მდგომი ნარგავები ჩაითვლება ცალკე მდგომ ძირებად.

ბუნებრივი სათიბი – მიწა, რომელზეც ბუნებრივად მოსული ბალახი გამოიყენება თივის დასამზადებლად. თუ ბალახი დათესილია მეურნის მიერ, ასეთი მიწა გადის სახნავის კატეგორიაში და ითვლება დათესილი საკვები კულტურებით დაკავებულ მიწად.

ბუნებრივი საძოვარი – მიწა, რომელზეც ბუნებრივად მოსული ბალახი გამოიყენება პირუტყვის საძოვებლად. თუ ბალახი დათესილია მეურნის მიერ, ასეთი მიწა გადის სახნავის კატეგორიაში და ითვლება დათესილი საკვები კულტურებით დაკავებულ მიწად.

ეზოები, შენობები, სათბურები – სასოფლო-სამეურნეო ეზოები და ისეთი შენობა-ნაგებობებით (ბოსელი, ნალია და ა.შ) დაკავებული ფართობები, რომლებიც გამოიყენება პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სასუქების, პესტიციდების და ა.შ., აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების შესანახად ან გადასამუშავებლად. აქვე შედის მეურნის სახლით და კარმიდამოთი დაკავებული ტერიტორია, თუ იგი მეურნეობის მიწის ნაწილს წარმოადგენს. ამ უკანასკნელ გარემოებას მაშინ აქვს ადგილი, თუ სახლი და კარმიდამო მდებარეობს ისეთ ნაკვეთზე, რომელზეც გარკვეული სასოფლო-სამეურნეო წარმოება ან მისი ხელშემწყობი საქმიანობა მიმდინარეობს. თუ მეურნის სახლი მდებარეობს მრავალსართულიან შენობაში ან გარშემორტყმულია მხოლოდ, მაგალითად, ასფალტით დაფარული ეზოთი, ასეთი სახლი და კარმიდამო მეურნეობის მიწის ნაწილს არ წარმოადგენს. აქვე შედის სათბურებით დაკავებული ტერიტორია. **სათბური** წამოადგენს მიწის ფართობს, რომელიც მოთავსებულია მინით ან პლასტიკური მასალებით გადახურული მუდმივი კონსტრუქციის ქვეშ.

ტყეები – ბუნებრივი ან ხელოვნურად გაშენებული ხის ნარგავების მასივები, რომლებსაც აქვს რეალური ან პოტენციური ღირებულება მერქნის, შემის წარმოების მხრივ, ან აქვს ქარსაცავი მნიშვნელობა. ამ კატეგორიაში შედის სატყეო სანერგეებიც. ნარგავები არ უნდა მიეკუთვნებოდნენ **დანართის დ1 ცხრილში** ჩამოთვლილი მრავალწლოვანი ნარგავების რომელიმე კატეგორიას.

წყლით დაფარული მიწა – ხელოვნური ან ბუნებრივი წყალსატეხები (ტბები, გუბურები), რომლებიც წარმოადგენს მეურნეობის მიწის ნაწილს. იგი შეიძლება გამოიყენებოდეს ან არ გამოიყენებოდეს წყლის ცხოველების ან წყალმცენარეების მოსაშენებლად, აგრეთვე სათევზაოდ.

დანარჩენი მიწა – აქ აისახება მეურნეობის მიწის ის ფართობი, რომელიც არ შევიდა არც ერთ ზემომოყვანილ კატეგორიაში. აქ შედის დაუმუშავებელი მიწა, რომელიც იძლევა გარკვეული ტიპის გამოყენებად მცენარეულ პროდუქციას, როგორცაა, მაგალითად, ლერწამი ჭილობის მოსაქსოვად, გარეული კენკრა ან ხილი, აქვე შედის მიწა, რომელიც დიდი ხნითაა დაუმუშავებელი და მოითხოვს ნორმალურზე მეტ ძალისხმევას ხელახლა დასამუშავებლად.

სულ – აქ ჩაიწერება ინტერვიუერის მიერ ზემომოყვანილი კატეგორიების ფართობების შეჯამების შედეგად მიღებული რიცხვი, რომელიც უნდა უდრიდეს 2.1-ში მითითებულ ნაკვეთის ფართობს. **ინტერვიუერმა უნდა გადაამოწმოს ეს და თუ აღნიშნული პირობა დარღვეულია, სთხოვოს რესპონდენტს გადასინჯოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.**

2.3. ღია გრუნტი. ამ ცხრილში ინტერვიუერი აფიქსირებს, თუ მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის რით იყო დაკავებული 2.1 ცხრილის 1-ლ და მე-2 სტრიქონებში მითითებული მიწის ფართობი. ცხრილი ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი მოიცავს სახნავ მიწას, ხოლო მეორე ნაწილი – მრავალწლოვან ნარგავებს. თუ 2.2 ცხრილში ამ ორიდან რომელიმე კატეგორია არ არის მითითებული, შესაბამისი ნაწილი შეუვსებელი დარჩება. შევსება ხდება **დანართის დ1 ცხრილში** მითითებული კოდების მიხედვით.

გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული კულტურების (ფრჩხილებში ჩაუსმელი) კოდები. დაუშვებელია ზოგადი დასახელების (ფრჩხილებში ჩასმული) კოდების გამოყენება. თუ შეგვხვდა რომელიმე კულტურა, რომელიც ჩამონათვალში მითითებული არ არის, აუცილებლად უნდა მიეთითოს მისი დასახელება, ხოლო კოდად მიეთითოს 999. დროის ეკონომიის მიზნით კოდები შეიძლება შევსებულ იქნეს დღის ბოლოს, ინტერვიუერის სახლში (ოფისში).

ა) **სახნავი.** ამ ცხრილში იწერება ის კულტურები, რომლებითაც 1 იანვრის მდგომარეობით დაკავებული იყო ნაკვეთის სახნავი მიწა და მოსავალი მიმდინარე ან შემდგომ წლებში უნდა იქნას აღებული. კერძოდ, აქ შედის

1. საშემოდგომო თავთავიანი კულტურები (ქერი, ხორბალი და ა.შ.), რომლებიც დაითესა გასულ წელს და მოსავალი უნდა აღებულ იქნეს მიმდინარე წელს;
2. სხვა ერთწლიანი კულტურები (მაგალითად ბოსტნეული), რომლებიც დაითესა გასულ წელს და მოსავალი აღებულ უნდა იქნეს მიმდინარე წელს;
3. მრავალწლოვანი კულტურების ნერგები, რომლებიც დაირგო გასულ წელს ან წინა წლებში და მიმდინარე წელს ან მომავალ წლებში უნდა იქნეს აღებული;
4. მრავალწლოვანი ბალახები, რომლებიც დაითესა გასულ წელს ან წინა წლებში და მოსავალი მიმდინარე წელს ან/და მომავალ წლებში უნდა იქნეს აღებული.

პირველ რიგში აღირიცხება **წმინდა ნათესები**, ე.ი. როდესაც გარკვეულ ფართობზე მხოლოდ ერთი კულტურაა დათესილი. ყოველი ასეთი კულტურისათვის ივსება ერთი სტრიქონი: 1-ლ სვეტში იწერება კულტურის დასახელება გარკვევით; მე-2-ში – მისი კოდი **დანართის დ1 ცხრილის** მიხედვით; მე-3-ში – კოდი 0, რომელიც მიუთითებს, რომ წმინდა ნათესთან გვაქვს საქმე; მე-4 სვეტში იწერება ამ კულტურით დაკავებული ფართობი.

შემდეგ ინტერვიუერი რესპონდენტს ეკითხება **კულტურების კომბინაციების** შესახებ, ე.ი. როდესაც გარკვეულ ფართობზე რამდენიმე ერთწლიანი კულტურაა დათესილი ისე, რომ თითოეულისათვის ფართობის ფიზიკურად გამოყოფა შეუძლებელია. კულტურათა ყოველი ასეთი ჯგუფისათვის 1-ლ სვეტში ერთმანეთის მიყოლებით გარკვევით ჩაიწერება თითოეული კულტურის დასახელება, ხოლო მე-2 სვეტში – შესაბამისი კოდები. მე-3 სვეტში იწერება კულტურათა კომბინაციის ნომერი ისე, რომ ერთად დათესილ კულტურებს ერთი და იგივე ნომერი ჰქონდეს. თუ კულტურათა კომბინაციაში კულტურები რიგებადაა დათესილი ისე, რომ შესაძლებელია საერთო ფართობის მათ შორის გადანაწილება, ეს ფართობი უნდა გადანაწილდეს კულტურათა შორის ისე, რომ ჯამში საერთო ფართობი გამოვიდეს. თუ ერთი კულტურა ძირითადად, ხოლო დანარჩენ(ებ)ი უსისტემოდაა შეთესილი (ე.წ. **შეთესილი კულტურები**), მთელი ფართობი ენიჭება ძირითად კულტურას, დანარჩენი კულტურებისათვის კი ფართობი არ აღინიშნება, (მე-3 სვეტში კულტურათა კომბინაციის ნომერი მაინც ჩაიწერება). როგორც წესი, ძირითადი კულტურის როლში გამოდის სიმინდი, ხოლო შეთესილებისა – ლობიო, სოიო ან გოგრა. **ინტერვიუერი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს შეთესილი კულტურების განსაზღვრას და მაქსიმალურად აიცილოს თავიდან კულტურის ფართობის არმითითების შემთხვევები.**

“სულ” სტრიქონში დაჯამდება მე-4 სვეტში მითითებული ყველა ფართობი. ეს ფართობი ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს 2.2 ცხრილის 1-ლ სვეტში მითითებული სახნავის ფართობის, ამასთან ნაკლებობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუ სახნავის ფართობის გარკვეული ნაწილი 1 იანვრისთვის აუთვისებელი იყო. **ინტერვიუერმა უნდა გადაამოწმოს ეს და თუ აღნიშნული პირობა დარღვეულია, სთხოვოს რესპონდენტს გადასინჯოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მეორე სვეტში არ შეიძლება ეწეროს**

კოდი 3 ან 4 (დროებით ან დიდი ხნით დაუშუშავებელი მიწა): მიწა დაუშუშავებელი დარჩა თუ არა, ეს გაირკვევა მხოლოდ საანგარიშო წლის ბოლოს.

ბ) მრავალწლოვანი ნარგავები. აქ აღიწერება მრავალწლოვანი კულტურების კომპაქტური ნარგავები მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მრავალწლოვანი კულტურების კომპაქტური ნარგავები შეიძლება იყოს წმინდა ან შერეული. წმინდა ნარგავებს (ე.ი. ნარგავებს, რომლებიც ერთი კულტურისაგან შედგება) მე-3 სვეტში მიეწერება კოდი 0, ხოლო შერეულ ნარგავებს – შესაბამისი ჯგუფის ნომერი. ამასთან შერეული ნარგავების სრული ფართობი მიეწერება ჯგუფში რიგით პირველად ჩაწერილ კულტურას, ხოლო ჯგუფის დანარჩენ მრავალწლოვან კულტურებს ფართობი არ მიეწერება (სრული ფართობი კულტურებს შორის გადანაწილდება მონაცემთა დამუშავების დროს ძირითადად რაოდენობების მიხედვით). მე-5 სვეტში ჩაიწერება ძირითადად სრული რაოდენობა (თუ შერეული ნარგავებია, თითოეული კულტურისათვის ცალკე-ცალკე), ხოლო მე-6 სვეტში – მათ შორის მსხმოიარე ასაკში. აქ იგულისხმება იმ ძირითადად რაოდენობა, რომლებიც ასაკის მიხედვით უნდა იხსამდნენ ნაყოფს მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა გასულ წელს ამინდის ცუდი პირობების გამო ვერ მოიხსეს (რასაკვირველია, დაღუპული ძირი საერთოდ არ უნდა აისახოს). **მეტად მნიშვნელოვანია, რომ ძირითადად რაოდენობა ზუსტად იყოს მითითებული.**

აქვე აღიწერება ის ერთწლიანი კულტურები, რომლებიც რიგთაშორისაა დათესილი მრავალწლოვან ნარგავების რიგებს შორის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, ფართობის მითითების გარეშე. თუ ნარგავები შერეულია, მათ რიგებს შორის დათესილ ერთწლიან კულტურებს მე-3 სვეტში მიენიჭება იგივე კოდი, რაც ამ ნარგავებს აქვს. თუ მრავალწლოვანი ნარგავები წმინდაა, მაგრამ მათ რიგებს შორის დათესილია ერთწლიანი კულტურა (კულტურები), ნარგავების კულტურას და ერთწლიან კულტურებს მე-3 სვეტში მიენიჭება 0-ისაგან და ყველა სხვა კომბინაციისაგან განსხვავებული კოდი.

თუ სტრიქონების რაოდენობა საკმარისი არ არის, ამ ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა გაგრძელდეს შემდეგ ბლოკში (თუ ყველა ბლოკი ამოწურულია, უნდა შეივსოს დამატებითი ფურცელი), რომელშიც განმეორდება მეურნეობის კოდი და ნაკვეთის ნომერი და შეივსება მხოლოდ ცხრილის შესაბამისი ნაწილი. შესაბამისი “სულ” ჩაიწერება მეორე ფურცელზე.

“სულ” სტრიქონში დაჯამდება მე-4 სვეტში მითითებული ყველა ფართობი. ეს ჯამი **ზუსტად ტოლი** უნდა იყოს 2.2 ცხრილის მე-2 სვეტში მითითებული მრავალწლოვანი ნარგავების ფართობისა (ფართობის რამდენჯერმე გამოყენება მრავალწლოვანი კულტურებისათვის შეუძლებელია). **ინტერვიუერმა უნდა გადაამოწმოს ეს და თუ აღნიშნული პირობა დარღვეულია, სთხოვოს რესპონდენტს გადასინჯოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.**

განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ, ნაკვეთის ფართობია 5 ჰა. აქედან 1 ჰა არის ვაშლის ბაღი, რომელშიც რიგებს შორის დათესილი არის საგვიანო კარტოფილი, 1 ჰა – მსხლის ბაღი, 1 ჰა – აჭმისა და გარგარის შერეული ბაღი, ხოლო 2 ჰა – შერეული ვენახი თეთრი და შავი ყურძნით, რომელშიც რიგებს შორის დათესილია ლობიო მაშინ 2.3ბ ცხრილის პირველი 4 სვეტი ასე უნდა შეივსოს.

კულტურის დასახელება	კულტურის კოდი	წმინდა თუ შერეული (იხ. კოდები (2))	ფართობი
1	2	3	4
მრავალწლოვანი ნარგავები			
ვაშლი	2111	1	1
საგვიანო კარტოფილი	142	1	
მსხალი	2112	0	1
ატამი	2124	2	1
გარგარი	2123	2	
თეთრი ყურძენი	231	3	2
შავი ყურძენი	232	3	
ლობიო	121	3	
სულ			5

2.4. ცალკე მდგომი ძირები. მრავალწლოვანი ნარგავის ძირი განიხილება, როგორც ცალკე მდგომი, თუ ა) იგი დგას მიწაზე, რომელიც 2.2 ცხრილში კლასიფიცირებული არ არის, როგორც “მრავალწლოვანი ნარგავები”; ან ბ) იგი დგას მიწაზე, რომელიც 2.2 ცხრილში კლასიფიცირებულია, როგორც “მრავალწლოვანი ნარგავები”, მაგრამ მიეკუთვნება ნარგავების განსხვავებულ ტიპს: ხეხილის ძირი დგას ვენახში, ციტრუსის ან ჩაის პლანტაციას ან სხვა მრავალწლოვან ნარგავებში, ციტრუსი დგას ხეხილის ბაღში, ვენახში და ა.შ.; ან გ) იგი დგას იმავე ტიპის, მაგრამ სხვა ჯგუფის კომპაქტური ნარგავების პერიმეტრზე და არ წარმოადგენს ამ ნარგავების ნაწილს, მაგ. ტყემლის ძირები ვაშლის ბაღის პერიმეტრზე.

2.4 ცხრილში აღირიცხება ნაკვეთზე არსებული ცალკე მდგომი ძირები. თითოეული მრავალწლოვანი კულტურისათვის იწერება მისი დასახელება, კოდი **დანართის დ1 ცხრილის** მიხედვით, ძირების სრული და მსხმოიარე ასაკში მყოფთა რაოდენობა (მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით). **გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული კულტურების (ფრჩხილებში ჩაუსმელი) კოდები. დაუშვებელია ზოგადი დასახელების (ფრჩხილებში ჩასმული) კოდების გამოყენება.** თუ ცხრილში სტრიქონების რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა, ინტერვიუერი უნდა გადავიდეს ახალ ბლოკზე, როგორც წინა შემთხვევებში.

2.5 სათბურები. სათბურ(ებ)ის ფიზიკური ფართობი – ეს მონაცემი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2.2 ცხრილის მე-5 სტრიქონში გარკვეული ფართობია მითითებული, თუმცა არა პირიქით. აქ იწერება ის ფართობი კვადრატულ მეტრებში, რომელიც სათბურ(ებ)ს, როგორც ნაგებობას ფიზიკურად უკავია.

თავად ცხრილში აღირიცხება ის კულტურები (როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლოვანი), რომელთაც სათბურის მიწა ეკავათ მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 1-ლ სვეტში იწერება კულტურის დასახელება გარკვევით; მე-2-ში – მისი კოდი **დანართის დ1 ცხრილის** მიხედვით. **გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული კულტურების (ფრჩხილებში ჩაუსმელი) კოდები. დაუშვებელია ზოგადი დასახელების (ფრჩხილებში ჩასმული) კოდების გამოყენება.** მე-3 სვეტში იწერება ამ კულტურით დაკავებული ფართობი.

მას შემდეგ, რაც ინტერვიუერი შეავსებს ბლოკ(ებ)ს ყველა ნაკვეთისათვის, იგი აუცილებლად ამოწმებს, რომ ყველა ნაკვეთის ფართობის ჯამი ემთხვეოდეს 1.9ე)-ში მითითებულ ფართობს, საკუთრებაში არსებული ნაკვეთების ფართობების ჯამი – 1.9ა)-ში

მითითებულ ფართობს, სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული ნაკვეთების ფართობების ჯამი – 1.9გ)-ში მითითებულ ფართობს, ხოლო კერძო პირისაგან იჯარით აღებული ნაკვეთების ფართობების ჯამი – 1.9 დ)-ში მითითებულ ფართობს. თუ ეს ასე არ არის, ინტერვიუერი სთხოვს რესპონდენტს გადასინჯოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

კონტროლები ნაწილი 2-ისათვის

- მეურნეობის კოდი და ნაკვეთის ნომერი ყველა შევსებულ ბლოკზე უნდა იყოს მითითებული. მეურნეობის კოდი უნდა ემთხვეოდეს პირველ გვერდზე მითითებულ კოდს. ნაკვეთების რაოდენობა, რომელთათვისაც ნაწილი 2-ის ბლოკები არის შევსებული, უნდა ემთხვეოდეს 1.8 კითხვაში მითითებულ რაოდენობას. კერძოდ, ამ რაოდენობას უნდა ემთხვეოდეს ნაკვეთის მაქსიმალური ნომერი და 1-დან დაწყებული ნუმერაციაში არც ერთი ნომერი არ უნდა იყოს გამოტოვებული. თუ 1.8. კითხვაში წერია 0, არც ერთი ბლოკი არ უნდა იყოს შევსებული. თუ რომელიმე ნაკვეთისათვის 1-ზე მეტი ბლოკია შევსებული (კითხვარში ან დამატებით ფურცელში), მათ უნდა ჰქონდეთ საერთო მეურნეობის კოდი და ნაკვეთის ნომერი.
- **კითხვა 2.1.** – ამ კითხვის ყველა პუნქტზე, გარდა შესაძლოა ნაკვეთის სახელისა, პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გაცემული. ნაკვეთის სრული ფართობი აუცილებლად ნულზე მეტი უნდა იყოს.
- **ცხრილი 2.2.** – ერთ-ერთ სტრიქონში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ნულისაგან განსხვავებული ფართობი. ამ სტრიქონებში მითითებული ფართობების ჯამი უნდა უდრიდეს “სულ” სტრიქონში მითითებულ ფართობს, რომელიც, თავის მხრივ, უნდა უდრიდეს 2.1. კითხვაში მითითებულ ნაკვეთის სრულ ფართობს.
- **ცხრილი 2.3ა** – თუ 2.2-ის 1-ლი სტრიქონი ცარიელია, აქ ყველა სტრიქონი ცარიელი უნდა იყოს. მე-2 სვეტში კოდი 3 ან 4, რაც დაუშვებლობას აღნიშნავს, არ შეიძლება, რომ შეგვხვდეს. **ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-2 სვეტი** აუცილებლად შევსებული უნდა იყოს და იქ ჩაწერილი კოდი ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ კულტურის კოდს დანართის დ1 ცხრილიდან, ან უდრიდეს 999-ს, თუ ამ კულტურის კოდი ცხრილში არ არის; **მე-3 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული, ამასთან ნულისაგან განსხვავებული კოდები სულ მცირე 2-ჯერ და ერთმანეთის მიყოლებით უნდა იყოს ჩაწერილი; **მე-4 სვეტი** შევსებული უნდა იყოს გარდა, შესაძლოა, იმ შემთხვევისა, როცა მე-3 სვეტში ნულისაგან განსხვავებული კოდი წერია და მოცემული სტრიქონი ამ კოდის შესაბამისი ჯგუფის პირველი სტრიქონი არ არის, ამასთან თუ სვეტი შევსებულია, იქ აუცილებლად ნულზე მეტი რიცხვი უნდა ეწეროს. **მე-4 სვეტში მითითებული ფართობების ჯამი უნდა უდრიდეს “სულ” სტრიქონში მითითებულ ფართობს, რომელიც თავის მხრივ არ უნდა აღემატებოდეს 2.2-ის 1-ლ სტრიქონში ჩაწერილ სახნავის ფართობს.**
- **ცხრილი 2.3ბ.** თუ 2.2-ის მე-2 სტრიქონი შევსებულია, აქ ერთი სტრიქონი მაინც უნდა იყოს შევსებული და პირიქით, თუ 2.2-ის მე-2 სტრიქონი ცარიელია, აქ ყველა სტრიქონი ცარიელი უნდა იყოს. **1-ლი სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-2 სვეტი** აუცილებლად შევსებული უნდა იყოს და იქ ჩაწერილი კოდი ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ კულტურის კოდს დანართის დ1 ცხრილიდან, ან უდრიდეს 999-ს, თუ ამ კულტურის კოდი ცხრილში არ არის; **მე-3 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული, ამასთან ნულისაგან განსხვავებული კოდები სულ მცირე 2-ჯერ და ერთმანეთის მიყოლებით უნდა იყოს ჩაწერილი; **მე-4 სვეტი** შევსებული უნდა იყოს გარდა იმ შემთხვევისა, როცა მე-3 სვეტში ნულისაგან განსხვავებული კოდი წერია და მოცემული

სტრიქონი ამ კოდის შესაბამისი ჯგუფის პირველი სტრიქონი არ არის, ამასთან თუ სვეტი შევსებულია, იქ აუცილებლად ნულზე მეტი რიცხვი უნდა ეწეროს. მე- მე-5 – მე-6 სვეტები აუცილებლად უნდა იყოს შევსებული, ამასთან მე-6 სვეტში ჩაწერილი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მე-5 სვეტში ჩაწერილს; მე-4 სვეტში მითითებული ფართობების ჯამი უნდა უდრიდეს “სულ” სტრიქონში მითითებულ ფართობს, რომელიც თავის მხრივ უნდა უდრიდეს 2.2-ის მე-2 სტრიქონში ჩაწერილ მრავალწლოვანი ნარგავების ფართობს.

- **ცხრილი 2.4.** – ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; მე-2 სვეტი აუცილებლად შევსებული უნდა იყოს და იქ ჩაწერილი კოდი ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ კულტურის კოდს დანართის დ1 ცხრილიდან, ან უდრიდეს 999-ს, თუ ამ კულტურის კოდი ცხრილში არ არის; მე-3 და მე-4 სვეტები აუცილებლად უნდა იყოს შევსებული, ამასთან მე-4 სვეტში ჩაწერილი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მე-3 სვეტში ჩაწერილს.
- **ცხრილი 2.5.** – “სათბურ(ებ)ის სრულ ფართობში” მითითებული რიცხვი, გადაყვანილი ჰექტარებში, არ უნდა აღემატებოდეს 2.2. ცხრილის მე-5 სტრიქონში მითითებულ რიცხვს. კერძოდ, თუ ეს უკანასკნელი სტრიქონი ცარიელია, 2.5-შიც არაფერი არ უნდა ეწეროს.
- ყველა ნაკვეთის ფართობების ჯამი უნდა უდრიდეს 1.9 ე)-ში მითითებულ ფართობს; ყველა იმ ნაკვეთის ფართობების ჯამი, რომელსაც მფლობელობის ფორმაში უწერია კოდი 1 (საკუთარი), უნდა ემთხვეოდეს 1.9 ა)-ში მითითებულ ფართობს; ყველა იმ ნაკვეთის ფართობების ჯამი, რომელსაც მფლობელობის ფორმაში უწერია კოდი 2 (იჯარით აღებული სახელმწიფოსაგან), უნდა ემთხვეოდეს 1.9 გ)-ში მითითებულ ფართობს; ყველა იმ ნაკვეთის ფართობების ჯამი, რომელსაც მფლობელობის ფორმაში უწერია კოდი 3 (იჯარით აღებული კერძო პირისაგან), უნდა ემთხვეოდეს 1.9 დ)-ში მითითებულ ფართობს;

ნაწილი 2ა.

2.6. მეურნეობაში ნაწარმოები მემცენარეობის პროდუქციის მარაგები.

ნაწილი ა). ინტერვიუერი რესპონდენტს წაუკითხავს დანართის დ1 ცხრილში მითითებული პროდუქტების ჩამონათვალს და თითოეული მათგანისათვის ჰკითხავს, მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის იყო თუ არა მეურნეობაში რომელიმე მათგანის (მხოლოდ მეურნეობაში ნაწარმოების) მარაგი. დადებითი პასუხის შემთხვევაში 1-ლ სვეტში ჩაიწერება პროდუქტის დასახელება, მე-2 სვეტში – მისი კოდი დანართის დ1 ცხრილიდან, ხოლო მე-3 სვეტში – მარაგის რაოდენობა.

ნაწილი ბ)-გ). თითოეულ სტრიქონში მიეთითება მეურნეობაში ნაწარმოები შესაბამისი პროდუქტის მარაგი, რომელიც მეურნეობაში მიმდინარე წლის 1 იანვარს იყო. **2.6 ცხრილის ყველა ნაწილში აღირიცხება მხოლოდ მეურნეობაში ნაწარმოები პროდუქტი, შეძენილი ან ნაჩუქარი პროდუქტი მხედველობაში არ მიიღება.**

2.7. მეურნის მიერ მეურნეობაში ან მის გარეთ ნაწარმოები თივის მარაგი. ამ ცხრილის მე-2 სვეტში მიეთითება მეურნეობაში 1 იანვრის მდგომარეობით არსებული მეურნის მიერ ნაწარმოები თივის მარაგი. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა, მეურნემ ეს თივა საკუთარი მეურნეობის ტერიტორიაზე მოთივა, თუ მის გარეთ (საერთო სარგებლობის მიწებზე, ტყეში, მეზობლის მიწაზე და ა.შ.). **აღირიცხება მხოლოდ მეურნის მიერ მოთივნილი თივა, შეძენილი ან ნაჩუქარი თივა მხედველობაში არ მიიღება.**

ნაწილი 4.

4.1. პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. თითოეულ სტრიქონში მიეთითება მეურნეობაში არსებული (როგორც საკუთარი, ისე იჯარით აღებული) პირუტყვის და ფრინველის შესაბამისი სახეობის სულადობა მიმდინარე (საანგარიშო) წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მე-2, მე-5, მე-8, მე-10, მე-12 და მე-18 სტრიქონებში მიითითებული რაოდენობები არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისად 1-ლი, მე-4, მე-7, მე-9, მე-11 და მე-17 სტრიქონებში მიითითებულ რაოდენობებს; გარდა ამისა, მე-3 სტრიქონში მიითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-2 სტრიქონში მიითითებულ რაოდენობას, ხოლო მე-6 სტრიქონში მიითითებული რაოდენობა – მე-5 სტრიქონში მიითითებულ რაოდენობას.

4.2. მეცხოველეობის პროდუქციის მარაგები. თითოეულ სტრიქონში მიეთითება მეურნეობაში ნაწარმოები შესაბამისი პროდუქტის მარაგი, რომელიც მეურნეობაში მიმდინარე წლის 1 იანვარს იყო. აღირიცხება მხოლოდ მეურნეობაში ნაწარმოები პროდუქტი, შექმნილი ან ნაჩუქარი პროდუქტი მხედველობაში არ მიიღება.

კონტროლები ნაწილი 4-ისათვის

- **ცხრილი 4.1.** – მე-3 სტრიქონში მიითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-2 სტრიქონში მიითითებულს, ხოლო ეს უკანასკნელი არ უნდა აღემატებოდეს 1-ლ სტრიქონში მიითითებულს; მე-6 სტრიქონში მიითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-5 სტრიქონში მიითითებულს, ხოლო ეს უკანასკნელი არ უნდა აღემატებოდეს მე-4 სტრიქონში მიითითებულს; მე-8 სტრიქონში მიითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-7 სტრიქონში მიითითებულს; მე-10 სტრიქონში მიითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-9 სტრიქონში მიითითებულს; მე-12 სტრიქონში მიითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-11 სტრიქონში მიითითებულს. მე-18 სტრიქონში მიითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-17 სტრიქონში მიითითებულს.

ნაწილი 5.

5.1-5.2. ძალოვანი დანადგარის მქონე ტექნიკა – მისაბმელი მოწყობილობები. ამ ცხრილების შევსებისას გამოიყენება დანართის დ4 ცხრილში მიითითებული კოდები. 5.1 ცხრილებში გამოიყენება მარცხენა სვეტის კოდები და აქ შედის ტექნიკა, რომელსაც აქვს საკუთარი ძალოვანი დანადგარი (მოტორი, ელექტრომოტორი), ხოლო 5.2 ცხრილებში – მარჯვენა სვეტის კოდები და აქ შედის მოწყობილობები, რომელთა ფუნქციონირება დამოკიდებულია სხვა ერთეულის (ტრაქტორის, ავტომანქანის და ა.შ.) ძალოვან დანადგარზე. ამდენად 162 და 234 კოდების მქონე წყლის გამასხურებლებს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველ შემთხვევაში ის დამოუკიდებლად მუშაობს (აქვს საკუთარი მოტორი), ხოლო მეორე შემთხვევაში – დამოკიდებულია სხვა ტექნიკის (წყლის ტუმბოს, ტრაქტორის და ა.შ. მოტორზე).

5.1.1 და 5.2.1 ცხრილებში აისახება მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით მეურნის საკუთრებაში მყოფი ტექნიკისა და მოწყობილობების რაოდენობა, ამასთან ძალოვანი დანადგარის მქონე ტექნიკა ჩაიშლება მუშა მდგომარეობისა და ასაკის კატეგორიების მიხედვით. ჩაიწერება მხოლოდ ის ტექნიკა და მოწყობილობები, რომლებიც მეურნეს აქვს საკუთრებაში. სარემონტოში იგულისხმება, რომ ერთეული ამჟამად

სამუშაოდ გამოუსადეგარია, მაგრამ გამოსადეგი გახდება გარკვეული რემონტის შემდეგ. თუ ტექნიკის ერთეული ვერ გარემონტდება, ის საერთოდ არ აღირიცხება.

თუ მეურნეს არ შეუძლია ტრაქტორის სიმძლავრის დასახელება, ინტერვიუერი პირველ სვეტში მიუთითებს ტრაქტორის მარკას, ხოლო მეორე სვეტში მიუთითებს კოდს 113 (ტრაქტორები).

5.3. შენობა-ნაგებობები. აქ აღიწერება მეურნეობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობები. მეურნეობის სახლი აღიწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დგას მიწაზე, რომელიც მეურნეობის მიწის ნაწილს შეადგენს. პირუტყვის სადგომში იგულისხმება უსახურავო შემოღობილი ტერიტორიებიც. “პროდუქციის შესანახის” ქვეშ იგულისხმება საბძელი, სათივე, ნალია, სარდაფი და ა.შ. “ტექნიკის შესანახის” ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი ნაგებობა (მხოლოდ შემოღობილი, მხოლოდ გადახურული, გადახურული შენობა და ა.შ.), რომელიც გამოიყენება 5.1 და 5.2 ცხრილებში მითითებული ტექნიკის და მოწყობილობების შესანახად. სათბური არის **მუდმივი** კონსტრუქცია, გადახურული და შემოფარგლული მინით ან პლასტიკური მასალებით. მე-3 - მე-4 სვეტებში იწერება მეურნის მფლობელობაში მყოფი შესაბამისი ნაგებობების სრული რაოდენობა და სრული ფართობი (თუ ნაგებობა მრავალსართულიანია, იწერება ყველა სართულის ფართობი), ხოლო მე-5 - მე-6 სვეტებში იწერება მეურნის მიერ იჯარით აღებული შესაბამისი ნაგებობების სრული რაოდენობა და სრული ფართობი. რაც შეეხება ნაკვეთის ნომერს (მე-2 სვეტი), თუ მოცემული ტიპის ნაგებობები რამდენიმე ნაკვეთზეა, აირჩევა ყველაზე მნიშვნელოვანი (მეურნის აზრით) ნაკვეთის ნომერი (მე-2 ნაწილის ნუმერაციის მიხედვით).

კონტროლები ნაწილი 5-ისათვის

- **ცხრილი 5.1.1 – ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-2 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული, იქ ჩაწერილი კოდი უნდა ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ ტექნიკის კოდს დანართის დ4 ცხრილიდან ან უდრიდეს 999-ს, თუ 1-ლ სვეტში მითითებული ტექნიკის კოდი ცხრილში არ არის; 5.1.1 ცხრილში **მე-3 – მე-8 სვეტებიდან** ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული.
- **ცხრილი 5.2.1 – ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-2 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული, იქ ჩაწერილი კოდი უნდა ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ ტექნიკის კოდს დანართის დ4 ცხრილიდან ან უდრიდეს 999-ს, თუ 1-ლ სვეტში მითითებული მოწყობილობის კოდი ცხრილში არ არის; **მე-3 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული.
- **ცხრილი 5.3. – ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-2–მე-5 სვეტებიდან** შევსებული უნდა იყოს ან მე-2 და მე-3 ერთდროულად, ან მე-4 და მე-5 ერთდროულად, ან ოთხივე ერთთად. 1-ლ სვეტში მითითებული ნომერის მქონე ნაკვეთზე 2.2 ცხრილის მე-5 სტრიქონი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; თუ 5.1.1 ან 5.2.1 ცხრილში მითითებულია რაიმე ტექნიკა ან მოწყობილობა, მე-5 სტრიქონი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; თუ 4.1 ცხრილში მითითებულია რაიმე პირუტყვი, მე-2 სტრიქონი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; თუ 4.1 ცხრილში მითითებულია რაიმე ფრინველი, მე-3 სტრიქონი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; თუ რომელიმე ნაკვეთში მითითებულია სათბურის ფართობი, მე-6 სტრიქონი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული.

გამოკითხვის დასრულება

მას შემდეგ, რაც ინტერვიუერი დაასრულებს გამოკითხვას, იგი სამხალისო სისტემით შეაფასებს გამოკითხული პირის თანამშრომლობის ხარისხს. შემდეგ იგი დააფიქსირებს გამოკითხვის დამთავრების დროს, შეადარებს მას კითხვარის დასაწყისში დაფიქსირებულ გამოკითხვის დაწყების დროს და კითხვარში ჩაწერს ინტერვიუს ხანგრძლივობას.

დამშვიდობებისას ინტერვიუერი მადლობას გადაუხდის რესპონდენტს თანამშრომლობისათვის.

1.2. მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის შევსება საწყისი გამოკითხვის შემდეგ

ყოველ ინტერვიუერს ურიგდება მეურნეობათა აღრიცხვის ერთი ან რამდენიმე ჟურნალი იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მეურნეობა ჰყავს მას გამოსაკითხი. საწყისი გამოკითხვის პარალელურად ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ინტერვიუერი სახლში (ოფისში) ყოველი მეურნეობისთვის, რომლისთვისაც კითხვარის 0.4 კითხვაში გარკვეული პასუხი დაფიქსირდა (ე.ი. მოხდა მეურნეობის ან მისი “მემკვიდრის” იდენტიფიცირება, იმისდა მიუხედავად, მოხერხდა თუ არა შემდგომში რესპონდენტის გამოკითხვა ამ მეურნეობაში) ინტერვიუერი ავსებს მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის თითო გვერდს. საწყისი გამოკითხვისას გამოკითხული მეურნეობები დაკვირვების ქვეშ იქნებიან მთელი წლის განმავლობაში, ამდენად მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალი წარმოადგენს ინტერვიუერის სამუშაო ინსტრუმენტს მთელი წლის განმავლობაში.

ყოველი გვერდის თავში იწერება მეურნეობის თორმეტნიშნა კოდი, აგრეთვე მეურნის სახელი და გვარი ან დასახელება, ტელეფონი და მობილური ტელეფონი (თუ ასეთი არსებობს). შემდგომი ცხრილების შევსება შემდეგნაირად ხდება.

ცხრილი 1. ნაკვეთები. ამ ცხრილში მოცემული მეურნეობის თითოეული ნაკვეთისათვის სვეტში “გვ. №” მიეთითება ის გვერდი, რომელიც ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალში შეესაბამება ამ ნაკვეთს (ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის შესახებ იხ. ქვემოთ). თუ ინტერვიუერი იყენებს ნაკვეთების აღრიცხვის რამდენიმე ჟურნალს, მიეთითება ჟურნალის ნომერიც. მაგალითად მეორე ჟურნალის მე-10 გვერდი აღინიშნება, როგორც 2-10. ეს ცხრილი გაუადვილებს ინტერვიუერს შესაბამისი ნაკვეთის მოძებნას ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალში. თუ რომელიმე ნაკვეთი წლის განმავლობაში გამოვიდა მეურნეობის შემადგენლობიდან (გაიყიდა, იჯარა შეწყდა, იჯარით გაიცა, დანაწევრდა ოჯახის გაყოფის გამო და ა.შ.), სვეტში “შენიშვნა” ჩაიწერება შესაბამისი შენიშვნა. თუ წლის განმავლობაში მეურნეობას შეემატა ნაკვეთი (მეურნემ იყიდა, იჯარით აიღო და ა.შ.), როგორც ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის ბოლოში, ისე მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის 1-ლ ცხრილში შესაბამისი ნომრით მიემატება ნაკვეთი.

ცხრილი 2. მემცენარეობის პროდუქციის მარაგები. ამ ცხრილში საწყისი გამოკითხვის კითხვარიდან (ცხრილი 2.6 და ცხრილი 2.7 თივის შემთხვევაში) კითხვარის ზედამხედველთან გაგზავნამდე ინტერვიუერს გადმოაქვს იქ მითითებული მემცენარეობის პროდუქციის მარაგები მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით. სვეტში “პროდუქტი” მიეთითება პროდუქტის დასახელება (პირუტყვის საკვებისა და გადაამუშავებული

პროდუქტების შემთხვევაში პროდუქტის დასახელება უკვე მითითებულია), ხოლო სვეტში “1 იანვარი” – პროდუქტის მარაგი მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწყისი გამოკითხვის კითხვარის 2.6 ცხრილის მე-3 სვეტიდან (თივის შემთხვევაში 2.7 ცხრილის მე-2 სვეტიდან). დასკვნითი გამოკითხვისას ამ ინფორმაციას ინტერვიუერი გადაიტანს დასკვნითი გამოკითხვის კითხვარში, როგორც საწყის მარაგებს. სვეტი “31 დეკემბერი” შეივსება დასკვნითი გამოკითხვის დასრულების შემდეგ შესაბამისი კითხვარიდან.

ცხრილი 3. პირუტყვის და ფრინველის სულადობა. ამ ცხრილის სვეტში “1 იანვარი” საწყისი გამოკითხვის კითხვარიდან (4.1 ცხრილი) კითხვარის ზედამხედველთან გაგზავნამდე ინტერვიუერს გადმოაქვს იქ მითითებული სულადობები მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით. სვეტები “1 აპრილი”, “1 ივლისი”, “1 ოქტომბერი” და “31 დეკემბერი” კითხვარების ზედამხედველთან გაგზავნამდე შეივსება შესაბამისად 1-ლი, მე-2 და მე-3 კვარტალების და დასკვნითი გამოკითხვის შემდეგ იმ სვეტიდან, რომელიც შეიცავს სულადობას შესაბამისი კვარტალის ბოლოს.

სვეტებში “1 იანვარი”, “1 აპრილი”, “1 ივლისი” და “1 ოქტომბერი” მითითებულ ინფორმაციას ინტერვიუერი გადაიტანს შესაბამისად 1-ლი, მე-2, მე-3 კვარტალების და დასკვნითი (მე-4 კვარტალის) გამოკითხვის კითხვარში პირუტყვის საწყისი სულადობების გრაფებში.

ცხრილი 4. მეცხოველეობის პროდუქციის მარაგები. ამ ცხრილის სვეტში “1 იანვარი” საწყისი გამოკითხვის კითხვარიდან (4.2 ცხრილი) კითხვარის ზედამხედველთან გაგზავნამდე ინტერვიუერს გადმოაქვს იქ მითითებული მარაგები მიმდინარე წლის 1 იანვრის მდგომარეობით. სვეტები “1 აპრილი”, “1 ივლისი”, “1 ოქტომბერი” და “31 დეკემბერი” ივსება შესაბამისად 1-ლი, მე-2 და მე-3 კვარტალების და დასკვნითი გამოკითხვის შემდეგ, კითხვარების ზედამხედველთან გაგზავნამდე, რათა ისინი გამოყენებულ იქნენ შემდეგი კვარტალური კითხვარის საწყისი მარაგების გრაფების შესავსებად.

1.3. ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის შევსება საწყისი გამოკითხვის შემდეგ

ყოველ ინტერვიუერს ურიგდება ნაკვეთების აღრიცხვის ერთი ან რამდენიმე ჟურნალი იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ნაკვეთია მის მიერ გამოსაკითხ მურნეობებში. საწყისი გამოკითხვის ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, მურნეობათა აღრიცხვის ჟურნალში დაფიქსირებული ყოველი მურნეობის თითოეული ნაკვეთისათვის ივსება ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის ერთი გაშლილი (ორმაგი) გვერდი. ჟურნალის გაშლილი გვერდები ინომრება ინტერვიუერის მიერ.

1-ლი, მე-2 და მე-3 კვარტალების გამოკითხვისას, აგრეთვე დასკვნითი (მე-4 კვარტალის) გამოკითხვისას ინტერვიუერს კითხვართან ერთად თან მიაქვს ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალიც. წლის განმავლობაში თითოეულ კვარტალში მემცენარეობის დარგში მურნეობაში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა აღირიცხება ამ ჟურნალში. ამ ჟურნალში არსებული მონაცემების საფუძველზე ინტერვიუერის სახლში (ოფისში) ხდება კვარტალური კითხვარის მე-2 ნაწილის შევსება (1-ლი, მე-2 და მე-3

კვარტალის გამოკითხვისას) და დასკვნითი გამოკითხვის კითხვარის მე-2 ნაწილის შევსება ნაკვეთების მიხედვით (მე-4 კვარტალის გამოკითხვისას).

საწყისი გამოკითხვისას ინტერვიუერს ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალი თან არ მიაქვს. ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის შევსება ხდება საწყისი გამოკითხვის შემდეგ ყოველი სამუშაო დღის ბოლოს. ივსება შემდეგი მონაცემები.

ყოველი გვერდის თავსართში იწერება გვერდის ნომერი, იმ მეურნეობის თორმეტნიშნა კოდი რომელსაც ეკუთვნის მოცემული ნაკვეთი, აგრეთვე ნაკვეთის ნომერი. თავსართები ივსება საწყისი გამოკითხვის კითხვარის მონაცემების მიხედვით, კითხვარის ზედამხედველთან გაგზავნამდე. საწყისი გამოკითხვისას გამოკითხული მეურნეობები დაკვირვების ქვეშ იქნებიან მთელი წლის განმავლობაში, ამდენად ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალი წარმოადგენს ინტერვიუერის სამუშაო ინსტრუმენტს მთელი წლის განმავლობაში.

ცხრილი 1. ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემები. ამ ცხრილში საწყისი გამოკითხვის კითხვარის შესაბამისი ნაკვეთის 2.1 ცხრილიდან გადმოღობის შემდეგი მონაცემები:

1. ნაკვეთის არაოფიციალური სახელი;
2. სვეტში “1 იანვრის მდგომარეობით” – მფლობელობის ფორმის კოდი, ნაკვეთის სრული ფართობი, აგრეთვე სარწყავი საშუალებების არსებობის კოდი;
3. ნაკვეთის ადგილმდებარეობა (მუნციპალიტეტი, თემი/ქალაქი/დაბა, სოფელი).

ცხრილი 2. მიწათსარგებლობა. ამ ცხრილის სვეტში “1 იანვრის მდგომარეობით” საწყისი გამოკითხვის კითხვარის შესაბამისი ნაკვეთის 2.2 ცხრილიდან გადმოღობის შესაბამისი ფართობები.

ცხრილი 3ა. ღია გრუნტის კულტურები – სახნავი. ამ ცხრილში საწყისი გამოკითხვის კითხვარის შესაბამისი ნაკვეთის 2.3 ცხრილიდან გადმოღობის მონაცემები იმ კულტურების შესახებ, რომლებითაც მიმდინარე წლის I იანვრისათვის დაკავებული იყო ნაკვეთის სახნავი ნაწილი.

თითოეული ამ კულტურისათვის ჟურნალის ცხრილის 1-ლ სვეტში კითხვარის ცხრილის 1-ლი სვეტიდან გადმოღობის კულტურის დასახელება, ჟურნალის ცხრილის მე-2 სვეტში კითხვარის ცხრილის მე-3 სვეტიდან – კულტურების კომბინაციის კოდი, აგრეთვე ჟურნალის ცხრილის მე-7 სვეტში კითხვარის ცხრილის მე-4 სვეტიდან – ფართობი.

ცხრილი 3ბ. ღია გრუნტის კულტურები – მრავალწლოვანი ნარგავები. ამ ცხრილში საწყისი გამოკითხვის კითხვარის შესაბამისი ნაკვეთის 2.3ბ ცხრილიდან გადმოღობის მონაცემები მრავალწლოვანი კულტურების შესახებ. კერძოდ:

1. ჟურნალის ცხრილის 1-ლ სვეტში კითხვარის ცხრილის 1-ლი სვეტიდან გადმოღობის კულტურის დასახელება;
2. ჟურნალის ცხრილის მე-2 სვეტში კითხვარის ცხრილის მე-3 სვეტიდან გადმოღობის კულტურების კომბინაციების კოდი;
3. ჟურნალის ცხრილის სვეტში “დაკავებული ფართობი 1 იანვრისათვის” კითხვარის ცხრილის მე-4 სვეტიდან გადმოღობის მრავალწლოვანი კულტურის მიერ დაკავებული ფართობი (თუ კითხვარის ცხრილში ფართობი მითითებული არ არის, ჟურნალის ცხრილის შესაბამისი უჯრა ცარიელი რჩება);
4. ჟურნალის ცხრილის მე-9 და მე-12 სვეტებში კითხვარის ცხრილის შესაბამისად მე-5 და მე-6 სვეტებიდან გადმოღობის მონაცემები ძირითა

რაოდენობების შესახებ (შესაბამისად სრული და მათ შორის მსხმოიარე ასაკში).

სვეტში “დაკავებული ფართობი 1 იანვრისათვის” მითითებული ფართობების ჯამი უნდა ემთხვეოდეს მე-2 ცხრილის მე-2 სტრიქონის სვეტში “1 იანვრისათვის” მითითებულ ფართობს.

ცხრილი 4. ცალკე მდგომი ძირები. ამ ცხრილში საწყისი გამოკითხვის კითხვარის შესაბამისი ნაკვეთის 2.4 ცხრილიდან გადმოდის მონაცემები მრავალწლოვანი კულტურების ცალკე მდგომი ძირების შესახებ. კერძოდ:

1. **ჟურნალის ცხრილის 1-ლ სვეტში კითხვარის ცხრილის 1-ლი სვეტიდან** გადმოდის კულტურის დასახელება;
2. **ჟურნალის ცხრილის მე-2 და მე-5 სვეტებში კითხვარის ცხრილის მე-3 და მე-4 სვეტებიდან, შესაბამისად,** გადმოდის მონაცემები ძირთა რაოდენობების შესახებ (შესაბამისად სრული და მათ შორის მსხმოიარე ასაკში).

ცხრილი 5. სათბურში მოყვანილი კულტურები. ამ ცხრილის უჯრაში “სათბურ(ებ)ის ფიზიკური ფართობი 1 იანვრისათვის” პირველი წლიური გამოკითხვის კითხვარის შესაბამისი ნაკვეთის 2.5 ცხრილიდან გადმოდის სათბურ(ებ)ის ფიზიკური ფართობი კვადრატულ მეტრებში. გარდა ამისა, კითხვარის 2.5 ცხრილიდან გადმოდის მონაცემები კულტურების შესახებ. კერძოდ:

1. **ჟურნალის ცხრილის 1-ლ სვეტში კითხვარის ცხრილის 1-ლი სვეტიდან** გადმოდის კულტურის დასახელება;
2. **ჟურნალის ცხრილის მე-6 სვეტში კითხვარის ცხრილის მე-3 სვეტიდან** გადმოდის ფართობი.

2. კვარტალური გამოკითხვა

2.1. კვარტალური კითხვარის თავსართის და 1-ლი ნაწილის შევსება

კვარტალური კითხვარი ივსება 1-ლი, მე-2 და მე-3 კვარტალების გამოკითხვებისას. ამ გამოკითხვებზე მეურნეს კვარტალური კითხვარის გარდა მიაქვს ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალიც.

კონტროლები პირველი გვერდისათვის

ეს კონტროლები ზუსტად ისეთია, როგორც საწყისი გამოკითხვის შემთხვევაში.

თავსართი: მეურნეობის იდენტიფიკაცია

მეურნეობის იდენტიფიკაცია ხდება ზუსტად ისე, როგორც საწყისი გამოკითხვის შემთხვევაში (იხ. საწყისი გამოკითხვის ინსტრუქცია), ოღონდ ცვლილებები ფიქსირდება არა სიის მონაცემების, არამედ წინა გამოკითხვის მონაცემების მიმართ, ანუ ფიქსირდება საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები. თუ საანგარიშო კვარტალის განმავლობაში რაიმე ცვლილება მოხდა მეურნეობის სტატუსში (დაიშალა,

გაერთიანდა სხვა მეურნეობასთან და ა.შ.), ეს ცვლილება შესაბამისად აისახება 01 – 03 კითხვებში. 0.4 კითხვაში აისახება გამოკითხვის შედეგი.

კონტროლები თავსართისათვის

ეს კონტროლები ზუსტად ისეთია, როგორც საწყისი გამოკითხვის შემთხვევაში.

ნაწილი 1.

ნაწილი 1 ივსება ზუსტად ისე, როგორც საწყისი გამოკითხვის შემთხვევაში (იხ. საწყისი გამოკითხვის ინსტრუქცია)

კონტროლები ნაწილი 1-ისათვის

ეს კონტროლები ზუსტად ისეთია, როგორც საწყისი გამოკითხვის შემთხვევაში.

2.2. ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის შევსება კვარტალური და დასკვნითი გამოკითხვებისას

ყოველი კვარტალური გამოკითხვისას ინტერვიუერს კითხვართან ერთად თან მიაქვს ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალიც. წლის განმავლობაში თითოეულ კვარტალში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მემცენარეობის სფეროში ამ ჟურნალში აღრიცხება. ამ ჟურნალში არსებული მონაცემების საფუძველზე ინტერვიუერის სახლში (ოფისში) ხდება კვარტალური კითხვარის მე-2 ნაწილის შევსება (1-ლი, მე-2 და მე-3 კვარტალის გამოკითხვისას) და დასკვნითი (მეოთხე კვარტალის) გამოკითხვის კითხვარის მე-2 ნაწილის შევსება ნაკვეთების მიხედვით (დასკვნითი გამოკითხვისას).

ცხრილი 1. ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემები. კვარტალური გამოკითხვების მომენტიდან 1 იანვრის მდგომარეობით მონაცემები უკვე გადმოტანილი უნდა იყოს ჟურნალში საწყისი გამოკითხვის კითხვარიდან. 1 ივლისის მდგომარეობით მონაცემები ივსება მეორე კვარტალის, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით – დასკვნითი (მე-4 კვარტალის) გამოკითხვისას.

ცხრილში უნდა დაფიქსირდეს წლის განმავლობაში ნაკვეთის სტატუსში მომხდარი ყველა ცვლილება. მაგალითად, ვთქვათ რომელიმე ნაკვეთმა წლის განმავლობაში შეიცვალა მფლობელობის ფორმა: 1 იანვარს იგი იყო იჯარით აღებული სახელმწიფოსაგან, ხოლო 20 აგვისტოს მეურნემ იგი შეისყიდა. მაშინ მფლობელობის ფორმაში 1 იანვრის მდგომარეობით დაიწერება კოდი 2, 1 ივლისის მდგომარეობით – აგრეთვე კოდი 2, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით – კოდი 1.

ცხრილი 2. მიწათსარგებლობა. აქაც 1 იანვრის მდგომარეობით მონაცემები უკვე უნდა გადმოტანილი იყოს საწყისი გამოკითხვის კითხვარიდან, 1 ივლისის მდგომარეობით მონაცემები ივსება მეორე კვარტალის, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით – დასკვნითი (მე-4 კვარტალის) გამოკითხვისას.

მაგალითად, ვთქვათ წლის დასაწყისში 1 ჰა ფართობის ნაკვეთი იყო მთლიანად სახნავი მიწით დაკავებული, ხოლო გაზაფხულზე მეურნემ 0.5 ჰა-ზე გააშენა ხეხილის ბაღი. მაშინ 1 იანვრის მდგომარეობით 1-ლ სტრიქონში დაიწერება 1, ხოლო 1 ივლისის მდგომარეობით 1-ლ სტრიქონში დაიწერება 0.5 და მე-2 სტრიქონშიც 0.5. თუ წლის ბოლომდე ამ ნაკვეთზე სხვა ანალოგიური ცვლილება არ მოხდა, 31 დეკემბრის მდგომარეობითაც იგივე დაიწერება.

ცხრილი 3ა. ღია გრუნტის კულტურები – სახნავი. ამ ცხრილში ინტერვიუერი ავსებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა კულტურები იქნა დათესილი და აღებული ნაკვეთის სახნავ მიწაზე გასული კვარტალის (საანგარიშო პერიოდის) განმავლობაში. თუ მე-2 ცხრილში სახნავი მიწა არ არის მითითებული, ეს ცხრილი შეუვსებელი დარჩება.

პირველ სვეტში იწერება მოცემული კვარტალის განმავლობაში დათესილი ერთწლიანი კულტურის დასახელება. დათესილი ფართობი იწერება შესაბამისი კვარტალის სვეტში. თუ კულტურის თესვა დაიწყო, ვთქვათ, პირველ კვარტალში და გაგრძელდება მეორეში, 1-ლ კვარტალის შესაბამის სვეტში იწერება დათესილი ფართობის ის ნაწილი, რომელიც დაითესა 1-ლ კვარტალში, ხოლო მე-2 კვარტალის შესაბამისი ნაწილი აღირიცხება მე-2 კვარტალის გამოკითხვისას და ჩაიწერება მე-2 კვარტალის შესაბამის სვეტში. თუ ინტერვიუერმა პირველი კვარტალის გამოკითხვა ჩაატარა, მაგალითად, 9 აპრილს და გაიგო რომ კულტურის თესვა დამთავრდა 3 აპრილს, მე-2 კვარტალის შესაბამისი ფართობის შეტანა შეიძლება ჟურნალში წინასწარ მე-2 კვარტალის გრაფაში, მაგრამ ეს ფართობი არ გადმოვა პირველი კვარტალის კითხვარის მე-2 ნაწილში, ვინაიდან იქ მონაცემები გადმოდის მხოლოდ 1-ლი კვარტალის შესაბამისი გრაფებიდან (იხ. ქვემოთ კითხვარის შევსების ინსტრუქცია). ეს ფართობი გადავა მე-2 კვარტალის კითხვარში მე-2 კვარტალის გამოკითხვის შემდეგ ჟურნალიდან კითხვარში მონაცემების გადატანისას. **ინტერვიუერი ანალოგიურად შეიძლება მოიქცეს (მონაცემები წინასწარ ჩაწეროს ჟურნალში) მოსავლის აღების და სხვა მსგავს შემთხვევებშიც.**

ძირითადად თესვა ტარდება I და II კვარტალებში, თუმცა არ არის გამორიცხული სხვა კვარტალებში დათესვაც, მაგალითად, ერთსა და იმავე მიწის ფართობზე მეორე მოსავლის მიღების ან საშემოდგომო თესვის შემთხვევაში.

პირველ რიგში აღირიცხება **წმინდა ნათესები**, ე.ი. როდესაც გარკვეულ ფართობზე მხოლოდ ერთი კულტურაა დათესილი. 1-ლ სვეტში იწერება მოცემული ერთწლიანი კულტურის დასახელება, მე-2-ში – კოდი 0, რომელიც მიუთითებს, რომ წმინდა ნათესთან გვაქვს საქმე. დათესილი ფართობი იწერება შესაბამისი კვარტალის სვეტში. შემდეგ ივსება ინფორმაცია **კულტურების კომბინაციების** შესახებ, ე.ი. როდესაც გარკვეულ ფართობზე რამდენიმე ერთწლიანი კულტურაა დათესილი ისე, რომ თითოეულისათვის ფართობის ფიზიკურად გამოყოფა შეუძლებელია. კულტურათა ყოველი ასეთი ჯგუფისათვის 1-ლ სვეტში ერთმანეთის მიყოლებით გარკვევით ჩაიწერება თითოეული კულტურის დასახელება. მე-2 სვეტში იწერება კულტურათა კომბინაციის ნომერი ისე, რომ ერთად დათესილ კულტურებს ერთიდაიგივე ნომერი ჰქონდეს. თუ კულტურათა კომბინაციაში კულტურები რიგებადაა დათესილი ისე, რომ შესაძლებელია საერთო ფართობის მათ შორის გადანაწილება, ეს ფართობი ნაწილდება კულტურათა შორის ისე, რომ ჯამში საერთო ფართობი გამოვიდეს. თუ ერთი კულტურა ძირითადია, ხოლო დანარჩენ(ებ)ი უსისტემოდაა შეთესილი (ე.წ. **შეთესილი კულტურები**), მთელი ფართობი ენიჭება ძირითად კულტურას, დანარჩენი კულტურებისათვის კი ნათესი ფართობი არ აისახება (მე-2 სვეტში კულტურათა კომბინაციის ნომერი მაინც ჩაიწერება). როგორც წესი, ძირითადი კულტურის როლში გამოდის სიმინდი, ხოლო შეთესილებისა – ლობიო, სოიო ან გოგრა. **ინტერვიუერი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს შეთესილი**

კულტურების განსაზღვრას და მაქსიმალურად აიცილოს თავიდან კულტურის ფართობის არმითიების შემთხვევები.

დაუშვებელია 1-ლ სვეტში კულტურათა ჯგუფების მითითება (მაგ. ბოსტნეული, კარტოფილი), რომლებსაც დ1 ცხრილში ფრჩხილებში მოთავსებული (აგრეგირებული) კოდი აქვს მინიჭებული!

ცხრილში მითითებული ყოველი კულტურისათვის მოსავლის აღების შემდეგ შესაბამისი კვარტალური გამოკითხვისას ივსება მონაცემები აღებული ფართობისა და აღებული მოსავლის შესახებ. ორივე მაჩვენებელი იწერება იმ კვარტალის შესაბამის სვეტში, რომელშიც მოსავალი იქნა აღებული. თუ მოსავლის აღება ერთ კვარტალში დაიწყო და მომდევნოში დასრულდა, თითოეული კვარტალის შესაბამის სვეტში იწერება აღებული ფართობისა და აღებული მოსავლის ის ნაწილი, რომელიც შესაბამის კვარტალში იქნა აღებული. **ფართობი ითვლება აღებულად, თუ ამ ფართობიდან მოცემული კულტურის მოსავალი მეტი აღარ აიღება.** ამდენად იმ კულტურებისათვის, რომლებიდანაც მოსავლის აღება მთელი ფართობიდან თვეობით გრძელდება (მწვანელი, პომიდორი, კიტრი, მწვანე ლობიო და ა.შ.), მთელი აღებული ფართობი იწერება მხოლოდ იმ კვარტალში, რომელშიც ამ კულტურის მოსავლის აღება ამ ფართობიდან დასრულდა, ხოლო მოსავალი იწერება ყველა კვარტალში, რომელშიც იგი იქნა აღებული, შესაძლოა აღებული ფართობის მითითების გარეშე (**კვარტალების განმავლობაში მოცემული კულტურის აღებული ფართობების ჯამი მეტი არ უნდა იყოს ნათეს ფართობზე**). მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ ან დასკვნითი (მე-4 კვარტალის) გამოკითხვისას ივსება 25-ე სვეტი, სადაც აღირიცხება მინდორში დარჩენილი მოსავალი. ამავე დროს ივსება მე-8 სვეტიც, რომელშიც ივსება ინფორმაცია კულტურის მორწყვის შესახებ. სჭირდებოდა თუ არა კულტურას მორწყვა და საკმარისად მოირწყა თუ არა იგი, ეს უნდა გადაწყვიტოს მეურნემ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არსებული ამინდის პირობების გათვალისწინებით.

დასკვნითი (მე-4 კვარტალის) გამოკითხვისას ინტერვიუერმა უნდა ჰკითხოს მეურნეს, დარჩა თუ არა ნაკვეთის რაიმე ნაწილი დაუმუშავებელი მთელი წლის განმავლობაში. თუ ასეთი რამე აღმოჩნდა, თავისუფალ სტრიქონში ჩაიწერება “დროებით” ან “დიდი ხნით” იმისდა მიხედვით, 5 წელზე ნაკლები, თუ მეტი ხნის განმავლობაშია იგი დაუმუშავებელი, ხოლო მე-7 სვეტში მიეთითება შესაბამისი ფართობი.

თუ ნაკვეთზე იმდენი სახის ერთწლიანი კულტურაა, რომ სტრიქონების რაოდენობა საკმარისი არ არის, მაშინ ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა გაგრძელდეს ახალ გვერდზე (თავისუფალი ჟურნალის ბოლოს) რომელშიც განმეორდება მეურნეობის კოდი და ნაკვეთის ნომერი. ამასთან ინტერვიუერი ძირითად გვერდზე მიუთითებს, რომ ამ გვერდს აქვს გაგრძელება, ხოლო ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალში 1-ლ ცხრილში ამ ნაკვეთის გასწვრივ მიუთითებს მეორე გვერდსაც.

ბოსტნეულის შემთხვევაში მცირე ფართობების არსებობისას დასაშვებია ფართობების მითითება მეათიათასედამდე სიზუსტით. 1 კვ.მ. = 0.0001 ჰა, 2 კვ. მ. = 0.0002 ჰა და ა.შ., 9 კვ.მ =0.0009 ჰა; 10 კვ.მ – 0.001 ჰა, 20 კვ. მ. – 0.002 ჰა და ა.შ., 90 კვ.მ =0.009 ჰა.

კულტურის თესვის დამთავრების ან დასკვნითი გამოკითხვის შემდეგ მე-7 სვეტში 3-6 სვეტების ჯამი, ანუ მოცემული კულტურის სრული ნათესი ფართობი. სტრიქონში “სულ” დასკვნითი გამოკითხვის შემდეგ დაჯამდება მე-7 სვეტში მითითებული ყველა ფართობი. ეს ფართობი მეტი ან ტოლი უნდა იყოს 2.2 ცხრილის 1-ლ სვეტში მითითებული სახნავის ფართობისა, ამასთან მეტობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუ რომელიმე ფართობი ორჯერ ან მეტჯერ იქნა გამოყენებული. ამიტომ, თუ

მეტობა დაფიქსირდა, ინტერვიუერმა მკაცრად უნდა გადაამოწმოს, რომ ასეთ მოვლენას მართლაც ჰქონდა ადგილი.

მწვანე ლობიოსა და ჭყინტი სიმინდის აღრიცხვა

წლის დასაწყისში დათესილი სიმინდის (კოდი 117) და ლობიოს (კოდი 121) ნაწილი მეურნემ შეიძლება აიღოს შესაბამისად ჭყინტი სიმინდისა (კოდი 1171) და მწვანე ლობიოს (კოდი 1523) სახით. ასეთი შემთხვევები შემდეგნაირად აღირიცხება (სიმარტივისათვის დაწვრილებით განვიხილავთ სიმინდის შემთხვევას):

დათესვისას ახალი სტრიქონის 1-ლ სვეტში ჩაიწერება “სიმინდი”. თუ წლის განმავლობაში ამ სიმინდის ნაწილი აღებულ იქნა ჭყინტი სიმინდის სახით, ახალ სტრიქონში 1-ლ სვეტში ჩაიწერება “ჭყინტი სიმინდი”. თუ სიმინდის წმინდა ნათესი გვქონდა (მე-2 სვეტში ეწერა კოდი 0), ეს კოდი გადაკეთდება ნულისაგან განსხვავებულ ჯერ გამოუყენებელ რიცხვად და იგივე კოდი მიეწერება ჭყინტ სიმინდსაც. თუ სიმინდი უკვე იყო კომბინაციაში სხვა კულტურებთან, იგივე კომბინაციის კოდი მიეწერება ჭყინტ სიმინდსაც. ამრიგად, სიმინდი და ჭყინტი სიმინდი განიხილება, როგორც ერთ კომბინაციაში მყოფი კულტურები. სიმინდის და ჭყინტი სიმინდის ერთ კომბინაციაში ყოფნა იქნება იმის მიმანიშნებელი, რომ სიმინდის ერთი და იგივე ნათესიდან მოსავალი აღებულ იქნა როგორც ჭყინტი სიმინდის, ისე მარცვლის სახით. ჭყინტ სიმინდს ფართობი არ მიეთითება, ხოლო სიმინდის და ჭყინტი სიმინდის აღებული მოსავალი აღირიცხება შესაბამის სტრიქონებში. ჭყინტი სიმინდის მოსავალი აღირიცხება ტაროების რაოდენობის მიხედვით, ხოლო სიმინდის მოსავალი – კილოგრამებში **მარცვლის** სახით (ტაროების წონის გამოკლებით).

ანალოგიურად უნდა იქნეს განხილული ლობიოს და მწვანე ლობიოს შემთხვევა. ოღონდ ლობიოს შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ისე, რომ მეურნემ დათესვისას თავიდანვე იცის, რომ მთელი მოსავალი უნდა აიღოს მწვანე ლობიოს სახით. ასეთი ნათესის აღსარიცხად გამოიყენება მხოლოდ ერთი სტრიქონი, რომლის პირველ სვეტში თავიდანვე ჩაიწერება “მწვანე ლობიო”.

განვიხილოთ მაგალითები:

1. ვთქვათ ნაკვეთის სახნავი ნაწილის ფართობია 5 ჰა. მეურნემ 1 ჰა-ზე დათესა მზესუმზირა: მარტში 0.8 ჰა და აპრილში 0.2 ჰა. 1 ჰა-ზე აპრილში მეურნემ ერთად დათესა სიმინდი და ლობიო ისე, რომ მათ თანაბარი ფართობი ეკავათ (რიგგამოშვებით), აპრილში 1-ჰა-ზე დათესა სიმინდი და შიგ შეთესა გოგრა, ხოლო მარტში 1 ჰა-ზე დათესა სტაფილო. გარდა ამისა, საანგარიშო წლის განმავლობაში დროებით ვერ დაამუშავა 1 ჰა ფართობი. მზესუმზირის მოსავალი მეურნემ მთლიანად სექტემბერში აიღო მთელს დათესილ ფართობზე – 650 კგ. სიმინდის და ლობიოს მოსავალი მეურნემ აიღო ნახევარ ფართობზე სექტემბერში და ნახევარ ფართობზე ოქტომბერში, სულ 1500 კგ სიმინდი და 400 კგ ლობიო. სიმინდი გოგრასთან ერთად მეურნემ მთლიანად ოქტომბერში აიღო მთელს ფართობზე, სულ 2 ტ სიმინდი და 500 კგ გოგრა, ხოლო დაახლოებით 100 კგ გოგრა მინდორში დარჩა აუღებელი. რაც შეეხება სტაფილოს, ნათ ესი ფართობის ნახევარი მავნებლებმა გაუფუჭეს, ხოლო მეორე ნახევრიდან სექტემბერში აიღო 1 ტ სტაფილო. დასკვნითი გამოკითხვის შემდეგ ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის 3ა ცხრილის 1-7 და 15-25 სვეტები ასე უნდა გამოიყურებოდეს:

	წმინდა თუ შერეული	დათესილი ფართობი					აღებული ფართობი					მოსავალი (კგ)					მინდორში ღარჩენილი	
												აღებული						
		Iკვ	IIკვ	IIIკვ	IVკვ	სულ	Iკვ	IIკვ	IIIკვ	IVკვ	სულ	Iკვ	IIკვ	IIIკვ	IVკვ	სულ		
1	2	3	4	5	6	7	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	
მზესუმზირა	0	0.8	0.2			1			1		1				650		650	
სტაფილო	0	1				1			0.5		0.5				1000		1000	
სიმინდი	1		0.5			0.5			0.25	0.25	0.5				750	750	1500	
ლობიო	1		0.5			0.5			0.25	0.25	0.5				200	200	400	
სიმინდი	2		1			1									2000	2000		
გოგრა	2														500	500	100	
დროებით	3					1												
სულ						5												

2. ვთქვათ სახლის გარშემო მდებარე ნაკვეთის სახნავი ნაწილის ფართობია 0.2 ჰა. 0.1 ჰა-ზე მეურნემ მოიყვანა სიმინდი შიგ შეთესილი ლობიოთი (დათესა მაისში და აიღო ოქტომბერში), 0.05 ჰა-ზე – მწვანე ლობიო (დათესა მაისში და მთელი მოსავალი აიღო, ივლისში, როგორც მწვანე ლობიო), 0.03 ჰა-ზე – საადრეო კარტოფილი (დათესა მარტში და აიღო ივნისში), ხოლო დანარჩენ 0,02 ჰა-ზე სხვადასხვა ბოსტნეული (დათესა (დარგო) აპრილში და აიღება დაამთავრა ოქტომბერში): 40 კვ.მ-ზე პომიდორი, 40 კვ.მ-ზე კიტრი, 30 კვ.მ-ზე – ბადრიჯანი, ხოლო დანარჩენ 90 კვ.მ-ზე მწვანელი, ნიორი, ხახვი, ჭარხალი, სტაფილო. გარდა ამისა, მწვანე ლობიოს აღების შემდეგ გამოთავისუფლებულ ფართობზე მეურნემ მოასწრო მწვანელის ერთი მოსავლის მიღება (დათესა ივლისში და მოსავლის აღება დაამთავრა ნოემბერში). დასკვნითი გამოკითხვის შემდეგ ცხრილის 1-7 და 15-19 სვეტები ასე უნდა გამოიყურებოდეს.

	წმინდა თუ შერეული	დათესილი ფართობი					აღებული ფართობი				
		Iკვ	IIკვ	IIIკვ	IVკვ	სულ	Iკვ	IIკვ	IIIკვ	IVკვ	სულ
1	2	3	4	5	6	7	15	16	17	18	19
საადრ. კარტ.	0	0.03				0.03		0.03			0.03
მწვანე ლობიო	0		0.05			0.05			0.05		0.05
პომიდორი	0		0.004			0.004				0.004	0.004
კიტრი	0		0.004			0.004			0.004		0.004
ბადრიჯანი	0		0.012			0.012					0.012
მწვანელი	0		0.001			0.001				0.001	0.001
ნიორი	0		0.002			0.002				0.002	0.002
ხახვი	0		0.002			0.002				0.002	0.002
ჭარხალი	0		0.0025			0.0025				0.0025	0.0025
სტაფილო	0		0.0015			0.0015				0.0015	0.0015
სიმინდი	1		0.1			0.1				0.1	0.1
ლობიო	1										
მწვანელი	0			0.05		0.05					0.05
სულ						0.25					

მივაქციოთ ყურადღება ორ გარემოებას: 1) მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად რესპონდენტმა ინტერვიუერს უთხრა, რომ 90 კვ.მ-ზე დათესილი ჰქონდა 5 სახის ბოსტნეული, ინტერვიუერმა სთხოვა რესპონდენტს დაახლოებით მაინც ჩაეშალა ეს მცირე ფართობი კულტურებისათვის. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ნათესების ადგილზე დათვლიერება. დაუშვებელია კულტურათა ჯგუფების მითითება, რომლებსაც დ1 ცხრილში ფრჩხილებში მოთავსებული (აგრეგირებული) კოდი აქვს მინიჭებული! 2) “სულ” სტრიქონში ჩაწერილი ფართობი მეტია, ვიდრე სახნავის ფართობი. ეს იმის გამო

მოხდა, რომ 0.05 ჰა მეურნეობა საანგარიშო წლის განმავლობაში 2-ჯერ გამოიყენა: ერთხელ მწვანე ლობიოსათვის, ხოლო მეორედ – მწვანილისათვის.

3. ვთქვათ ნაკვეთის სახნავი ნაწილის ფართობია 2 ჰა. 1 ჰა-ზე მეურნეობა საანგარიშო წლის წინა წელს დათესილი ჰქონდა მრავალწლოვანი ბალახი, რომლისგანაც წლის განმავლობაში მიიღო 3 ტ მოსავალი (1.5 ტ ივნისში გათიბა და 1.5ტ – სექტემბერში), 0.5-ჰა-ზე მოწყობილი აქვს ვაზის სანერგე, რომელზეც საანგარიშო წელს მარტში დარგო და სექტემბერში აიღო 10 000 ნერგი, ხოლო დანარჩენ 0.5 ჰაზე მოწყობილი აქვს ვაშლის სანერგე, რომელზეც საანგარიშო წლის წინა წელს გამოიყვანა ვაშლის ნერგები, ხოლო მათ ამოღებას და გაყიდვას საანგარიშო წლის მომდევნო წელს აპირებს. ცხრილის დასკვნითი გამოკითხვის შემდეგ ცხრილი ასე უნდა გამოიყურებოდეს.

1	წმინდა თუ შერეული	დათესილი ფართობი					აღებული ფართობი					მოსავალი (კგ)					მინდორში დარჩენილი
		Iკვ	IIკვ	IIIკვ	IVკვ	სულ	Iკვ	IIკვ	IIIკვ	IVკვ	სულ	აღებული					
												Iკვ	IIკვ	IIIკვ	IVკვ	სულ	
	2	3	4	5	6	7	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25
მრავალწ. ბალახი	0					1			1				1.5	1.5			3
ვაზის ნერგი	0	0.5				0.5			0.5					10000			
ვაშლის ნერგი	0					0.5											
სულ						2											

მივაქციოთ ყურადღება, რომ მრავალწლოვანი ბალახის და ვაშლის ნერგების ნათესი ფართობები მითითებულია მხოლოდ “სულ” სვეტში რომელიმე კვარტალში მათი მითითების გარეშე, ვინაიდან ისინი წინა წლებში იყო დათესილი (დარგული). ასევე მითითებული არ არის ვაშლის ნერგების აღებული ფართობი და მოსავალი, ვინაიდან ის მომავალ წელს იქნება აღებული. ნერგების მოსავალი მითითებულია ცალებში: ეს ერთადერთი გამონაკლისია – ყველა სხვა შემთხვევაში აღებული მოსავალი მიეთითება კილოგრამებში.

ცხრილი 3.ბ. ღია გრუნტის კულტურები – მრავალწლოვანი ნარგავები. საწყისი გამოკითხვის კითხვარიდან 1-ლ, მე-2 სვეტებში და სვეტში “1 იანვრისათვის” უკვე უნდა მითითებული იყოს მეურნეობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების ფართობი და ძირების რაოდენობა (მათ შორის მსხმოიარე ასაკში) 1 იანვრის მდგომარეობით. ანალოგიური მონაცემები 1 ივლისის მდგომარეობით ივსება მეორე კვარტალის, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით – მეოთხე კვარტალის (დასკვნითი) გამოკითხვისას. თუ წლის განმავლობაში გაშენდა რაიმე ახალი მრავალწლოვანი კულტურა, მის შესახებ ინფორმაცია აღირიცხება ცხრილის ახალ სტრიქონში შესაბამის სვეტებში.

თუ წლის განმავლობაში რიგთაშორის დაითესა რაიმე ერთწლიანი კულტურა, იგი ჩაიწერება თავისუფალ სტრიქონში (ფართობი არ მიეთითება). თუ ეს დათესვა მოხდა შერეულ მრავალწლოვან ნარგავებში, ერთწლიან კულტურას მე-2 სვეტში მიენიჭება შესაბამისი კომბინაციის ნომერი. თუ დათესვა მოხდა წმინდა ნარგავში, მრავალწლოვან კულტურას მე-2 სვეტში კოდი 0 გადაუკეთდება ნულისაგან განსხვავებულ ისეთ რიცხვად, რომელიც ჯერ არ არის გამოყენებული, და ერთწლიან კულტურასაც მიენიჭება იგივე კოდი. როგორც მრავალწლოვანი, ისე რიგთაშორის დათესილი ერთწლიანი თითოეული კულტურის მოსავლის აღების შემდეგ აღებული მოსავალი ჩაიწერება იმ კვარტალის შესაბამის სვეტში, რომელშიც მოსავალი იქნა აღებული. თუ მოსავლის აღება ერთ კვარტალში დაიწყო და მეორეში დასრულდა, თითოეულ კვარტალში ჩაიწერება ის მოსავალი, რომელიც იმ კვარტალში იქნა აღებული. მოსავლის აღების დამთავრების

შემდეგ ან მეოთხე კვარტალის გამოკითხვისას შეივსება 25-ე სვეტი, სადაც აღირიცხება მინდორში დარჩენილი მოსავალი.

ცხრილი 4. ცალკე მდგომი ძირები. საწყისი გამოკითხვის კითხვარიდან 1-ლ, მე-2 და მე-5 სვეტებში უკვე გადმოტანილი უნდა იყოს მონაცემები ცალკე მდგომი ძირების რაოდენობის შესახებ 1 იანვრის მდგომარეობით. 1 ივლისის მდგომარეობით მონაცემები ივსება მეორე კვარტალის, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით – მეოთხე კვარტალის გამოკითხვისას. თუ წლისგანმავლობაში დარგო ახალი კულტურა ცალკე მდგომი ძირების სახით, მის შესახებ ინფორმაცია მიეთითება ახალ სტრიქონში.

მოსავლის აღების შემდეგ აღებული მოსავალი ჩაიწერება იმ კვარტალის შესაბამის სვეტში, რომელშიც მოსავალი იქნა აღებული. თუ მოსავლის აღება ერთ კვარტალში დაიწყო და მეორეში დასრულდა, თითოეულ კვარტალში ჩაიწერება ის მოსავალი, რომელიც იმ კვარტალში იქნა აღებული. მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ ან დასკვნითი გამოკითხვისას შეივსება მე-13 სვეტი, სადაც აღირიცხება მინდორში დარჩენილი მოსავალი.

ცხრილი 5. სათბურში მოყვანილი კულტურები. საწყისი გამოკითხვის კითხვარიდან უკვე გადმოტანილი უნდა იყოს მონაცემები სათბურ(ებ)ის ფიზიკური ფართობის შესახებ 1 იანვრისათვის, აგრეთვე 1 იანვრის მდგომარეობით არსებული კულტურების შესახებ. 1 ივლისის მდგომარეობით მონაცემები ივსება მეორე კვარტალის, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით – მეოთხე კვარტალის გამოკითხვისას.

წლის განმავლობაში დათესილი ან დარგული თითოეული კულტურის შესახებ ინფორმაცია იწერება ცალკე სტრიქონში შესაბამისი კვარტალის სვეტში.

მოსავლის აღების შემდეგ აღებული მოსავალი ჩაიწერება იმ კვარტალის შესაბამის სვეტში, რომელშიც მოსავალი იქნა აღებული. თუ მოსავლის აღება ერთ კვარტალში დაიწყო და მეორეში დასრულდა, თითოეულ კვარტალში ჩაიწერება ის მოსავალი, რომელიც იმ კვარტალში იქნა აღებული. მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ ან დასკვნითი გამოკითხვისას შეივსება ბოლო სვეტი, სადაც აღირიცხება მინდორში დარჩენილი მოსავალი.

წლის დასასრულს (დასკვნითი გამოკითხვისას) ინტერვიუერმა უნდა ჰკითხოს მეურნეს, დარჩა თუ არა სათბურის რაიმე ნაწილი დაუმუშავებელი მთელი წლის განმავლობაში. თუ ასეთი რამე აღმოჩნდა, თავისუფალ სტრიქონში ჩაიწერება “დროებით” ან “დიდი ხნით” იმისდა მიხედვით, 5 წელზე ნაკლები, თუ მეტი ხნის განმავლობაში იგი დაუმუშავებელი, ხოლო მე-6 სვეტში მიეთითება შესაბამისი ფართობი. სტრიქონში “სულ” ჯამდება მე-6 სვეტი. იქ მითითებული რიცხვი ნაკლები არ უნდა იყოს სათბურ(ებ)ის ფიზიკურ ფართობზე, ამასთან მეტობას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სათბურ(ებ)ის რაღაც ნაწილი წლის განმავლობაში რამდენჯერმე იქნა დათესილი.

2.3. კვარტალური კითხვარის მე-2 ნაწილის შევსება ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით

ნაწილი 2.

კითხვარის ნაწილ 2-ს ინტერვიუერი ავსებს სახლში (ოფისში) ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მონაცემების მიხედვით.

2.1. ღია გრუნტზე ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები. ამ ცხრილში გადმოდის ინფორმაცია ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-3 ცხრილის ა) ნაწილიდან მეურნეობის ყველა ნაკვეთისათვის.

1-ლ სვეტში იწერება ნაკვეთის ნომერი, **მე-2 სვეტში** – კულტურის დასახელება, ხოლო **მე-3 სვეტში** – მისი კოდი **დანართის დ1 ცხრილიდან**.

მე-4 სვეტში იწერება ნათესი ფართობი ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-3 ცხრილის შესაბამისი კვარტალის სვეტიდან (1-ლი კვარტალის გამოკითხვისას – მე-3 სვეტიდან, მე-2 კვარტალის გამოკითხვისას – მე-4 სვეტიდან, ხოლო მესამე კვარტალის გამოკითხვისას – მე-5 სვეტიდან)

თუ ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-3ა ცხრილში მითითებული კულტურისათვის დათესილი ფართობის მოცემული კვარტალის შესაბამისი სვეტი ცარიელია, ეს კულტურა 2.1 ცხრილში არ გადმოიტანება.

2.2. ღია გრუნტზე მოყვანილი ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურების მოსავალი. ამ ცხრილში გადმოდის ინფორმაცია ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-3 ცხრილის ა) და ბ) ნაწილებიდან, აგრეთვე მე-4 ცხრილიდან მეურნეობის ყველა ნაკვეთისათვის.

1-ლ სვეტში იწერება ნაკვეთის ნომერი, **მე-2 სვეტში** – კულტურის დასახელება, ხოლო **მე-3 სვეტში** – მისი კოდი **დანართის დ1 ცხრილიდან**.

მე-4 სვეტში იწერება ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-3 ცხრილის შესაბამისი კვარტალის სვეტში (1-ლი კვარტალის გამოკითხვისას – მე-15 სვეტში, მე-2 კვარტალის გამოკითხვისას – მე-16 სვეტში, ხოლო მე-3 კვარტალის გამოკითხვისას – მე-17 სვეტში) მითითებული ამ კულტურის აღებული ფართობი.

მე-5 სვეტში იწერება ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-3 ცხრილის შესაბამისი კვარტალის სვეტში (1-ლი კვარტალის გამოკითხვისას – მე-20 სვეტში, მე-2 კვარტალის გამოკითხვისას – 21-ე სვეტში, ხოლო მე-3 კვარტალის გამოკითხვისას – 22-ე სვეტში) და მე-4 ცხრილის შესაბამისი კვარტალის სვეტში (1-ლი კვარტალის გამოკითხვისას – მე-8 სვეტში, მეორე კვარტალის გამოკითხვისას – მე-9 სვეტში, ხოლო მესამე კვარტალის გამოკითხვისას – მე-10 სვეტში) მითითებული ამ კულტურის აღებული მოსავლების ჯამი.

თუ რომელიმე კულტურისათვის ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-3 და მე-4 ცხრილებში მოცემული კვარტალის შესაბამისი აღებული მოსავლის სვეტები ცარიელია, ეს კულტურა კითხვარის 2.2 ცხრილში არ გადმოიტანება.

2.3 სათბურებში მოყვანილი კულტურების მოსავალი. ამ ცხრილში გადმოდის ინფორმაცია ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-5 ცხრილიდან მეურნეობის ყველა ნაკვეთისათვის.

1-ლ სვეტში იწერება ნაკვეთის ნომერი, **მე-2 სვეტში** – კულტურის დასახელება, ხოლო **მე-3 სვეტში** – მისი კოდი **დანართის დ1 ცხრილიდან**.

მე-4 სვეტში იწერება აღებული მოსავალი ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-5 ცხრილის შესაბამისი კვარტალის სვეტიდან (1-ლი კვარტალის გამოკითხვისას – მე-8 სვეტიდან, მეორე კვარტალის გამოკითხვისას – მე-9 სვეტიდან, ხოლო მესამე კვარტალის გამოკითხვისას – მე-10 სვეტიდან).

თუ ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-5 ცხრილში მითითებული კულტურისათვის აღებული მოსავლის მოცემული კვარტალის შესაბამისი სვეტი ცარიელია, ეს კულტურა კითხვარის 2.3 ცხრილში არ გადმოიტანება.

2.4. კვარტალური კითხვარის დანარჩენი ნაწილების შევსება

ნაწილი 3

კითხვარის ნაწილი 3 ივსება უშუალოდ რესპონდენტის გამოკითხვის გზით.

3.1. სასუქები (ნაკელის გარდა). ეს ცხრილი ივსება უშუალოდ გამოკითხვის პროცესში და მასში აღიწერება საანგარიშო პერიოდის (გასული კვარტალის) განმავლობაში მეურნეობაში სასუქების გამოყენება (ნაკელის გარდა). ცხრილის შევსება ხდება **დანართის დ2 ცხრილში** მოყვანილი კოდების მიხედვით. **1-ლ სვეტში** იწერება სასუქის დასახელება, **მე-2-ში** – მისი კოდი დანართის დ2 ცხრილიდან (თუ ცხრილში შესაბამისი დასახელება არ არის, იწერება კოდი 999); სასუქების ჯგუფის (ფრჩხილში ჩასმული) კოდი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეურნემ იცის გამოყენებული სასუქის ჯგუფი, მაგრამ არ იცის მისი დასახელება), **მე-3 სვეტში** – ამ სასუქის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული რაოდენობა კილოგრამებში, ხოლო **მე-4-ში** – მისი ის ნაწილი (თუ ასეთი არსებობს), რომელიც მეურნემ უსასყიდლოდ მიიღო (მაგალითად, მთავრობისაგან). **მე-5 სვეტში** იწერება 1 კგ შეძენილი სასუქის ფასი. იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობაში გამოყენებული სასუქის კონკრეტული სახეობა რამდენიმე პარტიად იქნა შეძენილი (არ არის სავალდებულო, რომ ყველა მათგანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იყოს შეძენილი), მაშინ მე-3 სვეტში იწერება სასუქის სრული რაოდენობა, ხოლო მე-5 სვეტში – საშუალო ფასი, გამოთვლილი სრული გადახდილი თანხის სრულ რაოდენობაზე გაყოფის გზით. **დაუშვებელია მე-2 სვეტში ორჯერ ერთიდაიგივე კოდის მითითება. მე-6 და მე-7 სვეტებში** შესაბამისად იწერება ამ სასუქით განოციერებული ერთწლიანი და მრავალწლოვანი კულტურების ფართობები (თუ რომელიმე კატეგორიის ფართობი არ განოციერებულა, შესაბამის სვეტში ჩაიწერება 0). იმ შემთხვევაში, თუ მთელი სასუქი გამოყენებულ იქნა მხოლოდ ცალკე მდგომი ძირების გასანოციერებლად, მე-6 და მე-7 სვეტებში ჩაიწერება 0.

3.2. პესტიციდები. ეს ცხრილი ივსება წინა ცხრილის ანალოგიურად, ოღონდ კოდებისათვის **დანართის დ2 ცხრილის** ნაცვლად გამოიყენება **დ3 ცხრილი. მე-3 სვეტში** მიეთითება ზომის ერთეული შემდეგი კოდების მიხედვით – იწერება 1, თუ პესტიციდის რაოდენობა იზომება გრამებში, იწერება 2, თუ პესტიციდის რაოდენობა იზომება კილოგრამებში და იწერება 3, თუ პესტიციდის რაოდენობა იზომება ლიტრებში. თუ მეურნემ ერთიდაიგივე გამოყენებული პესტიციდის ნაწილი იცის გრამებში, ხოლო მეორე ნაწილი – ლიტრებში და უჭირს მათი საერთო ერთეულში გამოსახვა, ასეთი პესტიციდი ორ სტრიქონში ჩაიწერება მე-2 სვეტში ერთიდაიგივე, ხოლო მე-3 სვეტში სხვადასხვა კოდის მითითებით. **მე-2 სვეტში ერთიდაიგივე კოდის მითითება მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება.**

3.3. ნაკელი. ცხრილში აისახება მეურნეობაში **გამოყენებული ნაკელი** წყაროების მიხედვით. მეურნის მიერ მითითებული ზომის ერთეული უნდა გადაყვანილ იქნეს კილოგრამებში. თუ მთელი ნაკელი გამოყენებულ იქნა მხოლოდ ცალკე მდგომი ძირების გასანოციერებლად, მე-4 და მე-5 სვეტებში ჩაიწერება 0. ვინაიდან კვლევის მიზნებისათვის არ არის საინტერესო და რესპონდენტისთვისაც შესაძლოა ძნელი დასაკონკრეტებელი იყოს, თუ ნაკელით განოციერებული ფართობებიდან ნაკელის თითოეულ წყაროზე (საკუთარი მეურნეობიდან, ნაყიდი, სხვა) რამდენი მოდის, ცხრილში დამატებულია

სტრიქონი სულ. ინტერვიუერი ამ სტრიქონში არ აჯამებს გამოყენებული ნაკელის რაოდენობას, არამედ მიუთითებს ნაკელით განოციერებულ სრულ ფართობებს ნაკელის წყაროს მიუხედავად.

კონტროლები ნაწილი 3-ისათვის

- **ცხრილი 3.1. – ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-2 სვეტი** შევსებული უნდა იყოს და იქ ჩაწერილი კოდი ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ სასუქის ან სასუქთა ჯგუფის კოდს დანართის დ2 ცხრილიდან ან უდრიდეს 999-ს, თუ სასუქის კოდი ცხრილში არ არის; **მე-3 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-4 სვეტი** თუ შევსებულია, იქ მითითებული რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მე-3 სვეტში მითითებულს. **მე-5 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული და ფასი ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს; **მე-6 - მე-7 სვეტები** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული (თუ ერთ-ერთი კატეგორიისათვის სასუქი არ იქნა გამოყენებული, იქ უნდა ეწეროს 0. თუ სასუქი მხოლოდ ცალკე მდგომი ძირების გასანოციერებლად იქნა გამოყენებული ორივე სვეტში უნდა ეწეროს 0-ები);
- **ცხრილი 3.2. – ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-2 სვეტი** შევსებული უნდა იყოს და იქ ჩაწერილი კოდი ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ პესტიციდის ან პესტიციდთა ჯგუფის კოდს დანართის დ3 ცხრილიდან ან უდრიდეს 999-ს, თუ პესტიციდის კოდი ცხრილში არ არის; **მე-3 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-4 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; **მე-5 სვეტი** თუ შევსებულია, იქ მითითებული რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მე-3 სვეტში მითითებულს. **მე-6 სვეტი** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული და ფასი ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს; **მე-7 - მე-8 სვეტები** აუცილებლად უნდა იყოს შევსებული (თუ ერთ-ერთი კატეგორიისათვის პესტიციდი არ იქნა გამოყენებული, იქ უნდა ეწეროს 0. თუ პესტიციდი მხოლოდ ცალკე მდგომ ძირებზე იქნა გამოყენებული, ორივე სვეტში უნდა ეწეროს 0-ები);
- **ცხრილი 3.3. – თუ სტრიქონი შევსებულია, იქ ყველა არაგამუქებული სვეტი** უნდა იყოს შევსებული. შეძენილი ნაკელის ფასი ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს (თუ ერთ-ერთი კატეგორიისათვის მოცემული წყაროდან ნაკელი არ იქნა გამოყენებული, იქ უნდა ეწეროს 0. თუ მოცემული წყაროდან ნაკელი მხოლოდ ცალკე მდგომი ძირების გასანოციერებლად იქნა გამოყენებული, ორივე სვეტში უნდა ეწეროს 0-ები);

ნაწილი 4.

კითხვარის ნაწილი 4 ივსება უშუალოდ რესპონდენტის გამოკითხვის გზით.

4.1. პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. 1-ლი სვეტი (სულადობა გასული კვარტალის დასაწყისში ივსება გამოკითხვის დაწყებამდე ინტერვიუერის სახლში (ოფისში) მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის მე-3 ცხრილის შესაბამისი სვეტიდან მონაცემთა გადმოტანის გზით (პირველი კვარტალის გამოკითხვისას 1 იანვრის სვეტიდან, მეორე კვარტალის გამოკითხვისას – 1 აპრილის სვეტიდან, მესამე კვარტალის გამოკითხვისას – 1 ივლისის სვეტიდან). მიუხედავად ამისა, 4.1 ცხრილის შევსების დაწყებამდე ინტერვიუერი პირუტყვის თითოეული სახეობისათვის კიდევ ერთხელ ჰკითხავს რესპონდენტს პირუტყვის რაოდენობას კვარტალის დასაწყისში (ისე, რომ არ აჩვენებს მას 1-ლ სვეტში ჩაწერილ რიცხვს).

ა) თუ რესპონდენტის მიერ დასახელებული რაოდენობა ემთხვევა 1-ლ სვეტში ჩაწერილს, მაშინ ინტერვიუერი ჩვეულებრივ გააგრძელებს სტრიქონის შევსებას;

ბ) თუ რესპონდენტის მიერ დასახელებული რაოდენობა მეტია 1-ლ სვეტში ჩაწერილზე, ინტერვიუერი გადააკეთებს 1-ლ სვეტში ჩაწერილ რიცხვს რესპონდენტის პასუხის შესაბამისად და გააგრძელებს სტრიქონის შევსებას.

გ) თუ რესპონდენტის მიერ დასახელებული რაოდენობა ნაკლებია 1-ლ სვეტში ჩაწერილზე, ინტერვიუერი შეახსენებს რესპონდენტს, რომ წინა გამოკითხვისას მან უფრო მეტი რიცხვი დაასახელა. თუ რესპონდენტი მაინც დაჟინებით იმეორებს ახალ რიცხვს, ინტერვიუერი გადააკეთებს 1-ლ სვეტში ჩაწერილ რიცხვს რესპონდენტის პასუხის შესაბამისად და გააგრძელებს სტრიქონის შევსებას.

1-ლ სვეტში ჩაწერილი რიცხვის გადაკეთების შემთხვევაში ინტერვიუერმა აუცილებლად უნდა მიუთითოს შენიშვნებში ამის მიზეზი.

შემდეგ თითოეული სახეობისათვის ივსება შესაბამისი სტრიქონი. მე-2 - მე-8 სტრიქონებში აღიწერება ცვლილებები საანგარიშო კვარტალის განმავლობაში, ხოლო მე-9 სვეტში – სულაღობა კვარტალის ბოლოს. სვეტში “გამოიზარდა მეურნეობაში” იწერება იმ 2 წელზე უფროსი ან დედა პირუტყვის, აგრეთვე კვერცხმდებელი ქათმების რაოდენობა, რომლებიც თვითონ მეურნეობაში გამოიზარდნენ და გადმოვიდნენ ამ კატეგორიაში (მაგ. დეკეულმა მოიგო და გახდა ფური, მოზვერი გაიზარდა და გახდა 2 წელზე უფროსი, წიწილა გაიზარდა და გახდა კვერცხმდებელი და ა.შ.). თითოეული სტრიქონისათვის მე-9 სვეტის შევსების შემდეგ ინტერვიუერი ამოწმებს, რომ სრულდება თანაფარდობა $(9)=(1)+(2)+(3)+(4)-(5)-(6)-(7)-(8)$. თუ ეს პირობა დარღვეულია, მან უნდა სთხოვოს რესპონდენტს გადასინჯოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მე-10 სვეტში იწერება თანხა, რომელიც მეურნემ აიღო მე-7 და მე-8 სვეტებში მითითებული პირუტყვის რაოდენობის გაყიდული ნაწილისაგან. გაჩუქებული ნაწილის ღირებულების შეფასება არ ხდება. იმას, თუ რა მიზნით გაიყიდა ან გაჩუქდა პირუტყვი, ადგენს თავად მეურნე. დაკვლის გარდა სხვა მიზნით პირუტყვის გაყიდვის ან გაჩუქების შესაძლო შემთხვევებია: მყიდველმა მდებარეობითი სქესის პირუტყვი იყიდა მოშენების ან მეცხოველეობის პროდუქციის მიღების მიზნით, მამრობითი სქესის პირუტყვი იყიდა მისი მუშა პირუტყვად გამოყენების მიზნით, მამრობითი სქესის პირუტყვი იყიდა მისი სანაშენედ გამოყენების მიზნით, და ა.შ.

თითოეულ სვეტში: მე-3 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-2-ში მითითებულს, რომელიც თავის მხრივ არ უნდა აღემატებოდეს 1-ში მითითებულს; მე-6 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-5-ში მითითებულს, რომელიც თავის მხრივ არ უნდა აღემატებოდეს მე-4-ში მითითებულს; მე-8, მე-10, მე-12 და მე-18 სტრიქონებში მითითებული რაოდენობები არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისად მე-7, მე-9, მე-11 და მე-17 სტრიქონებში მითითებულ რაოდენობებს.

4.2. მეურნეობაში ნაწარმოები მეცხოველეობის პროდუქცია და მისი გამოყენება.

ა) **პირველადი პროდუქტები.** მე-2 სვეტში: 1-ლ - მე-10 სტრიქონებში აისახება კვარტალის განმავლობაში მეურნეობაში დაკლული პირუტყვის ან ფრინველის რაოდენობა, რომელიც უნდა დაემთხვეს 4.1 ცხრილის მე-6 სვეტში მითითებულ შესაბამის რაოდენობას; მე-11, მე-12, მე-13 და მე-15 სტრიქონებში ასახული მეწველი პირუტყვის რაოდენობა არ არის სავალდებულო დაემთხვეს 4.1 ცხრილში მითითებულ ფურების ან დედა პირუტყვის რაოდენობას (უნდა მიეთითოს იმ პირუტყვის რაოდენობა, რომლებიც საანგარიშო პერიოდში რეალურად იწველიდა); მე-14 სტრიქონში აისახება მოცემულ კვარტალში გაპარსული ცხვრების რაოდენობა; მე-16 სტრიქონში – იმ ქათმების რაოდენობა, რომლებმაც მოცემული კვარტალის განმავლობაში ერთი კვერცხი მაინც

დადეს, ხოლო მე-17 სტრიქონში – იმ სკების რაოდენობა, რომლებიდანაც მოცემული კვარტალის განმავლობაში რეალურად იქნა მიღებული თაფლი.

მე-4 სვეტში ინტერვიუერს გამოკითხვის დაწყებამდე სახლში (ოფისში) მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის მე-4 ცხრილის შესაბამისი სვეტიდან გადმოაქვს მონაცემები (პირველი კვარტალის მონაცემების აღრიცხვისას 1 იანვრის სვეტიდან, მეორე კვარტალისა – 1 აპრილის სვეტიდან, მესამე კვარტალისა – 1 ივლისის სვეტიდან, მე-4 კვარტალისა – 1 ოქტომბრის სვეტიდან). მიუხედავად ამისა, **4.2 ცხრილის შევსების დაწყებამდე ინტერვიუერი თითოეული პროდუქტისათვის კიდევ ერთხელ ჰკითხავს რესპონდენტს პროდუქტის მარაგს კვარტალის დასაწყისში (ისე, რომ არ აჩვენებს მას მე-4 სვეტში ჩაწერილ რიცხვს).** რესპონდენტის პასუხის მიხედვით იგი იქცევა ისევე, როგორც 4.1. ცხრილის შევსებისას.

შემდეგ გამოიკითხება პროდუქციის წარმოება და გამოყენება. წარმოება და გამოყენება ეხება მხოლოდ მეურნეობაში მიღებულ პროდუქციას. მე-5 სვეტში აისახება წარმოება. ხორცის შემთხვევაში იგულისხმება დაკლული წონა (თავ-ფეხის და შიგნეულის გარეშე). თუ მეურნემ არ იცის დაკლული წონა და იცის მხოლოდ ცოცხალი წონა, ეს უკანასკნელი დაკლულ წონაში გადაყვანილ უნდა იქნეს შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი – 50%, ღორი – 70%, ცხვარი და თხა – 45 %, ფრინველი – 75%. რძის წარმოებაში იგულისხმება მხოლოდ მოწველილი რძე (მოზარდების მიერ უშუალოდ დედის ძუძუდან მოწოვილი რძე რძის წარმოებაში არ შედის). მე-6 სვეტში აისახება გაყიდული, ხოლო მე-7 სვეტში – გაჩუქებული პროდუქციის რაოდენობა. გაყიდვაში იგულისხმება ბარტერიც. მე-8 - მე-10 სვეტებში აისახება პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობაში იქნა გამოყენებული: მე-8 სვეტში აისახება მეურნეობაში გადამუშავებული რაოდენობა, მე-9 სვეტში – ადამიანის საკვებად, ხოლო მე-10 სვეტში – პირუტყვის საკვებად გამოყენებული რაოდენობა. მე-11 სვეტში იწერება მეურნეობაში დანაკარგები; ხოლო მე-12 სვეტში – ჩაიწერება მეურნეობაში მარაგები საანგარიშო კვარტალის ბოლოს. მე-13 სვეტში აისახება, თუ რა თანხა იქნა აღებული გაყიდულ პროდუქციაში. ბარტერის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს გაცემული ან სანაცვლოდ მიღებული საქონელის ან მომსახურების მიახლოებითი ღირებულება.

ინტერვიუერმა უნდა შეამოწმოს, რომ პროდუქტიულობა – $(5)/(2)$ – და ფასი – $(13)/(6)$ – ლოგიკურად გამოიყურება. ეჭვის გაჩენისას მან უნდა სთხოვოს რესპონდენტს დაადასტუროს პროდუქციის მომცემი პირუტყვის ან ფრინველის რაოდენობა (მე-2 სვეტი) და წარმოება (მე-5 სვეტი) პროდუქტიულობის შემთხვევაში, აგრეთვე გაყიდული რაოდენობა (მე-6 სვეტი) და აღებული თანხა (მე-13 სვეტი) ფასის შემთხვევაში. გარდა ამისა ინტერვიუერმა უნდა შეამოწმოს, რომ დაცულია თანაფარდობა $(4)+(5)-(6)-(7)-(8)-(9)-(10)-(11)=(12)$. თუ ეს პირობა დარღვეულია, მან უნდა სთხოვოს რესპონდენტს გადასინჯოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. შესაძლო შეცდომის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მეურნემ პროდუქციის გამოყენებაში ჩათვალა შექმნილი პროდუქცია.

ბ) გადამუშავებული პროდუქტები. საქმე ეხება მხოლოდ იმ გადამუშავებულ პროდუქტებს, რომლებიც მეურნეობაში ნაწარმოები პირველადი პროდუქციისაგანაა დამზადებული. ეს ნაწილი ისევე ივსება, როგორც წინა ნაწილი (1-ლი და მე-2 სვეტები არ ივსება), ოღონდ გადამუშავებული პროდუქციის წარმოება (მე-5 სვეტი) უნდა შედარდეს შესაბამისი პირველადი პროდუქტისათვის მე-8 სვეტს (მეურნეობაში გადამუშავება), რომ ლოგიკური გამოსავლიანობა გამოვიდეს (მაგალითად, გადამუშავებული რძის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მისგან მიღებული ყველის, ხაჭოს, მაწონის, კარაქის და არაჟანის რაოდენობას). ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ინტერვიუერმა უნდა სთხოვოს რესპონდენტს დაადასტუროს შესაბამისი რაოდენობები.

როგორც ა), ისე ბ) ნაწილში პირუტყვის საკვებად დაშვებულია მხოლოდ მოწველილი რძის (მოზარდებისათვის) და თაფლის (ფუტკრებისათვის ზამთარში) გამოყენება. თუ რომელიმე სხვა პროდუქცია პირუტყვის საკვებად გამოყენებული იქნა იმის გამო, რომ ადამიანის საკვებად აღარ ვარგოდა, შესაბამისი რაოდენობა უნდა გატარდეს, როგორც დანაკარგები. ამავე მე-10 სვეტში აღირიცხება საინკუბაციოდ გამოყენებული კვერცხიც. პირუტყვის საკვებად კვერცხი არ გამოიყენება. თუ კვერცხი მაინც იქნა გამოყენებული პირუტყვის საკვებად გაფუჭების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, იგი უნდა გატარდეს დანაკარგებში.

თუ მეურნეობაში ნაწარმოები მეცხოველეობის პირველადი პროდუქციიდან მიღებულია ისეთი პროდუქტი, რომელიც ცხრილის ჩამონათვალში არ არის, იგი აღირიცხება სტრიქონში “სხვა” დასახელების მითითებით.

კონტროლები ნაწილი 4-ისათვის

- **ცხრილი 4.1. – ყოველ შვესებულ სტრიქონში უნდა სრულდებოდეს თანაფარდობა $(9)=(1)+(2)+(3)+(4)-(5)-(6)-(7)-(8)$; ყოველ სვეტში:** მე-2 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1-ლ სტრიქონში მითითებულს, მე-3 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-2 სტრიქონში მითითებულს, მე-5 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-4 სტრიქონში მითითებულს, მე-6 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-5 სტრიქონში მითითებულს, მე-8 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-7 სტრიქონში მითითებულს, მე-10 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-9 სტრიქონში მითითებულს, მე-12 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-11 სტრიქონში მითითებულს, მე-18 სტრიქონში მითითებული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-17 სტრიქონში მითითებულს.
- **ცხრილი 4.2. – მე-2 სვეტში:** 1-ლ სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის 1-ლი სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-2 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-4 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-3 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-11 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-4 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-7 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-5 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-9 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-6 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-15 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-7 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-17 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-8 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-19 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-9 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-20 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას, მე-10 სტრიქონში მითითებული რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს 4.1-ის მე-21 სტრიქონის მე-6 სვეტში მითითებულ რაოდენობას; **ყოველი შვესებული სტრიქონისათვის უნდა სრულდებოდეს თანაფარდობა $(4)+(5)-(6)-(7)-(8)-(9)-(10)-(11)=(12)$; გაყიდული პროდუქციის ფასი – $(13)/(6)$ ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს; პირუტყვის ან ფრინველის პროდუქტიულობა – $(5)/(2)$ – ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს. გადამუშავებისას გამოსავლიანობა (მაგ. გადამუშავებული რძისაგან მიღებული ყველის, ხაჭოს, მაწონის, კარაქის და არაჟანის რაოდენობა) ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს.**

ნაწილი 6.

კითხვარის ნაწილი 6 ივსება უშუალოდ რესპონდენტის გამოკითხვის გზით.

6.1. საწარმოო დანახარჯები. ამ ცხრილში აღირიცხება მეურნის მიერ საანგარიშო კვარტალის განმავლობაში მეურნეობის გაძღოლაზე გაწეული ხარჯები. **მე-2 სვეტში** აისახება ფულით (ნაღდი ანგარიშსწორებით ან გადარიცხვით) გადახდილი თანხა, ხოლო **მე-3 სვეტში** – ნატურით გადახდილის შეფასებული ღირებულება. მაგალითად, ამ უკანასკნელ გარემოებას ექნება ადგილი, როდესაც მეურნე კომბაინერს სამუშაოს საფასურს მოსავლის გარკვეული რაოდენობით გადაუხდის. ამ ცხრილში ივსება მხოლოდ საანგარიშო კვარტალის განმავლობაში ფულით ან ნატურით გადახდილი თანხა. თუ მეურნემ საანგარიშო კვარტალში მიღებული საქონლის ან მომსახურების ღირებულება საანგარიშო კვარტალის შემდეგ უნდა გადაიხადოს ან გადაიხადა, ასეთი თანხა უნდა აღირიცხოს დასკვნითი კითხვარის 6.2 ცხრილში, როგორც კრედიტი (იხ. ქვემოთ დასკვნითი კითხვარის შევსების ინსტრუქცია).

ინტერვიუერი 1-ლ სვეტში მითითებული ყოველი კატეგორიისათვის ეკითხება მეურნეს, ჰქონდა თუ არა მას საანგარიშო კვარტალის განმავლობაში შესაბამისი ხარჯი (ფულით ან ნატურით) და თუ ჰქონდა, ჩაწერს მას. ამასთან ინტერვიუერმა უნდა გამოიყენოს წინა ნაწილების და ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის შევსებისას მიღებული ინფორმაცია, რათა გაუადვილოს რესპონდენტს ხარჯების გახსენება. მაგალითად, თუ რომელიმე ნაკვეთზე რაიმე დაითესა ან დაირგო, არის შანსი, რომ არსებობდეს ა1) ხარჯი; თუ რომელიმე ნაკვეთისათვის დაფიქსირდა, რომ რომელიმე კულტურა მოიწეა, არის დიდი შანსი, რომ არსებობდეს ა2) ხარჯი; თუ მეურნეობაში არის პირუტყვი ან ფრინველი, არის შანსი, რომ არსებობდეს ბ) კატეგორიის ხარჯი; თუ მეურნეობაში არის საკუთარი ტექნიკა, არის დიდი შანსი, რომ არსებობდეს გ1) ან გ2) ხარჯი; თუ მეურნეობაში დამუშავებული მიწის ფართობი საკმაოდ დიდია, არის დიდი შანსი, რომ არსებობდეს გ1) ან გ3) ხარჯი; თუ მეურნეობაში არის იჯარით აღებული მიწა ან შენობა ნაგებობა, აუცილებლად იარსებებს დ3) ხარჯი; თუ მეურნეობის მასშტაბი საკმაოდ დიდია, არის დიდი შანსი, რომ არსებობდეს დ5) ხარჯი; თუ მეურნეობაში დაფიქსირდა პროდუქციის გადამუშავება, არის დიდი შანსი, რომ არსებობდეს დ6) ხარჯი; თუ მე-4 ნაწილში დაფიქსირდა ფრინველის ან პირუტყვის ყიდვა ან საჩუქრად მიღება, არის დიდი შანსი, რომ არსებობდეს ე2) ხარჯი და ა.შ.

“სხვა” სტრიქონის შევსებისას ინტერვიუერმა აუცილებლად უნდა მიუთითოს ხარჯის სახე.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე კომენტარი ხარჯების კატეგორიების შესახებ:

ბ2). ვეტმომსახურებაზე გაწეულ ხარჯებში შედის როგორც წამლების ღირებულება, ისე უშუალოდ ვეტექიმისათვის გადახდილი თანხა.

გ3). ტექნიკის დაქირავებაზე გაწეულ ხარჯებში შედის დაქირავებული ტექნიკისათვის საწვავის ყიდვაზე გაწეული ხარჯებიც, თუ ასეთი ცალკე იქნა გაწეული. საწვავზე გაწეულ ხარჯებში გ1) შედის მხოლოდ საკუთარი ტექნიკისათვის გამოყენებულ საწვავზე გაწეული ხარჯები. ტექნიკის დაქირავებაზე გაწეულ ხარჯებში შედის აგრეთვე პროდუქციის გადასაზიდად (მინდვრიდან მოსატანად ან რეალიზაციის ადგილამდე მისატანად) ავტომობილის დაქირავებაზე გაწეული ხარჯებიც.

დ1). ამ სტრიქონის შევსებისას შეძლებისდაგვარად უნდა გამოცალკევდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე დახარჯული ელექტროენერჯის გადასახადი სხვა მიზნით (შინამეურნეობის შემთხვევაში – საყოფაცხოვრებო მიზნებით, საწარმოს

შემთხვევაში – სხვა ტიპის წარმოებისათვის) მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადისგან.

დ2) აქ იგულისხმება საანგარიშო პერიოდში გადახდილი მთლიანი თანხა სასოფლო-სამეურნეო კრედიტ(ებ)ის (არა მარტო საანგარიშო პერიოდში აღებული, არამედ ადრე აღებულიც) დასაფარად.

დ3) აქ იგულისხმება ნებისმიერი იჯარის ხარჯები, როგორცაა ტექნიკის (თუ მისი მომსახურე პერსონალი ცალკეა დაქირავებული, როგორც მუშახელი) იჯარის, პირუტყვის იჯარის და ა.შ.

დ4). აქ იგულისხმება სახელმწიფოსათვის (საგადასახადო სამსახურისათვის) გადახდილი გადასახადები.

დ5) აქ იგულისხმება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში როგორც მუდმივი, ისე დროებითი მუშახელის დაქირავებაზე გაწეული ხარჯები, როგორც კვალიფიციურის (მენეჯერი, ბუღალტერი, მექანიზატორი, ინჟინერი და ა.შ.), ისე არაკვალიფიციურის (ბარვა, მოსავლის აღება, მიწის თხრა და ა.შ.). თუ მეურნე უშუალოდ მომსახურებას ყიდულობს, მაშინ ასეთი ხარჯები გავა შესაბამის კატეგორიაში და არა მუშახელის დაქირავებაში. მაგალითად, თუ მეურნემ დაიქირავა სერვის-ცენტრიდან ტრაქტორისტი (ტრაქტორიანად ან უტრაქტოროდ) და ფული სერვის ცენტრს გადაუხადა, მაშინ შესაბამისი ხარჯი ჩაიწერება გ3) სტრიქონში; ასევე გ3) სტრიქონში ჩაიწერება ხარჯი, თუ მეურნემ დაიქირავა კერძო პირი ტრაქტორიანად და მოახუნებინა მიწა, ხოლო თუ მან დაიქირავა პიროვნება თავის საკუთარ ან იჯარით აღებულ ტრაქტორზე სამუშაოდ, მაშინ ეს ხარჯი ჩაიწერება ამ პუნქტში, როგორც დროებით დაქირავებული მუშახელის შრომის ანაზღაურება. მეორე მაგალითი: თუ მეურნემ უშუალოდ დაიქირავა მუშები სადრენაჟო არხის გასათხრელად, მაშინ შესაბამისი ხარჯი ჩაიწერება ამ პუნქტში, ხოლო თუ მეურნემ ფული გადაუხადა ფირმას, რომელმაც თავისი მუშები მოიყვანა მეურნეობის ტერიტორიაზე სარწყავი არხის გასათხრელად, მაშინ შესაბამისი ხარჯი ჩაიწერება კაპიტალურ ხარჯებში, კერძოდ ენ) სტრიქონში (სასოფლო-სამეურნეო მიწის გაუმჯობესება).

ე2)-ში შედის პირუტყვის ან ფრინველის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის შეძენა. თუ შეძენა მოხდა დასაკლავად (მაგალითად ქორწილისათვის), ეს სამომხმარებლო ხარჯად ითვლება და ასეთი ხარჯი არ უნდა დაფიქსირდეს.

ე4). შენობის მშენებლობაში შედის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობების (ბოსელი, ტექნიკის შესანახი, პროდუქტების შესანახი) და არა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე გაწეული ხარჯები.

ენ). სასოფლო-სამეურნეო მიწის გაუმჯობესებაში იგულისხმება ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა ხანგრძლივი ვადით მიწის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, როგორცაა არხების გათხრა, დამბების გაკეთება, კარგი ხარისხის მიწის შეტანა და ა.შ.

კონტროლები ნაწილი 6-ისათვის

- ცხრილი 6.1. – თუ ბ)-ში რომელიმე სტრიქონი შევსებულია, მეურნეობაში უნდა იყოს პირუტყვი (4.1 ცხრილში რაიმე უნდა იყოს შევსებული); თუ ე2) შევსებულია, 4.1 ცხრილის მე-3 სვეტში უნდა დაფიქსირებული იყოს პირუტყვის შეძენა.

გამოკითხვის დასრულება

მას შემდეგ, რაც ინტერვიუერი დაასრულებს გამოკითხვას, იგი სამბალიანი სისტემით შეაფასებს გამოკითხული პირის თანამშრომლობის ხარისხს. შემდეგ იგი დააფიქსირებს გამოკითხვის დამთავრების დროს, შეადარებს მას კითხვარის დასაწყისში

დაფიქსირებულ გამოკითხვის დაწყების დროს და კითხვარში ჩაწერს ინტერვიუს ხანგრძლივობას.

დამშვიდობებისას ინტერვიუერი მაღლობას გადაუხდის რესპონდენტს თანამშრომლობისათვის.

3. დასკვნითი (მეოთხე კვარტალის) გამოკითხვა

ინტერვიუერის სამუშაო სამ ეტაპს მოიცავს: 1. საველე სამუშაოებზე გასვლამდე; 2. საველე სამუშაოების დროს (ინტერვიუს ჩატარება); 3. საველე სამუშაოების შემდეგ. განვიხილოთ თითოეული ეტაპი ცალ-ცალკე.

3.1. საველე სამუშაოებზე გასვლამდე

ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში საველე სამუშაოებზე გასვლამდე ინტერვიუერს სახლში (ოფისში) მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალიდან კითხვარში გადააქვს შემდეგი მონაცემები:

- 1) მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის მე-2 ცხრილის სვეტიდან “1 იანვარი” კითხვარის 2.6 ცხრილის მე-3 სვეტში (სრული მარაგი გასული წლის 1 იანვრისათვის) გადააქვს მონაცემები მემცენარეობის პროდუქტებისა და მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების მარაგების შესახებ (სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემთხვევაში 2.6 ცხრილის 1-ლ სვეტში მიუთითებს კულტურის დასახელებას, ხოლო მე-2 სვეტში – მის კოდს), ხოლო 2.7 ცხრილის 1 სვეტში – თივის მარაგის შესახებ.
- 2) მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის მე-3 ცხრილის სვეტიდან “1 ოქტომბერი” კითხვარის 4.1 ცხრილის 1-ლ სვეტში (სულადობა გასული კვარტალის დასაწყისში) გადააქვს მონაცემები პირუტყვის სულადობის შესახებ 1 ოქტომბრისათვის.
- 3) მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის მე-4 ცხრილის სვეტიდან “1 ოქტომბერი” კითხვარის 4.2 ცხრილის მე-4 სვეტში (მარაგი გასული კვარტალის დასაწყისისათვის) გადააქვს მონაცემები მეცხოველეობის პროდუქტების და მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების მარაგების შესახებ.

3.2. საველე სამუშაოების დროს

ინტერვიუერს ინტერვიუზე მიაქვს დასკვნითი გამოკითხვის კითხვარი და ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალი.

გამოკითხვა იწყება კითხვარის შევსებით.

კითხვარის თავსართი (მეურნეობის იდენტიფიკაცია) ივსება ზუსტად ისე, როგორც საწყისი და კვარტალური გამოკითხვების შემთხვევაში. ცვლილებები ფიქსირდება მესამე კვარტალის გამოკითხვასთან შედარებით.

ნაწილი 1 ივსება ზუსტად ისე, როგორც საწყისი და კვარტალური გამოკითხვების შემთხვევაში.

ამის შემდეგ ინტერვიუერი დროებით წყვეტს კითხვარის შევსებას და გადადის IV კვარტალის მონაცემების შეტანაზე ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალში თითოეული

ნაკვეთისათვის, ზემოთ 2.2 პარაგრაფში მოყვანილი ინსტრუქციების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს:

1) **მოხდა თუ არა IV კვარტალში საშემოდგომო კულტურების დათესვა.** ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებული აფიქსირებს მას შესაბამისი ნაკვეთის **3ა ცხრილის 1-ლ სვეტში** შესაბამისი კულტურის დასახელების მითითებით, ხოლო **მე-6 სვეტში** დათესილი ფართობის მითითებით (დანარჩენი სვეტები შეუვსებელი რჩება).

2) **მე-8 სვეტის შევსება:** ეს სვეტი ივსება დასკვნითი (IV კვარტალის) გამოკითხვისას, თუ მანამდე არ იქნა შევსებული იმის გამო, რომ ამ კულტურის მოსავლის აღება უკვე დამთავრდა. იგი ეხება კულტურის მორწყვას მთელი წლის განმავლობაში.

3) **25-ე სვეტის შევსება:** ეს სვეტი ივსება დასკვნითი (IV კვარტალის) გამოკითხვისას, თუ მანამდე არ იქნა შევსებული იმის გამო, რომ ამ კულტურის მოსავლის აღება უკვე დამთავრდა. იგი ეხება კულტურის მოსავლის მინდვრად დარჩენილ ნაწილს

4) **დროებით ან დიდი ხნით დაუშუშავებელი მიწის არსებობა.** ეს სწორედ დასკვნითი (IV კვარტალის) გამოკითხვისას ღებინდება და ივსება შესაბამისი სტრიქონი, სადაც აღირიცხება სახნავი მიწის ის ნაწილი, რომელიც გასული წლის განმავლობაში დაუშუშავებელი დარჩა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახნავი მიწის გამოყენების ბალანსის დადგენისას

მას შემდეგ, რაც ინტერვიუერი დაასრულებს ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის შევსებას, იგი აჯამებს კვარტალურ მონაცემებს ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის **მე-3 ცხრილის მე-7** (დათესილი ფართობი, სულ), **მე-19** (აღებული ფართობი, სულ) და **24-ე** (აღებული მოსავალი, სულ) სვეტებში $((7)=(3)+(4)+(5)+(6); (19)=(15)+(16)+(17)+(18); (24)=(20)+(21)+(22)+(23))$, **მე-4 ცხრილის მე-12 სვეტში** (აღებული მოსავალი, სულ) $((12)=(8)+(9)+(10)+(11))$ და **მე-5 ცხრილის მე-6** (დათესილი ფართობი, სულ) და **მე-12 სვეტებში** (აღებული მოსავალი, სულ) $((11)=(7)+(8)+(9)+(10))$.

ამის შემდეგ ინტერვიუერი აგრძელებს კითხვარის შევსებას, კერძოდ, ავსებს **ნაწილ 2ა-ს**. კითხვარის **მე-2 ნაწილი** (ნაკვეთების მიხედვით) არ ივსება ინტერვიუს დროს. იგი ივსება **საველე საბუშაოების შემდეგ ყოველი საბუშაო დღის ბოლოს ინტერვიუერის სახლში (ოფისში) ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მონაცემების მიხედვით..**

კითხვარის ნაწილი 2ა-ს შევსების ინსტრუქცია

ინტერვიუერს სვეტში “სრული მარაგი გასული წლის 1 იანვრისათვის” (მე-3 სვეტი) **მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალიდან** წინასწარ გადმოტანილი აქვს მონაცემები მეურნეობაში ნაწარმოები ამა თუ იმ პროდუქტის (2.6 ცხრილის შემთხვევაში) და თივის (2.7 ცხრილის შემთხვევაში) მარაგების შესახებ გასული წლის დასაწყისისათვის.

2.6. მეურნეობაში ნაწარმოები მემცენარეობის პროდუქცია და მისი გამოყენება.

ა) **სასოფლო-სამეურნეო კულტურები.** ინტერვიუერი პირველ რიგში **1-ლ სვეტში** ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალიდან ამოწერს ყველა ნაკვეთში მოყვანილ ყველა კულტურას, ხოლო **მე-2 სვეტში** მიუთითებს შესაბამის კოდს. თუ კულტურა უკვე წერია 1-ლ სვეტში იმის გამო, რომ მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით ამ კულტურის მარაგი არსებობდა გასული წლის დასაწყისში, კულტურა და მისი კოდი აღარ განმეორდება. ამასთან ინტერვიუერმა უნდა შეახსენოს რესპონდენტს, რომ საწყისი გამოკითხვის შედეგად მეურნეობაში დაფიქსირებულია ამ კულტურის (პროდუქტის) კონკრეტული მარაგი (უნდა მიუთითოს რიცხვი). თუ რესპონდენტი არ ეთანხმება ამ რიცხვს და კატეგორიულად მიუთითებს სხვა რიცხვს ან საერთოდ უარყოფს მარაგის

არსებობას, ინტერვიუერმა კითხვარში უნდა შეიტანოს ახალი ინფორმაცია, ხოლო შენიშვნებში მიუთითოს, რომ ამა და ამ პროდუქტის მარაგისათვის მეურნემ არ დაადასტურა საწყისი გამოკითვის ინფორმაცია. იგივე ეხება მეორადი და გადაამუშავებული პროდუქტების მარაგებს 2.6 ცხრილის ბ) და გ) ნაწილებიდან.

ამის შემდეგ ა) ნაწილის მე-4 სვეტში ყოველი კულტურისათვის მიეთითება ამ კულტურის ან კულტურათა ჯგუფის ყველა ნაკვეთზე აღებული მოსავლების ჯამი (ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალის მე-3 ცხრილის 24-ე სვეტიდან, მე-4 ცხრილის მე-12 სვეტიდან და მე-5 ცხრილის მე-11 სვეტიდან).

შემდეგ თითოეული კულტურისათვის ინტერვიუერი გამოიკითხავს გასული წლის დასაწისში არსებული მარაგებისა და გასული წლის განმავლობაში ნაწარმოები პროდუქციის ჯამის გამოყენებას (საჭიროების შემთხვევაში შეახსენებს რესპონდენტს თუ რომელი ნაკვეთ(ებ)იდან იყო მიღებული ეს კულტურა თუ კულტურათა ჯგუფი, აგრეთვე იყო თუ არა ამ კულტურის მარაგი წლის დასაწყისში). თუ აღმოჩნდა, რომ გასული წლის დასაწყისში მარაგში მყოფი კულტურა მეურნეს გასულ წელს არ უწარმოებია, გამოიკითხება მხოლოდ ამ მარაგის გამოყენება. მე-4 – მე-13 სვეტებში მითითებული ინფორმაცია ეხება მხოლოდ მეურნეობაში ნაწარმოებ პროდუქციას (როგორც საწყის მარაგს, ისე გასული წლის განმავლობაში ნაწარმოებს) და მის გამოყენებას გასული წლის განმავლობაში. აქ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შედიოდეს მეურნის მიერ შეძენილი პროდუქტები. მე-5 სვეტში იწერება გაყიდული, ხოლო მე-6 სვეტში – გაჩუქებული რაოდენობა. გაყიდვაში იგულისხმება ბარტერიც. მე-7 – მე-10 სვეტებში იწერება მოცემული პროდუქტის მეურნეობაში მოხმარება: მე-7 სვეტში იწერება მეურნეობაში გადაამუშავებული რაოდენობა, მე-8 სვეტში იწერება ადამიანის საკვებად, ხოლო მე-9 სვეტში – პირუტყვის საკვებად უშუალოდ (გადაამუშავების გარეშე) გამოყენებული რაოდენობა, მე-10 სვეტში იწერება თესლად გამოყენებული რაოდენობა. მე-11 სვეტში იწერება დანაკარგები (მეურნეობაში მოტანილიდან, რომელიც გაფუჭდა, მაგალითად, იმის გამო, რომ დროზე ვერ გაიყიდა. მინდორში აუღებლად დარჩენილი აღრიცხება 2.3-2.4 ცხრილებში); მარაგებისა და პროდუქციის ყველა ზემოხსენებული გამოყენების შემდეგ თუ წლის ბოლოს რაიმე მარაგი დარჩა, ეს მარაგი იწერება მე-12 სვეტში. მე-13 სვეტში იწერება, თუ რა თანხა იქნა აღებული მე-5 სვეტში მითითებულ გაყიდულ პროდუქტიაში. ბარტერის შემთხვევაში უნდა ჩაიწეროს სანაცვლოდ მიღებული საქონელის ან მომსახურების ან გაცემული პროდუქციის მიახლოებითი ღირებულება. მაგალითად, თუ მეურნემ კომბაინერს მომსახურების საფასური აღებული ხორბლის ნაწილით გადაუხადა, ეს ნაწილი უნდა ჩაითვალოს ბარტერით გაყიდულად და მიეთითოს ხორბლის ან ტრაქტორისტის მომსახურების ღირებულება. ინტერვიუერმა უნდა შეამოწმოს, რომ ფასი ლოგიკურად გამოიყურება. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში უნდა სთხოვოს რესპონდენტს დაადასტუროს გაყიდული რაოდენობა (მე-5 სვეტი) და აღებული თანხა (მე-13 სვეტი). თითოეული პროდუქტისათვის (სტრიქონისათვის) მე-3 – მე-12 სვეტების შევსების შემდეგ ინტერვიუერმა უნდა გადაამოწმოს, რომ დაცულია თანაფარდობა: $(3)+(4)-(5)-(6)-(7)-(8)-(9)-(10)-(11)=(12)$ თუ ეს პირობა დარღვეულია, მან უნდა სთხოვოს რესპონდენტს გადასინჯოს მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. შეცდომის შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ რესპონდენტმა პროდუქციის გამოყენებაში ჩათვალა შეძენილი პროდუქტია, ან არ გაითვალისწინა წლის დასაწყისში არსებული მარაგი.

ბ) მეორადი პროდუქტები პირუტყვის საკვებად. ნამჯაში და ჩალაში იგულისხმება ის ნამჯა და ჩალა, რომლისგანაც ძირითადი პროდუქტია (ხორბალი, ქერი, სიმინდი) უკვე მიღებულია. კობტონის ქვეშ იგულისხმება მეურნეობაში ნაწარმოები მზესუმზირის ზეთად გამოხდის შემდეგ დარჩენილი მასა. ქატოს ქვეშ იგულისხმება მეურნეობაში ნაწარმოები

სიმინდის, ხორბლის ან ქერის დაფქვის შედეგად მიღებული პროდუქტი. მეურნის მიერ მითითებული ზომის ერთეულები გადაყვანილ უნდა იქნეს კილოგრამებში. სხვა მხრივ ეს ნაწილი ისევე ივსება, როგორც ა) ნაწილი: გამოიკითხება გასული წლის დასაწყისში არსებული მარაგებისა და გასული წლის განმავლობაში ნაწარმოები პროდუქციის ჯამის გამოყენება.

გ) გადამუშავებული პროდუქტები. საქმე ეხება მხოლოდ იმ გადამუშავებულ პროდუქტებს, რომლებიც გასული წლის განმავლობაში **მეურნეობაში მოყვანილი პროდუქციისაგანაა** ნაწარმოები (როგორც წლის დასაწყისში არსებული მარაგის, ისე წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციისაგან). სხვა მხრივ ეს ნაწილი ისევე ივსება, როგორც წინა ნაწილები: გამოიკითხება გასული წლის დასაწყისში არსებული მარაგებისა და გასული წლის განმავლობაში ნაწარმოები პროდუქციის ჯამის გამოყენება. გადამუშავებული პროდუქციის წარმოება უნდა შედარდეს 2.6ა ცხრილის მე-7 სვეტს (მეურნეობაში გადამუშავება) შესაბამისი პირველადი პროდუქციისათვის, რომ ლოგიკური გამოსავლიანობა გამოვიდეს. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ინტერვიუერმა უნდა სთხოვოს რესპონდენტს დაადასტუროს შესაბამისი რაოდენობები. პირუტყვის საკვებად გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ სიმინდის ფქვილისთვის არის დაშვებული. თუ რომელიმე სხვა პროდუქტია პირუტყვის საკვებად იქნა გამოყენებული იმიტომ, რომ იგი ადამიანის საკვებად აღარ ვარგოდა, პროდუქციის ეს ნაწილი უნდა გატარდეს, როგორც დანაკარგები. საზომი ერთეული მითითებულია პროდუქციის დასახელებასთან ერთად.

2.7. მეურნეობაში ნაწარმოები თივა და მისი გამოყენება. 1-ლ სვეტში მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალიდან გადმოტანილია ინფორმაცია თივის მარაგის (ან ასეთი მარაგის არარსებობის) შესახებ. ინტერვიუერმა უნდა შეახსენოს რესპონდენტს, რომ პირველი წლიური გამოკითხვის შედეგად მეურნეობაში დაფიქსირებულია თივის კონკრეტული მარაგი (უნდა მიუთითოს რიცხვი) ან არავითარი მარაგი. თუ რესპონდენტი არ ეთანხმება ამ რიცხვს და კატეგორიულად მიუთითებს სხვა რიცხვს ან საერთოდ უარყოფს მარაგის არსებობას, ინტერვიუერმა კითხვარში უნდა შეიტანოს ახალი ინფორმაცია, ხოლო შენიშვნებში მიუთითოს, რომ თივის მარაგისათვის მეურნემ არ დაადასტურა პირველი წლიური გამოკითხვის ინფორმაცია. **მე-2 სვეტში** იწერება საანგარიშო პერიოდის (გასული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) მეურნეობაში ნაწარმოები თივის რაოდენობა (**როგორც მეურნეობის მიწებზე, ისე ნებისმიერ სხვა მიწაზე**). დანარჩენი სვეტები ისევე ივსება, როგორც წინა ცხრილის შესაბამისი სვეტები: გამოიკითხება გასული წლის დასაწყისში არსებული თივის მარაგებისა და გასული წლის განმავლობაში ნაწარმოები თივის ჯამის გამოყენება. უნდა სრულდებოდეს თანაფარდობა $(1)+(2)-(3)-(4)-(5)-(6)=(7)$. მეურნის მიერ მითითებული ზომის ერთეულები გადაყვანილ უნდა იქნეს კილოგრამებში.

კონტროლები ნაწილი 2ა-სათვის

- **ცხრილი 2.6.** – ა) ნაწილში პირველ სვეტში უნდა იყოს მითითებული ყველა კულტურა ან კულტურათა ჯგუფი, რომლებიც ერთ ნაკვეთზე მაინც არის აღრიცხული, ხოლო მე-4 სვეტში მითითებული წარმოება უნდა უდრიდეს ყველა ნაკვეთზე ამ კულტურის გასწვრივ 2.3 ცხრილის მე-9 სვეტებში, 2.4 ცხრილის მე-5 სვეტებში და 2.5 ცხრილის მე-4 სვეტებში მითითებული რაოდენობების ჯამს; ა) ნაწილში მე-2 სვეტში ჩაწერილი კოდი უნდა ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებული კულტურის კოდს ან უდრიდეს 999-ს, თუ ამ კულტურის კოდი კოდების ჩამონათვალში არ არის; ყველა ნაწილში ყოველი შევსებული სტრიქონისათვის უნდა სრულდებოდეს თანაფარდობა $(3)+(4)-(5)-(6)-(7)-(8)-(9)-(10)-(11)=(12)$; ყველა ნაწილში გაყიდული პროდუქციის ფასი – $(13)/(5)$ – ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს;
- **ცხრილი 2.7.** – უნდა სრულდებოდეს თანაფარდობა $(1)+(2)-(3)-(4)-(5)-(6)=(7)$; გაყიდული პროდუქციის ფასი – $(8)/(3)$ – ლოგიკურად უნდა გამოიყურებოდეს;

დასკვნითი კითხვარის ნაწილი 3-ის ცხრილებში, განსხვავებით კვარტალური კითხვარისაგან, ინფორმაცია გროვდება არა რომელიმე კვარტალის, არამედ მთელი გასული წლის შესახებ. სხვა მხრივ ამ ნაწილის ცხრილების შევსება როგორც კვარტალური კითხვარის ანალოგიურად.

კითხვარის ნაწილი 4 ივსება ზუსტად ისე, როგორც კვარტალური გამოკითხვების შემთხვევაში. მოგროვდება ინფორმაცია IV კვარტალის შესახებ.

ნაწილი 5-ის 5.1.1, 5.2.1 და 5.3 ცხრილები ივსება ზუსტად ისე, როგორც საწყისი გამოკითხვის მე-5 ნაწილის 5.1.1, 5.2.1 და 5.3 ცხრილები (5.3 ცხრილში ფართობი არ არის მისათითებელი).

5.1.2 და 5.2.2 ცხრილებში ფიქსირდება, გამოყენებულ იქნა თუ არა ესა თუ ის ტექნიკა თუ მოწყობილობა საანგარიშო პერიოდის (გასული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე) განმავლობაში. ჩაიწერება მხოლოდ ის ტექნიკა და მოწყობილობა, რომელიც გამოყენებულ იქნა. მე-3 სვეტში მიეთითება წყარო გვერდის ბოლოში მითითებული კოდების მიხედვით. თუ ერთი და იგივე ტიპის ტექნიკა სხვადასხვა წყაროდან იქნა გამოყენებული, იგი რამდენიმეჯერ ჩაიწერება განსხვავებული წყაროების მითითებით. “ერთობლივი საკუთრება” ნიშნავს, რომ მეურნე ერთობლივად ფლობს ტექნიკას სხვა მეურნესთან ან მეურნეებთან ერთად. “სერვის ცენტრისაგან” ნიშნავს, რომ გამოყენებული ტექნიკა სახელმწიფოს მიერ შექმნილი სერვის ცენტრიდან არის დაქირავებული. “დაქირავებული” ნიშნავს ტექნიკის დაქირავებას ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან.

კონტროლები ნაწილი 5-ისათვის

- **ცხრილი 5.1.** – როგორც 5.1.1, ისე 5.1.2 ცხრილში ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; მე-2 სვეტი შევსებული უნდა იყოს და იქ ჩაწერილი კოდი ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ ტექნიკის კოდს დანართის დ4 ცხრილიდან ან უდრიდეს 999-ს, თუ ტექნიკის კოდი ცხრილში არ არის; 5.1.1 ცხრილში მე-3 – მე-8 სვეტებიდან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული, ხოლო 5.1.2-ში მე-3 სვეტი უნდა იყოს აუცილებლად შევსებული; თუ 5.1.2 ცხრილში მე-3 სვეტში წერია კოდი 1, შესაბამისი ტექნიკა 5.1.1 ცხრილში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.
- **ცხრილი 5.2.** – როგორც 5.2.1, ისე 5.2.2 ცხრილში ყოველ შევსებულ სტრიქონში: 1-ლი სვეტი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; მე-2 სვეტი შევსებული უნდა იყოს და იქ ჩაწერილი კოდი ემთხვეოდეს 1-ლ სვეტში მითითებულ მოწყობილობის კოდს დანართის დ4 ცხრილიდან ან უდრიდეს 999-ს, თუ მოწყობილობის კოდი ცხრილში არ არის; მე-3 სვეტი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული; თუ 5.2.2 ცხრილში მე-3 სვეტში წერია კოდი 1, შესაბამისი ტექნიკა 5.2.1 ცხრილში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.
- **ცხრილი 5.3.** – მე-2 სვეტში მითითებული ნომერის ნაკვეთზე 2.2-ის მე-5 სტრიქონი აუცილებლად უნდა იყოს შევსებული.

კითხვარის ნაწილი 6-ის ცხრილი 6.1 ივსება ზუსტად ისე, როგორც კვარტალური გამოკითხვების შემთხვევაში. მოგროვდება IV კვარტალის ინფორმაცია

6.2. სასოფლო-სამეურნეო კრედიტი. პირველ რიგში ინტერვიუერი ეკითხება მეურნეს, აილო თუ არა მან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, და აღნიშნავს შესაბამის კვადრატს. დადებითი პასუხის შემთხვევაში თითოეული კრედიტისათვის ავსებს ცხრილს.

1-ლ სვეტში აისახება კრედიტის თანხა ლარებში.

მე-2 სვეტში ჩაიწერება კრედიტის წყაროს კოდი. კოდი 5 (“მომწოდებელი”) აღნიშნავს სიტუაციას, როდესაც საქონლის ან მომსახურების მომწოდებელმა ადროვა მეურნეს ფულის გადახდა. კოდი 6 (“შემსყიდველი”) აღნიშნავს სიტუაციას, როდესაც პროდუქციის შემსყიდველი ფორმალური კონტრაქტის ან არაფორმალური შეთანხმების საფუძველზე წინასწარ აძლევს მეურნეს გარკვეულ თანხას (ან ნატურაში თესლებს, სასუქებს და ა.შ.) და შემდეგ გამოუქვითავს ჩაბარებული პროდუქციის ღირებულებიდან. კოდი 7 (“შევახშე”) ნიშნავს ფორმალურად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს, რომელიც თანხის პროცენტებზე გასესხებას ეწევა.

მე-3 სვეტში აისახება, თუ რამდენ პროცენტთან კრედიტი იქნა აღებული, ხოლო

მე-4 სვეტში – თუ რა პერიოდს ეხება ამ პროცენტის დარიცხვა. მაგალითად, თუ აღებულია წელიწადში 10-პროცენტთან კრედიტი, მე-3 სვეტში იწერება 10, ხოლო მე-4 სვეტში – 4 (წელიწადის კოდი). თუ კრედიტი უპროცენტოა, მე-3 სვეტში იწერება 0, ხოლო მე-4 სვეტში არაფერი არ იწერება.

მე-5 სვეტში ჩაიწერება კრედიტის აღების მიზნის კოდი. კოდი 4 “პირუტყვის ან ფრინველის შეძენა” იწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეძენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. თუ შეძენა მოხდა დასაკლავად (მაგალითად ქორწილისათვის), ეს სამომხმარებლო კრედიტად ითვლება და ასეთი კრედიტი არ უნდა დაფიქსირდეს.

მე-6 სვეტში ჩაიწერება კრედიტის ხანგრძლივობის კოდი: 1 – 1-12 თვე(ხანმოკლე), 2 – 12-36 თვე (საშუალოვადიანი), 3 – 36 თვე და მეტი (გრძელვადიანი).

მე-7 სვეტში ჩაიწერება კრედიტის ასაღებად ჩადებული გირაო ან გარანტია. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტი გაცემულია მომავალი მოსავლის ანგარიშში, ან ნისიად მიცემული საქონლის ან მომსახურების სახით, მაშინ, თუ არსებობს ფორმალური იურიდიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მხარეების ვალდებულებებს პირის გატეხის შემთხვევაში, იწერება კოდი 6 – კონტრაქტი, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტი არ არსებობს, იწერება კოდი 5 – პიროვნული გარანტია; კოდი 4 – რეგულარული შემოსავალი იწერება, როცა კრედიტის გამცემი გასცემს კრედიტს რეგულარული ხელფასიდან დაქვითვის (ან ასეთი ხელფასის არსებობის შესახებ ცნობის) საფუძველზე.

განვიხილოთ მაგალითი: მეურნემ ტრაქტორისტს გაზაფხულზე მოახვინევა მიწა სიტყვიერი დაპირებით, რომ შემოდგომაზე მიღებული ხორბლიდან მისცემდა 1 ტონას, და სინამდვილეში ასეც მოხდა. მაშინ 1-ლ სვეტში იწერება 1ტ ხორბლის ღირებულება (ვთქვათ 200 ლარი), მე-2 სვეტში – 5 (“მომწოდებელი”, ამ შემთხვევაში მომსახურების), მე-3 სვეტში 0 (უპროცენტო სესხი), მე-4 სვეტში არაფერი, მე-5 სვეტში – 2 (სასოფლო-სამეურნეო მომსახურების შეძენა), მე-6 სვეტში – 1 (ხანმოკლე კრედიტი), მე-7 სვეტში – 5 (პიროვნული გარანტია). ამავე დროს 6.1 ცხრილში გ3) სტრიქონის მე-3 სვეტში უნდა ჩაიწეროს 200. იგივე 200 ლარი უნდა შევიდეს 2.6 ცხრილში ხორბლის გამოყენების გასწვრივ როგორც გაყიდვების ნაწილი.

კონტროლები ნაწილი ნ-ისათვის

- **ცხრილი 6.1.** – თუ ა2) შევსებულია, მე-2 ნაწილის 2.3 ცხრილში უნდა დაფიქსირებული იყოს რომელიმე კულტურის მორწყვა; თუ ბ)-ში რომელიმე სტრიქონი შევსებულია, მეურნეობაში უნდა იყოს პირუტყვი (4.1 ცხრილში რაიმე უნდა იყოს შევსებული); თუ გ1) ან გ2) შევსებულია, 5.1.1-ში ან 5.2.1-ში უნდა იყოს დაფიქსირებული საკუთარი ტექნიკა ან მოწყობილობა, ამასთან თუ გ1)-ია შევსებული, ტექნიკა უნდა იყოს დაფიქსირებული 5.1.1-ში; თუ გ3) შევსებულია, 5.1.2-ში ან 5.2.2-ში უნდა იყოს დაფიქსირებული დაქირავებული ტექნიკის ან მოწყობილობის გამოყენება და პირიქით; თუ დ6) შევსებულია, მე-2ა ან მე-4 ნაწილში უნდა დაფიქსირებული იყოს პროდუქციის გადაამუშავება; თუ ე2) შევსებულია, 4.1 ცხრილის მე-3 სვეტში უნდა დაფიქსირებული იყოს პირუტყვის შექმნა.
- **ცხრილი 6.2.** – ყოველ შევსებულ სტრიქონში ყველა სვეტი უნდა შევსებული იყოს, გარდა ერთი გამონაკლისისა: თუ მე-3 სვეტში წერია 0 (უპროცენტო კრედიტი), მე-4 სვეტი ცარიელი უნდა იყოს.

გამოკითხვის დასრულება

მას შემდეგ, რაც ინტერვიუერი დაასრულებს გამოკითხვას, იგი სამბალიანი სისტემით შეაფასებს გამოკითხული პირის თანამშრომლობის ხარისხს. შემდეგ იგი დააფიქსირებს გამოკითხვის დამთავრების დროს, შეადარებს მას კითხვარის დასაწყისში დაფიქსირებულ გამოკითხვის დაწყების დროს და კითხვარში ჩაწერს ინტერვიუს ხანგრძლივობას.

დამშვიდობებისას ინტერვიუერი მაღლობას გადაუხდის რესპონდენტს თანამშრომლობისათვის.

3.3. საველე სამუშაოების შემდეგ

ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, სახლში (ოფისში) ინტერვიუერი ყოველი ნაკვეთისათვის ავსებს კითხვარის მე-2 ნაწილს. იგი სარგებლობს მის მიერ მთელი წლის განმავლობაში ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალში კვარტალ-კვარტალ შეგროვებული ინფორმაციით.

კერძოდ ინტერვიუერს:

- 1) კითხვარის 2.1 ცხრილში (ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემები) გადააქვს 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი მონაცემები ჟურნალის 1-ლი ცხრილიდან.
- 2) კითხვარის 2.2 ცხრილში (მიწათსარგებლობა) გადააქვს 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი მონაცემები ჟურნალის მე-2 ცხრილიდან.
- 3) კითხვარის 2.3ა) ცხრილში (ღია გრუნტის კულტურები, სახნავი) სტრიქონ-სტრიქონ გადააქვს შემდეგი მონაცემები ჟურნალის 3ა ცხრილიდან: კითხვარის ცხრილის 1-ლ სვეტში – კულტურის დასახელება ჟურნალის ცხრილის 1-ლი სვეტიდან (ამის შემდეგ მე-2 სვეტში ჩაწერს კულტურის კოდს); კითხვარის ცხრილის მე-3 სვეტში – ჟურნალის ცხრილის მე-2 სვეტიდან (წმინდა თუ შერეული); კითხვარის ცხრილის მე-4 სვეტში – მთლიანი დათესილი ფართობი ჟურნალის ცხრილის მე-7 სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-5 სვეტში – ჟურნალის ცხრილის მე-8 სვეტიდან (მორწყვა); კითხვარის ცხრილის მე-8 სვეტში – მთლიანი აღებული ფართობი ჟურნალის ცხრილის მე-19 სვეტიდან;

- კითხვარის ცხრილის მე-9 სვეტში – მთლიანი აღებული მოსავალი ჟურნალის ცხრილის 24-ე სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-10 სვეტში – მინდორში დარჩენილი მოსავალი ჟურნალის ცხრილის 25-ე სვეტიდან.
- 4) კითხვარის 2.3ბ) ცხრილში (ღია გრუნტის კულტურები, მრავალწლოვანი ნარგავები) სტრიქონ-სტრიქონ გადააქვს შემდეგი მონაცემები ჟურნალის 3ბ) ცხრილიდან: კითხვარის ცხრილის 1-ლ სვეტში – კულტურის დასახელება ჟურნალის ცხრილის 1-ლი სვეტიდან (ამის შემდეგ მე-2 სვეტში ჩაწერს კულტურის კოდს); კითხვარის ცხრილის მე-3 სვეტში – ჟურნალის ცხრილის მე-2 სვეტიდან (წმინდა თუ შერეული); მრავალწლოვანი კულტურებისათვის კითხვარის ცხრილის მე-4 სვეტში – ჟურნალის ცხრილის სვეტიდან “დაკავებული ფართობი 31 დეკემბრისათვის” (რიგთაშორის დათესილი ერთწლიანი კულტურებისათვის ფართობი არ იწერება); კითხვარის ცხრილის მე-5 სვეტში – ჟურნალის ცხრილის მე-8 სვეტიდან (მორწყვა); კითხვარის ცხრილის მე-6 სვეტში – ძირების რაოდენობა 31 დეკემბრისათვის ჟურნალის ცხრილის მე-11 სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-7 სვეტში – მათ შორის მსხმოიარე ასაკში 31 დეკემბრისათვის ჟურნალის ცხრილის მე-14 სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-9 სვეტში – მთლიანი აღებული მოსავალი ჟურნალის ცხრილის 24-ე სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-10 სვეტში – მინდორში დარჩენილი მოსავალი ჟურნალის ცხრილის 25-ე სვეტიდან.
- 5) კითხვარის 2.4 ცხრილში (ცალკე მდგომი ძირები) სტრიქონ-სტრიქონ გადააქვს შემდეგი მონაცემები ჟურნალის მე-4 ცხრილიდან: კითხვარის ცხრილის 1-ლ სვეტში – კულტურის დასახელება ჟურნალის ცხრილის 1-ლი სვეტიდან (ამის შემდეგ მე-2 სვეტში ჩაწერს კულტურის კოდს); კითხვარის ცხრილის მე-3 სვეტში – ძირების რაოდენობა 31 დეკემბრისათვის ჟურნალის ცხრილის მე-4 სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-4 სვეტში – მათ შორის მსხმოიარე ასაკში 31 დეკემბრისათვის ჟურნალის ცხრილის მე-7 სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-5 სვეტში – მთლიანი აღებული მოსავალი ჟურნალის ცხრილის მე-12 სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-6 სვეტში – მინდორში დარჩენილი მოსავალი ჟურნალის ცხრილის მე-13 სვეტიდან.
- 6) კითხვარის 2.5 ცხრილში (სათბურში მოყვანილი კულტურები) სტრიქონ-სტრიქონ გადააქვს შემდეგი მონაცემები ჟურნალის მე-5 ცხრილიდან: კითხვარის ცხრილის 1-ლ სვეტში – კულტურის დასახელება ჟურნალის ცხრილის 1-ლი სვეტიდან (ამის შემდეგ მე-2 სვეტში ჩაწერს კულტურის კოდს); კითხვარის ცხრილის მე-3 სვეტში – მთლიანი დათესილი ფართობი ჟურნალის ცხრილის მე-7 სვეტიდან; კითხვარის ცხრილის მე-4 სვეტში – მთლიანი აღებული მოსავალი ჟურნალის ცხრილის მე-11 სვეტიდან.

მას შემდეგ, რაც ინტერვიუერი ჩაატარებს მასზე დავალებულ ყველა ინტერვიუს, იგი გადაამოწმებს ყველა კითხვარს, აგრეთვე მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალებს და ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალებს, და ყველა ამ დოკუმენტს გადასცემს ზედამხედველს. ზედამხედველი, თავის მხრივ შემოწმების შემდეგ, უზრუნველყოფს კითხვარების, მეურნეობათა აღრიცხვის ჟურნალების და ნაკვეთების აღრიცხვის ჟურნალების რეგიონალურ ოფისში, ან უშუალოდ ცენტრალურ ოფისში გამოგზავნას.

დანართი: კოდები

ცხრილი დ1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების კოდები

დასახელება	კოდი	დასახელება	კოდი
ერთწლიანი კულტურები	(1)	მრავალწლოვანი კულტურები	(2)
მარცვლოვანი კულტურები	(11)	ხეხილის ბაღები	(21)
საშემოდგომო ხორბალი	111	<i>თესლოვანი ხილი</i>	<i>(211)</i>
საგაზაფხულო ხორბალი	112	ვაშლი	2111
საშემოდგომო ქერი	113	მსხალი	2112
საგაზაფხულო ქერი	114	კომში	2113
ჭვავი	115	ზღმარტლი	2114
შვრია	116	<i>კურკოვანი ხილი</i>	<i>(212)</i>
სიმინდი	117	ქლიავი, ჭანჭური, ლოლნოშო	2121
ჭყინტი სიმინდი	1171	ბალი, ალუბალი	2122
წიწიბურა	118	გარგარი, ჭერამი	2123
პარკოსანი კულტურები	(12)	ატამი, ვაშლატამა	2124
ლობიო	121	ტყემალი, ალუჩა	2125
ბარდა	122	შინდი	2126
ცერცვი	123	<i>კაკლოვანი ხილი</i>	<i>(213)</i>
ტექნიკური კულტურები	(13)	კაკალი	2131
შაქრის ჭარხალი	131	თხილი	2132
მზესუმზირა	132	ნუში	2133
თამბაქო	133	წაბლი	2134
სოია	134	<i>სუბტროპიკული ხილი, თუთა და კივი</i>	<i>(214)</i>
არაქისი	135	ლეღვი	2141
ეთერზეთოვანი კულტურები	136	ბროწეული	2142
სამკურნალო კულტურები	137	ხურმა/კარალიოკი	2143
კარტოფილი	(14)	ფეიხოა	2144
საადრეო კარტოფილი	141	მუშმალა	2145
საგვიანო კარტოფილი	142	თუთა	2146
ბოსტნეული	(15)	კივი	2147
<i>ფოთლოვან-ღეროვანი ბოსტნეული</i>	<i>(151)</i>	ხეხილის ნერგი	219
კომბოსტო	1511	კენკროვნები	(22)
ყვავილოვანი კომბოსტო და ბროკოლი	1512	მარწყვი/ხენდრო	221
ისპანახი	1513	მოცხარი	222
სალათა	1514	ჟოლო	223
მწვანილი (ქინძი, კამა, ოხრახუში, ნიახური, მწვანე ხახვი, პრასი, წიწმატი, ტარხუნა და ა.შ.)	1515	სხვა კენკროვნები	224
		კენკროვანი კულტურის ნერგი	229

ცხრილი დ1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების კოდები (გაგრძელება)

დასახელება	კოდი	დასახელება	კოდი
ერთწლიანი კულტურები	(1)	მრავალწლოვანი კულტურები	(2)
<i>ნაყოფიანი ბოსტნეული</i>	<i>(152)</i>	ვენახები	(23)
კიტრი	1521	თეთრი ყურძენი	231
პომიდორი	1522	შავი ყურძენი	232
მწვანე ლობიო	1523	ვაზის ნერვი	239
ბადრიჯანი	1524	ციტრუსის პლანტაციები	(24)
ყაბაყი	1525	მანდარინი	241
წიწაკა	1526	ფორთოხალი	242
<i>ბოლქვიან-ფესვიანი ბოსტნეული</i>	<i>(153)</i>	ლიმონი	243
ჭარხალი	1531	გრეიპფრუტი	244
სტაფილო	1532	ციტრო	245
ხახვი ბოლქვად	1533	ციტრუსის ნერვი	249
ნიორი	1534	ჩაი	25
ბოლოკი	1535	ჩაის ნერვი	259
ბოსტნეულის ჩითილი	159	სხვა მრავალწლოვანი ნარგავები	(26)
ბალჩეული კულტურები	(16)	დაფნა	261
ნესვი	161	ტუნგო	262
საზამთრო	162	ბამბუკი	263
გოგრა	163	ჯონჯოლი	264
სოკო	(17)	მრავალწლოვანი ყვავილები	265
ერთწლიანი ყვავილები	(18)	სხვა მრავალწლოვანი კულტურის ნერვი	269
პირუტყვის საკვები კულტურები	(19)	ღროები (ი) დაუმუშავებელი მიწა	3
საკვები ძირხვენები	191	ღიღი ხნით) დაუმუშავებელი მიწა	4
სიმინდი სილოსად და მწვანე საკვებად	192	სხვა	999
ერთწლიანი ბალახები თივად	193		
მრავალწლოვანი ბალახები თივად	194		
სხვა	999		

ცხრილი დ2. სასუქების კოდები

დასახელება	კოდი	დასახელება	კოდი
აზოტიანი სასუქები	(1)	<i>სხვა რთულ-კომპლექსური სასუქები</i>	<i>(42)</i>
უწყლო ამიაკი	11	ამოფოსი	421
ამონიუმის გვარჯილა (აზოტმჟავა ამონიუმი, ამონიუმის ნიტრატი)	12	ამოფოსფატი	422
სულფატამონიუმი (ამონიუმის სულფატი, გოგირდმჟავა ამონიუმი)	13	ნიტროამოფოსი	423
კალციუმის გვარჯილა	14	ნიტროდიაამოფოსი	424
შარლოვანა (კარბამიდი)	15	ნიტროფოსი	425
ქლორამონიუმი	16	კალიუმის პოლიფოსფატი	426
ფოსფორიანი სასუქები	(2)	მელიორანტები და აგრომადნეულები	(5)
სუპერფოსფატი ფხვნილისებრი	21	კირქვა	51
სუპერფოსფატი გრანულირებული	22	ტკილი (მერგელი)	52
ორმაგი სუპერფოსფატი	23	ცარცი	53
სამმაგი სუპერფოსფატი	24	დოლომიტის ფქვილი	54
ფოსფორიტის ფქვილი	25	თიხა-თაბაშირი	55
კალიუმიანი სასუქები	(3)	გლაუკონიტიანი კირქვა	56
კალიუმ-ქლორიდი (ქლორკალიუმი)	31	ცეოლიტი	57
40%-იანი კალიუმის მარილი	32	ტორფი და მისგან დამზადებული სასუქები	(6)
კალიუმის სულფატი (გოგირდმჟავა კალიუმი)	33	ტორფონაკელიანი კომპოსტი	61
კალიუმის გვარჯილა	34	ტორფოდოლომიტიანი სასუქი	62
ნაცარი	35	ტორფოკირიანი სასუქი	63
რთულ-კომპლექსური სასუქები	(4)	ტორფომინერალური სასუქი	64
<i>აზოტ-ფოსფორ-კალიუმიანი სასუქები</i>	<i>(41)</i>	სხვა	999
აზოფოსკა	411		
დიაამოფოსკა	412		
ნიტროამოფოსკა	413		
ნიტროფოსკა	414		
კარბოამოფოსკა	415		

ცხრილი დ3. პესტიციდების კოდები

დასახელება	კოდი	დასახელება	კოდი	დასახელება	კოდი
ფუნგიციდები	(1)	ტილტი	141	ფიური	233
აბიგა-პიკი	101	ტოპაზი	142	ჰერბიციდები	(3)
ავანგარდი	102	ფალკონი	143	2,4დ	301
აკრობატი	103	ფანტიკი	144	2,4დ-ამინის მარილი	302
ანტაკი	104	ფუნდაზოლი	145	არსენალი	303
ანტრაკოლი	105	შაბიამანი	146	ბასტა	304
ბაიკორი	106	შავიტი	147	ბაზაგრანი	305
ბაილეტონი	107	ციხომ-ბლუ	148	გეზაგარდი	306
ბორდოს ნარევი	108	ხორუსი	149	გრან-სტარი	307
ბრავო	109	ინსექტიციდები	(2)	გროდილ-მაქსი	308
გალბენი	110	ავანტი	201	ვალსაგლიფი	309
გოგირდი შესაფრქვევი	111	არივო	202	ვალსატოპი	310
დივიდენდი	112	აქტარა	203	ზენკორი	311
დივიდენდ სტარი	113	აქტელიკი	204	კლინი	312
დომარკი	114	აცე	205	ლენტემული	313
ეუპარინი მულტი	115	ბაზამიდ გრანულატი	206	ლოგრანი	314
ვალსალაქსილი	116	ბაზუდინი	207	მაჟესტიკი	315
ვიტავაქსი	117	ბი-58 ახალი	208	მილაგრო	316
ვიქტორი	118	ბულდოკი	209	ნოკდაუნი	317
ზატო	119	გაუნო	210	პანტერა	318
თიოვიტ ჯეტ (კოლოიდური)	120	დეცისი	211	პივოტი	319
იტერალი	121	დეცის ექსტრა	212	პუმა-სუპერი	320
კვარისი	122	დეცის პროფი	213	რაუნდაპი	321
კირი	150	დურსბანი	214	სტომპი	322
კოლოიდური გოგირდი	123	ენვიდორი	215	ტელი	323
კონილი	124	ვალსაციპერი	216	ტიტუსი	324
კუპროფლო	125	ვიდატი	217	ტოპიკი	325
კუპროკაფარო	126	ინსეგარი	218	ურაგანი	326
კუპროქსატი	127	კალიფსო	219	ფუნილად ფორტე	327
კურზატი	128	კარატე	220	როდენტიციდები	(4)
მაქსიმი	129	კარატე ზეონი	221	თუთიის ფოსფიდი	401
მელოდი დუ	130	კონფიდორ მაქსი	222	შტორმი	402
მიკალი	131	ლანატი	223	ფუმიგანტები	(5)
ნეორამი	132	მედალი	224	ბრომმეთილი	501
პანჩი, ოლიმპი	133	მინ. ზეთი (პრეპარატი30)	225	მეთაბრომი	502
პინაკლი	134	ნემასოლი (ნემატოციდი)	226	ფოსტოქსინი	503
რიდომილ გოლდი	135	ნეორონი	227	თესლის შესაწამლი ფუნგიციდები	(6)
რიდონეტი	136	ომიტი	228	კონილი	601
სკორი	137	საფავორი	229	პრესტიჟი	602
სპილენძის ქლორჟანგი	138	სუმი-ალფა	230	რაქსილი	603
სტრობი	139	ტალსტარი	231	სხვა	999
ტატტუ	140	ფასტაკი	232		

ცხრილი დ4. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობების კოდები

დასახელება	კოდი	დასახელება	კოდი
პალოვანი დანადგარის მძონე ტექნიკა	(1)	მისაბმელი მოწყობილობები	(2)
ტრაქტორები და ბულდოზერები	(11)	მიწის დასამუშავებელი მოწყობილობები	(21)
ხელის (ერთლერძიანი) ტრაქტორი (მოტობლოკი)	111	სატრაქტორო გუთანის	211
მინი-ტრაქტორი	112	დისკებიანი ფარცხი	212
ტრაქტორები	113	კულტივატორი ან როტაციული ფრეზი	213
ტრაქტორი 18-დან 44 ცპ-მდე სიმძლავრით	1131	არხის გამჭრელი	214
ტრაქტორი 45-დან 99 ცპ-მდე სიმძლავრით	1132	სათეს/სარგავი მოწყობილობები	(22)
ტრაქტორი 100-დან 159 ცპ-მდე სიმძლავრით	1133	ხირბლის სათესი	221
ტრაქტორი 160 ცპ და მეტი სიმძლავრით	1134	სიმინდის სათესი	222
ბულდოზერი	114	კარტოფილის სათესი	223
კომბაინები	(12)	სარგავი მოწყობილობა	224
ხორბლის ამღები კომბაინი	121	კულტურების მოსავლელი მოწყობილობები	(23)
სიმინდის ამღები კომბაინი	122	მინერალური სასუქის გამფანტველი	231
ავტომანქანები	(13)	ნაკელის გამფანტველი	232
მსუბუქი ავტომანქანა	131	პესტიციდების შემასხურებელი	233
სატვირთო ავტომანქანა	132	წყლის გამასხურებელი	234
ავტობუსი	133	მოსავლის ასაღები მოწყობილობები	(24)
ჩაის მანქანები	(14)	სათიბელა	241
ჩაის საკრეფი მანქანა	141	წნეხ-ამკრეფი	242
ჩაის სასხლავი მანქანა	142	კარტოფილის ამომღები	243
მეცხოველეობაში გამოყენებული ტექნიკა	(15)	გადასაზიდი მოწყობილობები	(25)
საწველი აპარატი	151	ლაფეტი	251
რძის გამაგრილებელი	152	მისაბმელი (ფურგონი)	252
სეპარატორი	153	სხვა	999
ინკუბატორი	154		
სარწყავი ტექნიკა	(16)		
წყლის ტუმბო	161		
წყლის გამასხურებელი	162		
სხვა ტექნიკა	(17)		
ელექტროგენერატორი	171		
შიგაწვის ძრავა	172		
ელექტრომოდტორი	173		
კომპიუტერი	174		
სხვა	999		

შენიშვნებისათვის

